




საქართველოს ანტიკური ხანის
არქიტექტურა

АРХИТЕКТУРА ГРУЗИИ АНТИЧНОГО
ПЕРИОДА



გერა უზიანი

კავკასიონი


ГУРАМ КИПИАНИ

КАПИТЕЛИ

АРХИТЕКТУРА ГРУЗИИ АНТИЧНОГО
ПЕРИОДА

ГУРАМ КИПИАНИ

КАПИТЕЛИ




ХЕЛОВНЕБА • ТБИЛИСИ
1987


საქართველოს კულტურის მანდა
კულტურული

გერამ ჭიათუ

კაპიტელი



ხელოვნება • თბილისი
1987



წინამდებარე ნაშრომში შეგროვილი და შესწავლილია საქართველოს ძეველი ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი კომპონენტი კაპიტელები. ეს პირველი ნაწილია იმ დიდი სამუშაოსი, რომელიც ითვალისწინებს წინაექრისტიანული ქართული არქიტექტურული ძეგლების პუბლიკურიას. წინის დასათაურება პირობითაა. ტერმინი „არქიტექტურული ხანა“ აქ ნამარის ჰქონლიდ დროის გარევეული მონაკვეთის აღსანიშნავად, ვინაიდან ნაშრომში წარმოდგენილია ბევრი ისეთი ნიმუში, რომელსაც არ განუცდია ანტიკური ცავილიზაციის პირდაპირი გავლენა.

ცალკეული არქიტექტურული დეტალების თავმოყრა და მათი ერთიანი განხილვა გაპირობებულია იმით, რომ თითოეული მათგანი ხელვნების დამოუკიდებელი ნიმუშია და მოგვითხრობს იმ ხუროთმოძღვრულ ტრადიციაზე, რომელიც ახასიათებს მთლიანობას არქიტექტურულ კომპლექსს. კაპიტელი გვესახება ისეთ დეტალად, რომელშიც კველაზე ნათლად იჩეკლება მხატვრული მეშვეოდრეობა და ის შენარჩისი, რომელიც იდეურ საფუძვლად უდევს ამა თუ იმ ნაგებობას.

მოძველები გათვალისწინებული გვაქვს კამოცემა ყველა სპეციალური ხუროთმოძღვრული დეტალისა (ბაზისები, კარნიზები, ურიზები, აკორტერიუმები, ანტეფიქსები და სხვა) და თვით არქიტექტურული კომპლექსებისა, რომლებიც ხანგრძლივი არქიტოლოგიური კვლევა-ძების შედევრად არიან გამოვლენილი ძეველი საქართველოს ტერიტორიაზე.

რედაქტორი მ. ლორთიშვანიძე

რეცენზები: გ. თოლოლაძე, დ. ჩატარავა

ამ ნაშრომში წარმოდგენილი თითქმის ყველა კაპიტელი არქეოლოგიური გათხრების შედეგადა მიევლეული. ეს დეტალები ერთი ნაწილია იმ დიდძალი მასალისა, რომელიც საქართველოს ანტიკური ხანის არქიტექტურის შესწავლის საშუალებას იძლევა. მასალაში იგულისხმება როგორც ცალკეული არქიტექტურული დეტალები (ბაზისები, სკეტის დოკუმენტი, კარნიზის ფრაგმენტები, კაპიტელები და მრ. სხვა), ასევე მონუმენტურ ნაგებობათა ნაშთები, რომლებიც თითქმის ყველა სათანადოდა ფიქსირებული და გამოქვეყნებული; მკლევარნი, რომლებიც სპეციალურად სწავლობენ ანტიკური ხანის საქართველოს ამა თუ იმ არქიტექტურულ ძეგლს, აწყდებიან მრავალ სირთულეს იმ მიზეზის გამო, რომ იბერია და კოლხეთი ხანგრძლივი დროის მანძილზე თითქმის თანაბრად საზრდოობდნენ, როგორც ბერძნულ-ელინისტური, ასევე აღმოსავლური ტრადიციებით და ამასთანავე, იქმნება არქიტექტურულ სახეთა ისეთი რთული სინთეზი, რომელიც კვლევისას ართულებს თავდაპირველ საწყის ფორმათა შეცნობას; აგრეთვე თარიღთა განსაზღვრასაც, რადგან ძნელი დასადგნი ხდება ამა თუ იმ ფორმას დროის რა მონაკვეთში და ას სიღრმით შეეძლო განეცად ტრანსფორმაცია და მრ. სხვ. მაგრამ ასეთი სინთეზის შედევრად შექმნილი დეტალები ზოგ შემთხვევაში უნიკალურ სახესაც იძენს-ავ მხრივ, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თითქმის არც ერთ (მცირე გამონაკლისის) აქ წარმოდგენილ კაპიტელს ზუსტი ანალოგია არ ეძებნება.

კაპიტელი ის არქიტექტურული დეტალია, რომელიც სხვა დეტალებთან შედარებით უკეთ აღლებს. ამა თუ იმ რეგიონისათვის და გარკვეული ეპოქი-სათვის დამახასიათებელ ნიშან-თვის განვითარებებს. ამას განაპირობებს მისი განსაკუთრებული მდგომარეობაც ნაგებობაში. იგი კავშირია საყრდენსა და ძირითად მხატვას შორის. როგორც სვეტის დაგვირგვინება, ის ამთავრებს გარკვეულ მხატვრულ თემას; ამავე დროს, ყველაზე უკეთ აღიქმება მნახველის მიერ და მისი უხვევი დექორირება ნაწილობრივ ამითაა განპირობებული. ეს არის დეტალი, რომელიც, ერთი მხრივ, იძეორებს სვეტის ფორმას (წრიული განივჯეთი) და მოყვანილობას (როგორც არქიტრავის საყრდენები); ამდენად, კაპიტელი უნდა იყოს ორგანული შუალედი ორ განსხვავებულ ფორმას შორის; იგი უნდა წარმოადგენდეს კომპოზიციური სქემის, დეკორა-

ტიული მოტივებისა და კონსტრუქციული ფორმის პარმონიულ ერთიანობას. ამიტომ არის, რომ კაპიტელი ხშირად ხუროთმოძღვრული სტილის ერთ-ერთ განმსაზღვრელად გვევლინება.

კაპიტელთა იმ არცთუ მრავალრიცხვან კოლექციაში, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი, შეინიშნება სხვადასხვა ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის გავლენა. უცხო დეკორატიული ელემენტები და ცალკეული ხუროთმოძღვრული სახეები აქ თითქმის ვერ პოულობს მექანიკურ ისახეს — ხდება მათი რთული გადამუშავება, აღრეული ფორმების ერთგვარი აღორძინებაც კი. მართალია, სინთეზი ყოველთვის ორგანული ხასიათისა არ არის, მაგრამ თითქმის ყოველ კაპიტელში ყურადღებას იძყრობს ერთგვარი მისწრაფება შეიქმნას ახალი სახე, ესა თუ ის ფორმა მიყვანილ იქნეს სრულყოფამდე, იყოს გარკვეული თემის ამსახველი.

კაპიტელები აღმოჩენილია იმ რაიონებში, სადაც ხანგრძლივი დროის მანძილზე მიმდინარეობდა სისტემატური არქეოლოგიური კვლევა-ძიება. ციხია-გორა, საირხე, მცხეთა და მისი მიდამოები, ვანი — სწორედ ის პუნქტებია, რომლებიც კულტურულ ცენტრებს წარმოადგენდნენ ანტიკური ხანის საქართველოში (ტაბ. I).

ხარის მრავალპიროვნებიანი კაპიტელი ციხია-გორადან

(ტაბ. II-V)

კასპის რაიონში კავთისხევის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1974 წელს ციხია-გორას დიდი ხუროთმოძღვრული კომპლექსის გეთხრისას ერთ-ერთ სათავსოში აღმოჩენდა მოვარდისფრო, მკვრივი კირქვისაგან გამოკვეთილი კაპიტელი¹. ეს არის ორი პატარა ხარის (ან მოზერის) ორმავი პროტომის ქანდაკება და კომპოზიციური სქემით იდენტურია აქემენიდური პერიოდის ორმაგპროტომინი კაპიტელებისა. კაპიტელი გამოკვეთილია მონოლითური პრიზმისაგან, რომლის ყოველი წახნაგი გარკვეული კანონზორისებით მიღებულ სწორკუთხედს წარმოადგენს. ამ პრიზმის ვიწრო წახნაგი ორი ერთნაირი სწორკუთხედის ჯამია, სადაც თითოეული სწორკუთხედი გამოისახება, რო-

¹ Г. Цхитишвили. Результаты работ на «Цихна-Гора», ПАИ-1974, Тб., 1976, с. 61.

გორც 1: $\sqrt{2}$. ე. ი. ერთ-ერთი დინამიკური სწორკუთხედი², რომელსაც ფართოდ იყენებდა ანტიკური არქიტექტურა, როგორც გეგმარებითი თვალსაზრისით, ასევე ცალკეულ ფორმათა შესაქმნელად. ამ პრიზმის მეორე წახნაგი, ე. ი. ის გვერდი, რომელზეც პროტომები პროფილით აისახა, წარმოადგენს სწორკუთხედს — 1: $\sqrt{3}$. ამ სწორკუთხედსაც საქმაოდ ფართო გამოყენება ჰქონდა ანტიკურ არქიტექტურაში, ხოლო ის წახნაგი, რომელზეც ხდები ინ ფას არის ასახული, „ოქროს კვეთის“ სწორკუთხედს წარმოადგენს. სწორკუთხედის სიგანის — 250 მმ-ს — სიმაღლესთან შეფარდება „ოქროს კვეთის პროპორციას“ გვაძლევს.

აქემენიდურ არქიტექტურაში ხარის პროტომებიანი კაპიტელები ერთ-ერთი ის სახეა, სადაც ისევე მკვეთრად, როგორც სხვა დეტალებში, ვლინდება აქემენიდური არქიტექტურის მკაცრად განსაზღვრული პროგრამულობა.³ ეს პროგრამა კი, უპირველეს ყოვლისა, სამეფო ხელისუფლებისა და მონარქიის სიღიადის ქებაა, რომელსაც მკვეთრად ავლენს აქემენიდურ მონუმენტურ ნაგებობათა ქოველი დეტალი ცალ-ცალკე და მათი პარმონიული ერთიანობა მთლიანების⁴ და ამ ნაგებობათა კაპიტელების მძლავრი ხარების გაყინული, სტატიკური იერიც ხაზს უსვამს აქემენიდური არქიტექტურის უპირველეს დანიშნულებას (ტაბ. XLVIII, 2, 4). ეს ნიშანი (არქიტექტურის პროგრამულობა) ერთ-ერთი განმაპირობებელი ასპექტია ამ პერიოდის ე. წ. „ოფიციალური სტილისა“ არქიტექტურაში, ე. ი. იმ სტილისა, რომლის დაცვა აუცილებელ პირობად ითვლებოდა აქემენიდთა იმპერიისთან კულტურულად თუ პოლიტიკურად მეტ-ნაკლებად დაკავშირებული ქვეყნებისათვის. ამის დამადასტურებელია ხორეზმის ექსპერიციის მიერ კალალი-გირში გამოვლენილი ძე. წ. V—IV სს-ით დათარილებული ნაგებობის ზოგიერთი დეტალი (კერძოდ, გრიფონის ორმაგპროტომიანი კაპიტელის ფრაგმენტები), რომლებიც თავითი იერითა და მოდელირებით იდენტურია პერსეპოლისის ორმაგრიფონებიანი კაპიტელებისა.⁵ ასევე იდენტურია ბაბილონში აღმოჩენილი აქემენიდური პერი-

² დინამიკურ სწორკუთხედებად მიჩნეულია ის სწორკუთხედები, რომლებიც უშუალოდ კვადრატის პარმონიული განვითარების შედეგად მიიღება. კვადრატის დიაგონალის ჩიცხვით მნიშვნელობა $\sqrt{2}$ -ია. მისი კვადრატის ერთ-ერთ გვერდზე გადასომვით მივღებთ სიგრძეს — კვადრატის დიაგონალის ტოლს და მასზე აგებული სწორკუთხედი გამოისახება, როგორც 1: $\sqrt{2}$. (აյ 1-დე მიღებულია კვადრატის გვერდი). ამ სწორკუთხედის დიაგონალი კი გამოისახება როგორც $\sqrt{3}$. ამ დიაგონალის გადასომვით 1: $\sqrt{2}$ სწორკუთხედის ერთ-ერთ გვერდზე მიღება სწორკუთხედი 1: $\sqrt{3}$ (რიგოთ მეორე დინამიკური სწორკუთხედი) და ა. შ. ა. დ. ხემი ბ. ჯ. დინამიკური სიმეტრია არქიტექტურაში, მ., 1936, ს. 27; ნ. ბ უ-ნ ი ვ ი ვ, პროპორცია ანтичной и средневековой архитектуры, მ., 1938, ს. 5.

³ В. Г. Луконин, Искусство древнего Ирана, М., 1977, с. 64.

⁴ Jean-Louis Hout. Archaeologia Mundi, Iran, I, Geneve, Paris, Munch, 1965, p. 127.

⁵ Ю. А. Рапопорт, М. С. Лапирос-Скобло. Раскопки дворцового здания на городище Калалы-Гыр I в 1958 г. МХЭ ПИХЭ—1958—1961, I, М., 1963, с. 148, рис. 5.

ოდის ნაგებობათა ფრაგმენტები აქემენიდური იმპერიის ცენტრების მონუმენტურ ნაგებობათა დეტალებისა (როგორც მორთულობის ნორმებით, ასევე ორნაშენტა სახეებით).⁶ მძღავრი ხარების გამოსახვის ცდაა მოცემული ბოსტანეშ-შეიხის თრმაგროტომიან კაპიტელებშიც? (ტაბ. XLVIII, 1).

სულ სხვა სურათია ციხია-გორას კაპიტელზე: მასზე აქემენიდური არქიტექტურის პროგრამის ნიშანწყალიც არ შეინიშნება, აյ თითქმის ჩივილი მოზრების მოწყენილ გამოსახულებებთან გვაქვს საქმე.⁸ მორთულობის მხრივაც ციხია-გორას კაპიტელი საგრძნობლადაა დაშორებული აქემენიდური არქიტექტურული პლასტიკის „კლასიკურ“ სტილს. ხარების მორთულობის ტრადიციული ელემენტებიდან ციხია-გორას კაპიტელზე ორიოდე სახეა მხოლოდ შემორჩენილი, ისიც უაღრესად გამარტივებული და სახეცელილი. სუზის კაპიტელისაგან განსხვავებით, უარყოფილია ფაფარი, კისრის ვარდულებიანი სარტყელი, მუცლისა და ზურგის ხევული ბეწვი, პროტომების შეუღლების ცენტრის პარმეტი. დაახლოებით მდაგვარ ელემენტებს შეიცავს პერსეპოლისის დარბაზებისა და ნაკშ-ი-რუსტრემის კლდოვან სამარხთა პროტომებიან კაპიტელთა ხარების გამოსახულებანი. ციხია-გორას კაპიტელზე მოზრების ყბებია მხოლოდ კონტურით ხაზგასმული (დაკეპნილი ღერო), რაც ყბისქვეშა ბეწვის სქემატურ გამოსახვას წარმოადგენს მხოლოდ. ასევე სქემატურადაა გადმოცემული მკერდის ბეწვი, რომელიც კისრდან იწყება და ვერტიკალურად მკერდის გავლით მუცლის ნაწილსაც მიუკვება (ტაბ. II, III), რათა ორნაშენტი ქვემოდან იყოს ოღმული. ეს ხაზგასმული ზომიერება მორთულობისა ხელს უწყობს თითქოს ქანდაკებათა უფრო რეალურ წარმოსახვას და ხასიათის დაკონკრეტებას. გარდა ამისა, ციხია-გორას კაპიტელზე თითქოს მოცემულია ცდა იმისა, რომ ზოგიერთი ნაკვთის ტრადიციული პირობითობა უფრო რეალისტური მოდელირებით შეიცვალოს. მაგალითად, თვალის ბუდის ნაოჭები უკვე საგრძნობლადაა დაშორებული პერსეპოლისისა და სუზის ხარების წარბისშეკაციური სტილიზებას, ხოლო ვერტიკალურად მდგარი ყურები კი ელინისტური ხანის პროტომებს მოგვავრნებენ არადუსიდან.⁹ ასევე განსხვავდება აქემენიდური ხუროთმოძღვრული პლასტიკის დამახასიათებელი ნიშნებისაგან ტევირისა და

⁵ E. Haerinck. Le Palais Achéménide de Babylone, IA, v. X. 1973, Fig. 2.

⁷ მართალია ამ კაპიტელზე მხოლოდ ცდა მოცემული ძალის გამოსახვისა და ეს ცდა სრულყოფადე მიღწეული არ არის, მაგრამ ეს იმითაა ასახსნელი, რომ პროვინციული ხელოსნები თავიანთი ახასაკმარისი თსტატობით ყოველთვის საჭმაო სიცხადით ვერ იძლეოდნენ ამათუ იმ თემის სისრულეს.

(R. Ghirshman, Persia. From the origins to Alexander the Great, Tames and Hudson, 1964, p. 351–352). Contentau, G. Deuxième Mission Archéologique à Sidon (1920), «Syria», t. IV, 1929, p. 276–277. Pl. XLIII, XLIV.

⁸ ეს განსხვავდებელი ნიშანი აღნიშნული აქვს იულინ გაგოში ს. Ю. М. Гагошидзе. Из истории грузино-иранских взаимоотношений, КСАДС, М., 1981, стр. 106—107.

⁹ E. von Mercklin. Ant. Fig. S. 194. abb. 899.

ნის ორეაბა იმპოსტის მსგავს კონსტრუქციულ სქემასთან, რომელიც საწყი-
სი ფორმაა აქემენიდური პროტომებიანი კაპიტელებისა, ან უფრო ზუსტად,
ამ კაპიტელების კონსტრუქციული საფუძველი ორეაბა იმპოსტია,¹³ მხატვრუ-
ლი სახე კი იმპოსტს მიცემული აქვს პაფლაგონიური პროტომებიანი კაპიტე-
ლების ანალოგიურად, რომლებიც ძვ. წ. IV ს.-დან უკვე არსებობდნ კლდოვან
სამარხთა სკეტებზე,¹⁴ ე. ი. აქემენიდური ორმაგპროტომიანი კაპიტელებიც
ჩათული სინთეზის შედეგადაა შექმნილი, ისევე როგორც ამ არქიტექტურის
უკველი სახე.

მოგვიანებით, ელინისტურ და განსაკუთრებით გვიანელინისტურ ხანაში
კაპიტელის თავები კარგავენ თავიანთ ტექტონიკურ ფუნქციას და დეკორაც
გვევლინებიან მხოლოდ. პროტომა ეულლება დორიულ კაპიტელს (დელოსი),¹⁵
იონიური კაპიტელის ბალუსტრებს¹⁶, პროტომების ზურგი ფორმირდება აბაჟუ-
სით¹⁷ (ტაბ. XLVII, 5) და სხვ. ეს პროცესი მიმდინარეობს როგორც მცირე აზია-
ში, ასევე აღმოსავლეთთი (სულთან უიზ-დაღის სფინქსი).¹⁸ ეს, უპირველეს ყოვ-
ლისა, იმითაა გამოწვეული, რომ აქემენიდურ და ბერძნულ-ელინისტურ ნაგებ-
ბათა ტექტონიკა და კონსტრუქციული თვისებები მცველობადაა ერთმანეთისაან
განსხვავებული; ამიტომ, ორმაგპროტომიანი გამოსახულებანი კონსტრუქტუ-
ლად შეაგუსტ ბერძნულ-ელინისტურ ტექტონიკას, მაგრამ ისე, რომ თვითქან-
დაქებები დეკორაც არსებობდნ მხოლოდ.¹⁹ ცოშია-გორას კაპიტელი ასეთი გამა-
ტებითი ელემენტებისაგან საცემით თავისუფალია, რადგან ამას ნაგებობს გა-
დახურვის კონსტრუქცია არ საჭიროებდა.

საზრებისა, რომ ქანდაკება თავიდანვე პადესტალზე დასადგმელად იყო გამიზნულ მოკვეს
პედესტალის ზედაპირისა და კაპიტელის ზომები „160–160 სმ“ და თვლის, რომ սინა ურ-
თერთს ემთხვევა. პედესტალის სიგანე მართლაც 160 სმ-ია (ხოლო სიგრძე 3 მ- აღმატე-
ბა), მაგრამ კაპიტელის ცველაზე დიდი განხომილება მხოლოდ 70 სმ-ია. გარდა ამისა, კა-
პიტელის ფუძე 8 სმ-ის სილრისი ცილინდრული პაზითა აღჭურვილი, რაც სკეტჩ ტანზე მი-
სი ვერტკალურად დამაგრებისათვის ხის ან ლითონის სამაგრის მოსათვესტრუა განკუთ-
ვნილი. ამასთანავე, ფუძეზე სვეტის დიამეტრის აღმნიშვნელი წრიული ნაჭევეც მკარად შეი-
მჩნევა; დამოლოს, ძნელი წარმოსადგენია, რომ მოზრების მუცელი მოეჩუქურებიათ, თუ
ის თავიდანვე დასაფარავად ჰქონდათ გამიზნული.

¹⁵ E. Porada. The art of ancient Iran, New-York, 1965, p. 145–146. H. Frankfort. The art and architecture of the ancient Orient, Baltimore–Maryl, 19, p. 222–229.

¹⁶ E. Herzfeld. Iran in the ancient East, London – New-York, 19, p. 208.

¹⁷ E. von Mercklin. Ant. Fig., abb. 911.

¹⁸ E. von Mercklin. Ant. Fig., abb. 912, 914, 915.

¹⁹ B. Segall. Sculpture from Arabia Felix the Hellenistic Period /A, v. 59, N 3, 1955, Fig. 11.

²⁰ Ю. И. Манылов. Мраморные архитектурные детали из Суанридага, СА, 1975, № 3, с. 210–213.

²¹ შესაძლოა სწორედ ამ ტექტონიკაზე საუბრობდეს ვიტრუვიუსი თავ VII წიგნში, სა-
დაც ცხოველთა გამოსახულებების ბერძნულ არქიტექტურულ ფორმებთან შირს განიხილავს.
(Витрувий. Кн. VII, გლ. 5, 4).

ძნელია გადაჭრით და უყოფანოდ რაიმე ითქვას ციხია-გორას კაპიტელის
 შექმნის თარიღზე. ამ მხრივ, შესაძლოა, ყველაზე მისაღებ თარიღიდ ძვ. წ.
 III ს. მივიჩნიოთ. ყოველ შემთხვევაში, ძნელია ეს კაპიტელი უშუალოდ აქე-
 მენიდური იმპერიის თანადროულად ჩავთვალოთ, რადგან ამ პერიოდის არქი-
 ტექტურის კანონიერ ნორმებს იგი საგრძნობლადაა დაშორებული; ხოლო
 ამ არქიტექტურული ფორმების დათარიღება, რომლებიც აქემენიდური აზ-
 ერიტერული სტილის გავლენითა შექმნილი აქემენიდთა იმპერიის დამხო-
 ბის შემდეგ, ყოველთვის გარკვეულ სინელებთანაა დაკავშირებული, რად-
 გან შეუძლებელია თვალი გავაღევნოთ აქემენიდური არქიტექტურის განვი-
 თარებას საწყისი პერიოდიდან, მის კულმინაციასა და შემდგომ დეგნერაცი-
 ას; ასეთი ეტაპები ამ არქიტექტურას არ ჰქონია, იგი შეიქმნა სინთეზის შე-
 დეგად ერთბაშად, ისევე როგორც თვით იმპერია და ასევე ერთბაშადვე მოის-
 პო იმპერიასთან ერთად, ისე რომ, აქ ხუროთმოძღვრულ სტილს არ აღმოაჩ-
 ნდა ჰირდაპირი მემკვიდრე, ამ გზის უშუალო გამგრძელებელი. თვით პართუ-
 ლი არქიტექტურაც, რომელიც უშუალოდ აქემენიდური იმპერიის ტერიტო-
 რიზე/აღმოცენდა, პრინციპულად უარყოფს მის მემკვიდრეობას, მაგრამ
 ითანისაგან დაშორებულ რეგიონებში აქემენიდური არქიტექტურული ფორ-
 მები იმპერიის დამხობის შემდეგ ხანგრძლივი დროის მანძილზე აგრძელებენ
 ასებობას, ყოველი გარკვეული რეგიონის მხატვრული მისწრაფების შესაბა-
 მისად სახეცვლილი, და მხოლოდ აქედანა უკვე შესაძლებელი თვალი გა-
 ვაღენოთ მათ საერთო განვითარებას. აქედან გამომდინარე კი ძნელია ციხია-
 გორას კაპიტელი გვიანელინისტურ ხანას მივაჟუთვნოთ, ე. ი. იმ ეპოქას, რო-
 ცა საქართველოს ტერიტორიაზე დასტურდება ბერძნულ-ელინისტური ცალ-
 კეული ხუროთმოძღვრული ფორმებისა და ორნამენტული სახეების სიჭირ-
 ბე. ამ ხანაში, საფიქრებელია, რომ ეს ხუროთმოძღვრული თემა (ორმაგი პრო-
 ტომა) საგრძნობ ცვლილებებს განიცდიდა, თუ კონსტრუქციული ნიუანსებით
 არა, დეკორაციული ნიშნებით მაინც. პლასტიკის მხრივ ციხია-გორას კაპიტე-
 ლი ერთგვარ გარდამავალ საფეხურზეა: მასში ელინისტური პლასტიკის
 ელემენტები თითქმის არ შეინიშნება; მართალია, ზოგიერთ დეტალზე მო-
 ცუმულია ცდა მისი უფრო რეალისტური წარმოსახვისა, მაგრამ ამას კაპი-
 ტელის მხატვრული სახის ჩამოყალიბებაში გაღამწყვეტი მნიშვნელობა არ
 ენიჭება. ამავე დროს ეს კაპიტელი თითქმის მთლიანდაა განთავისუფლებული
 აქემენიდური დეკორატიული პლასტიკის ელემენტებისაგანაც. ეს კაპიტელი
 საქართველოს ანტიკური ხუროთმოძღვრების ჩამოყალიბებაში გვევლინება გარ-
 კვეული ძვრების ამსახველიდ, ე. ი. იმ შუალედური ეტაპის ამსახველად, რო-
 ცა აქემენიდური არქიტექტურული სტილი გზას უთმობს ელინისტური არქი-
 ტექტურული პლასტიკის ჯერ კიდევ უაღრესად სუსტად გამოხატულ ნიშ-
 ნებს.

(ტაბ. VI—IX)

ამ დეტალის კაპიტელთა რიგში განხილვა მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდს ეშეარება. იგი აღმოჩენისთანავე ლომის თავად იქნა მიჩნეული და დღემდე ასე ფიგურირებს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში. ეს დეტალი შემთხვევითაა აღმოჩენილი. იგი 1951 წელს აღგილობრივ მოსახლეს აკადემიკოს პ. კუფტინისათვის გადაუცია. თვით პ. კუფტინს ეს დეტალი არ შეუსწავლია. არქეოლოგმა ჭ. ნადირაძემ მოვიანებით დაადგინა ის ადგილი, სადაც თავის დროზე ეს დეტალი იქნა მიკლეული და გაირკვა. რომ იგი დაახლოებით იქვე აღმოჩენილი, სადაც საირხის ღორიული კაპიტელები გამოვლინდა სოფ. საირხის ერთ-ერთ უბანზე, ლომინაურში.²⁰ არქეოლოგმა დ. ქორიძემ ვრცელა წერილი მიუძღვნა ამ დეტალს და დაწვრილებით აღწერა იგი, როგორც ლომის თავის ქანდაკების ფრაგმენტი.²¹ ასეც დამკვიდრდა ამ დეტალის რაობა ლიტერატურაში.

ჩვენ ეს დეტალი ორმაგპროტომიანი კაპიტელის ფრაგმენტად წარმოგვიდგნია. ვფიქრობ, რომ მკლევარნი, რომლებიც მას ლომის თავად წარმოადგენდნენ, შეცდომაში შეიყვანა დეტალზე ამოკვეთილმა ღრმულებმა, ცილინდრული ფოსო თვალის ბუდედ მიაჩნდათ, ხოლო წინა ოხუცუთხა ბუდეები — ცხვირის ნესტოებად (ტაბ. VI, 1, 2; ტაბ. VII), აქელან გამომდინარე კი ამ ბუდეებს ქვემოთ არსებულ ფორმას ლაშის ფრაგმენტად მიიჩნევდნენ. ჩვენი აზრით კი, ეს ბუდეები სხვა არაფერია, თუ არა ყურებისა და რქების ჩასამაგრებლად განკუთვნილი ღრმულები; ცნობილია, რომ აქემენიდური ტიპის ორმაგპროტომიან კაპიტელთა თავები, რომლებიც ხარის, გრიფონისა თუ რქოსანი ლომების სტილიზებულ გამოსახულებებს წარმოადგენენ, არ იყვნენ მთლიანად მონოლითური ბლოკისაგან გამოკვეთილნი. დეტალები, რომლებიც რამდენადმე სცილდებოდა საერთო ფორმას (მავ. ყურები და რქები), ცალკე მზადდებოდა და შემდგომ საგანგებო ღრმულებით მაგრდებოდა/შესაბამის აღგილას (ტაბ. XLVIII, 2, 4). ჩვენს დეტალზეც თუ ასევე აქებით ამ ღრმულების ფუნქციას, მაშინ ამ ბუდეთა ქვემოთ არსებული რელიეფური ფორმა თვალის ზედა ქუთუთოდ წარმოგვიდგება, დაახლოებით ისეთივედ, როგორც ეს სწორედ აქემენიდურ ქანდაკებას ახსიათებს. ცილინდრული ფოსოდან (რომელიც ჩვენ ყურის ჩასამაგრებელი ბუდე გვვინის) მომდინარე ბეჭვის გამოსახულება კი უკვე ყბისქვეშა ბეჭვად წარმოგვიდგება, ე. ი. ისეთ დეტალს,

²⁰ ჭ. ნადირაძე. არქეოლოგიური ნარკვეგები, თბ., 1972, გვ. 57—58. ჭ. ნადირაძე. საჩერის არქეოლოგიური ექსპედიციის გათხრების შედეგები, აქმ — 1969, თბ., 1971, გვ. 73; დ. ქორიძე, მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები (საჩერის რ-ნი), თბ., 1961, გვ. 108—114.


²¹ დ. ქორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 108—114.

თვალსა და ყბისქვეშა ბეწვეს შორის საქმაოდ დიდი მანძილია. სიდონის კაპიტელებს ემსგავსება ჩვენი დეტალი პროფილში წაგრძელებული იერითაც, მაგრამ ამას უკვე ამ ორი დეტალის (თვალისა და ყბისქვეშა ბეწვის) ურთიერთ-სიახლოვე განაპირობებს. აქემენიდური პერიოდის ორმაგპროტომიან კაპიტელებში არ გვხვდება ბეწვის იმდაგვარი სტილიზაცია, როგორც ეს საირჩის დეტალზეა დადასტურებული (ბეწვის წვრილი, პარალელურად მიმართული ღეროებით გამოსახვა), მაგრამ გვხვდება პერსეპოლისში — მეომართა გამოსახულებებზე.²⁶ აქემენიდურ კაპიტელებზე ცხოველის კისრები არასდროს არაა მთლიანად ბეწვით დაფარული, ბეწვი იქ მხოლოდ კისრის ქედს გასდევს — აյ კი მთელი კისერი ბეწვით დაფარული ჩანს. საირჩის დეტალი აღჭურვილია რქისქვეშა ბეწვითაც, რომელიც ალბათ შუბლზედაც გრძელდებოდა. ბეწვის სიმრავლით ხასიათდება ელინისტური პერიოდის ხარის ორმაგპროტომიანი კაპიტელი სალამინიდან (ტაბ. XLVIII, 5), მაგრამ არც ერთი აյ მოყვანილი მაგალითი საირჩის ორმაგპროტომიანი კაპიტელის ფრაგმენტის შექმნის თარიღის დასადგენ არგუმენტად არ გამოდგება, რადგან ჩვენამდე ამ კაპიტელის მეტისმეტად მცირე ნაწილმა მოაღწია და იმისი საერთო სახე მხოლოდ მიახლოებით შეიძლება წარმოვიდგინოთ. იგი მორუხო ფერის კირქვისგანაა გამოკვეთილი და მხოლოდ ცალი მხრიდან იკითხება, მეორე მხარე ჩამოტეხილია და გაცვეთილი.

მინდა აღნიშნო, რომ აյ მხოლოდ ცდაა მოცემული ამ ფრაგმენტის რაობის დაღვენისა და მისი უყოფელი კაპიტელის ნაწილად აღიარება შესაძლოა რამდენადმე საძნელო იყოს ამ ეტაპზე. შესაძლოა, ლომინაურის ტერიტორიაზე კვლავ აღმოჩნდეს სხვა ფრაგმენტები, რომლებიც ან შეავსებენ ჩვენს წარმოდგენას კაპიტელის შესახებ, ან მთლიანად უარყოფენ ჩვენს რეკონსტრუქციას (ტაბ. IX).



²⁶ G. R. Meyer. Altorientalische Denkmäler. Leipzig, 1965, abb. 180.



საირხის ღორიშული კაპიტელი

(ფაზ. X—XII)

საირხის კაპიტელი საჩხერის რაიონში, სოფელ საირხის მიდამოებში აღმოჩინა არქეოლოგმა ნიკოლოზ ღამბაშიძემ 1957 წელს.²⁷ კაპიტელმა აღმოჩენიშთაშვე მიიბყრო მკვლევართა ყურადღება. თავდაპირველად იგი სვეტის ბაზა ეკონაო.²⁸ შემდგომ ანტიკური ორქიტექტურის მკვლევარმა გიორგი ლეუგამ განსაზღვრა ამ დეტალის ფუნქცია, როგორც დორიული ტიპის კაპიტელისა.²⁹ გ. ლეუგამის მიმართ ეჭვი გამოთქვა ორქეოლოგმა ჭ. ნადირაძემ იმის გამო, რომ ამ დეტალის მხატვრული სახე, როგორც კაპიტელისა, არავანონიკურია დორიული ორდერისათვის.³⁰ ქართული ორქიტექტურის ბოლოდროინდელ ზოგადი ხასიათის ნაშრომში ეს დეტალი კაპიტელად იხსენიება.³¹ გ. ლეუგამ კაპიტელი ზოგადად ორქაული ხანით დათარიღდა. ეს თარილი მან შემოვავაზა საირხის კაპიტელის ორქაულ დორიულ კაპიტელებთან შედარების შედეგად.³² გ. ლორთქითანიძეს კაპიტელის შექმნის თარილად ძვ. წ. V—IV სს. მიაჩნია.³³ ი. ბიჩივიანი ამ დეტალს ბაზისად განიხილავს და მას ძვ. წ. VII—VI სს. ათარიღებს.³⁴

27 ჭ. ნადირაძე. ორქეოლოგიური ნაჩვევები, თბ., 1972, გვ. 56.

28 ჭ. ნადირაძე. საჩხერის ორქეოლოგიური ექსპედიციის გათხრების შედეგები. ორქეოლოგიური კვლევა-ძება საქართველოში 1969 წელს, თბ., 1971, გვ. 72—75.

29 გ. ლეუგამი. სოფელ საირხში აღმოჩენილი სვეტისთვის შესახებ, „საბჭოთა ხელოვნება“, 1962 წ., № 2, გვ. 49—51.

³⁰ ჭ. ნადირაძე. დასხველებული ნაშრომი, გვ. 56.

31 Н. Ш. Джанберидзе, И. Н. Цинцишили. Архитектура Грузии, М., 1976, с. 29.

32 გ. ლეუგამი, დასხ. ნაშრომი, გვ. 49—51.

33 Г. А. Лордкипаниძე. Колхида в VI—II вв. до н. э., Тб., 1978, с. 131.

34 И. Р. Пичикияи, Элементы воеточного ордера в Колхиде и Иберии. VII Всеобщая конференция по Древнему Востоку, посвященная памяти ак. В. В. Струве. Тезисы докладов. М., 1979 г., стр. 70.

საირხის კაპიტელი მაგარი ჯიშის თეთრი კირქვისგანაა გაწოთლილი. მისი იერსახე მრავალ თავისებურებას შეიცავს. ეს თავისებურებანი თანაბარი სიძლიერით ვლინდება როგორც მის მორთულობაში, ასევე მის შემადგნელ ცალქეულ ფორმებში. ამ მახასიათებელი ნიშნების მიხედვით ეძებნება საირხის დორიულ კაპიტელს თავისი აღილი საქართველოს ანტიკურ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს შორის და ამავე ნიშნების საფუძველზე უნდა განისაზღვროს მისი შექმნის პერიოდი.

საირხის კაპიტელში, აბაკუსისა და ექინუსის გარდა, ფორმირებულია ყელიც (ტაბ. X, XI). ყელი და ექინუსი ერთმანეთისაგნ ორი ღრმა ღარის ყოფა, ხოლო ექინუსი და აბაკუსი — სამი ღარით. აბაკუსი მაღალი, გეგმაში კვადრატული მოყვანილობის სადა ფილაა. ექინუსი და ყელი მცენარეული მოტივებით არის შემქული.

განსაკუთრებულ ინტერესს საირხის კაპიტელი ექინუსის მორთულობით იწვევს. ექინუსის მთელი ზედაპირი დაფარულია ლოტოსის ყვავილის ფურცლების ხუთი რიგით, რაც მთლიანობაში ლოტოსის ყვავილის გაშლილ გვირგვინს გამოხატავს, ე. ი. საირხის კაპიტელში ექინუსი წარმოდგენილია, როგორც ლოტოსის გაშლილი ყვავილი.³⁵ ყვავილის ფურცლების განშლის პრინციპი ლოტოსის ყვავილის გამოსახულების ეგვიპტურ სახეს იმეორებს, რაც თავის დროზე ორნიშნა გ. ლეევავამ.³⁶ მასზე გამოსახულია ლოტოსის ყვავილის ერთ-ერთი სახეობა, ე. წ. «*Nymphaea lotus L.*» (ტაბ. XLXI, 1), ამის შანოშნებელია დაბალი, ოვალური მოყვანილობის ჩელიეფური ფურცლები, ლოტოსის ყვავილის მეორე სახეობისაგან «*Nymphaea caerulea L.*»-საგან განსხვავებით, სადაც ყვავილის ფურცლები მოგრძო ლანცეტური სახისანი არიან, ნაკლებად ჩელიეფურნი, დაკეჭილნი და თვით ყვავილის გვირგვინიც ნაკლებადაა გაშლილი (ტაბ. XLIX, 2). ლოტოსისებურ სვეტისთავებზე ძირითადად ლოტოსის ამ სახეობათა გამოსახულებებს ვევდებით ეგვიპტურ ხუროთმოძღვრებაში.³⁷

ასევე ლოტოსის ყვავილი უნდა იყოს გამოსახული კაშიტელის ყელზეც ეგვიპტურ დეკორატიულ ხელოვნებაში ლოტოსის ყვავილის გამრტასხევის ერთ-ერთი ხერხია მისი მომრგვალებულბოლოებიან, მრავალფურცლად გარდულად

35 თუ ამ ანქიტებტურცლ დეტალს ბაზისად წარმოვიდგვნოთ, როგორც ამას ზოგიერთი მკლევარი ვარაუდობდა (იხ. ჭ. ნადირაძე, არქეოლოგიური ნაჩვევები, თბ., 1972, გვ. 56), მაშინ ლოტოსის გაშლილი ყვავილი ქვედამხობილი წარმოგვიდგება. ყვავილის ეს მდგომარეობა თავისთავად შესაძლოა უჩევეულო არ იყოს, ძაგრამ თვით ის ჟოზაბა, რომელზეც ყვავილია გამოსახული, იმდენად დაბალია, რომ გაღმობრუნებულ მდგომარეობაში გამოსახულება შასზე არ აღიმება, ქვედამხობილი ფურცლებს ჩიგები ვერ ქმნინ შესაფერის მხატვრულ შასზე აქებდნენ, რიგები აქ ლოტოსის ყვავილის ტრადიციულ გამოსახულებათა ანალოგიურად ქმნის რიტბებს. რიგები აქ ლოტოსის ყვავილის ტრადიციულ გამოსახულებათა ანალოგიურად ქმნის რიტბებს, თასისებურ მოცულობით ფორმას, რომელიც სრულად შხოლოდ იმ შემთხვევაში პრიქმნება, თუ იგი სიმაღლეზე იქნება მოთავსებული.

36 გ. ლეევავამ, ანტიკური საქართველოს ანქიტებტურცლი ძეგლები, თბ., 1979, გვ. 10.

37 L. Borchardt. Die Agyptische Pflanzensäule, Berlin, 1897, S. 3-17.

ამდაგვარი ორნამენტული სახე ლოტოსისა უმეტეს შემთხვევაში გამოხატავს თვით ყვავილის ვეირგვინის ძირს ³⁸ და საფიქრებელია, რომ კარტულის ყელი, წარმოდგენილი მრავალფურცლიან ვარდულად, ყვავილის ფარა გამოსახავს; თვით ვარდულის ფურცლების მოდელირება ტრადიციულად, იგი საუკუნეთა მანძილზე ნაკლებად განიცდის ტიპოლოგიურ ცვლილებებს.

სიორნის კაპიტელის ექინუსზე გამოსახული ყვავილის ფურცლების მხატვრულ დამუშავებაც თვისებრივად უახლოვდება ეგვიპტური ორნამენტისათვეს დამშაბასითებელ ფორმას. მსგავსება ძირითადად კონტურში გამოიხატება, რომელიც და მკვეთრ კონტურში, რომელიც ესოდენ აუცილებელია სიბრტყეზე სკულპტურულ გამოსახულებათათვის ეგვიპტურ ხუროთმოძღვრებაში.³⁹ გამოსახულების მკვეთრი კონტურით შემოსაზღვრა შეინიშნება საირნის კაპიტელზეც; აյ ყვავილის თითოეულ ფურცელს, უველაზე შორეულსაც კი, თანამდებობის დრომა კონტური საზღვრავს, მიუხედავად იმისა, რომ ფარცლები/ თავიანთი. სკულპტურულობით ისედაც იმიჯნებიან ერთმანეთობას და სიერკონბრივი სილრმეც იქმნება ყვავილში, შორეული რიგების თანამარბონი დაპატარავებით.

სიორნის კაპიტელის ექინუსი თავისი ფორმითაც იქცევს ყურადღებას. სის პროფილი ქვემოთა ჩამოხილული, აბაკზე დაკიდებულის შთაბეჭდილებას წავლებს. ექინუსის პროფილი ერთ-ერთი ნიშანია, რითაც საირნის კაპიტელი ექინულ კაპიტელებთან მსგავსებას ამჟღავნებას. გ. ლეფავამ საირნის კაპიტელის შესაბარებლად პეტუმისა და სელინუნტის დორიულ კაპიტელთა პროფილები წარმოადგინა, ე. ი. არქაული დორიკის ის ძეგლები, საღაც ჯერ კიდევ მარტ და რამდენადმე რთულია ექინუსთა პროფილები.⁴⁰ გარდა ამისა, არქაულ ურთიერთობა კაპიტელებს მცენარეული მოტივით შემკული ყელიც ასასიათებთ საირნის კაპიტელის მსგავსად. საირნის კაპიტელს ძვ. წ. VI ს. დორიული კაპიტელიც ემსვავსება კუნბულ კორკირადან. აქ მსგავსებას აბაკუსისა და ექინუსის ურთიერთობამშენავი ზოლიც იძლიერებს იმ განსხვავებით (ტაბ. XLIX, 3). რომ კორკირას კაპიტელში ეს ზოლი ერთი ღარითაა გამოხატული,⁴¹ ხოლო საირნის კაპიტელში სამი ღარით. არქაულ ხანაში ცნობილია აგრეთვე დორიული კაპიტელები, რომელთა ექინუსები მცენარეული მოტივითაა შემკული და ფრამოდ, ლოტოსის ყვავილებით⁴² (ტაბ. XLIX, 4). ამდენად, საირნის კაპი-

³⁸ Alois Riegl. Stilfragen. Grundlegungen zu einer Geschichte der Ornamentik, Berlin, 1893, S. 52, 53.

³⁹ X. A. კინკ. ძრევნეეგიპტსკი ქრამ, M., 1979, c. 128.

⁴⁰ ა. ც ვ ვ ა ვ ა, ბოფელ საირნეში აღმოჩენილი..., გვ. 19—50; გ. ლეფავა, ანტიკური ხა-სე, ტაბ. XLV.

⁴¹ Gerhart Rodenwaldt. Korkyra, Band I, 1940, Berlin, S. 76—85.

⁴² Erwin und Reinhold Wurz. Das dorische Kapitell, ZGA, Beihieft 15. Heidelberg, 1925, S. 65. O. Puchstein, Das Ionische Kapitel, Berlin, 1887. W. Koe- nigs, Kapitelle mit lotosblüten an der «Basilika» in Paestum. AA. 1972, p. 438—440

ტელზე არქაული დორიული კაპიტელების ყველა ძირითადი მახასიათებელი ნიშანია თითქოს თავმოყრილი, მაგრამ ყველა ეს ზემოთ ჩამოთვლილი ნიშანი, თითოეული ცალ-ცალკე, ზოგადი მსგავსების მტკედავად, ოვისებრივად განხ-ხვავდება საირხის კაპიტელის მახასიათებელი ნიშნებისაგან.

ზოგიერთ არქაულ-დორიულ კაპიტელთა ექინუსები, უფრო ზუსტად, ექინუსთა ძირები პესტუმიდან შემქულია ლოტოსისა და პალმეტის გამოსახულებათა მონაცემულობით ან ლოტოსისა და ვარდულის მონაცემულობით, მაგრამ ეს მორთულობანი ვერ სწვდება ექინუსთა ცენტრალურ არეებს, მათი ფუნქცია მხოლოდ ექინუსთა ძირების მოჩარჩოებაა.⁴³ არქაულ ხანაში ცნობილია აგრეთვე დორიული კაპიტელები, რომელთა ექინუსები სწორედ ცენტრალურ არეებშია შემქული ლოტოსის ყვავილის გამოსახულებებით. ასეთი ოთხი კაპიტელია ცნობილი ასევე პესტუმში ე.წ. „ბაზილიკადან“⁴⁴ (ტაბ. XLIX, 4). ამ კაპიტელებზე ლოტოსის გამოსახულებანი წარმოვიდგება, როგორც ცალკეული ორნამენტული სახე და არც მათ აკისრიათ ის ფუნქცია, რომ ექინუსი გაშლილ ყვავილი წარმოადგინონ. ამ ოთხი კაპიტელიდან სამზე მხოლოდ თითო გამოსახულებაა ლოტოსის ყვავილისა და ერთზე ორი. ეს კაპიტელები კირქვისაა და გაცვეთის გმო, შესაძლოა, მათზე მხოლოდ თითო-ოროლა გამოსახულება შემორჩა ყვავილისა, მაგრამ მათი სისტერე მაინც ვერ წარმოქმნიდა ლოტოსის გაშლილი გვირგვინის შთაბეჭდილებას. ეს ორნამენტული სახე პესტუმის კაპიტელებიდან ტიპოლოგიურად ახლოს დგას ლოტოსის გამოსახულებათა ატიკურ ტიპებთან.⁴⁵ ამ გამოსახულებებში არ იქმნება ყვავილის ფურცლების ჩიგთა ურთიერთმონაცელება (ტაბ. XXI, 5). ისინი, ლოტოსის გამოსახულების ეგვიპტური სახეებისაგან განსხვავდებით, არ წარმოქმნიან ყვავილის გვირგვინის თასისებურ ფორმას. ამ ძირითადი ნიშნით ეს ორნამენტული სახეები და საირხის კაპიტელის ლოტოსის ყვავილი წარმოდგენილი ექინუსი პრინციპულად განსხვავდებონ ერთმანეთისაგან და ამდენად საირხის კაპიტელის ექინუსის მორთულობა არ უნდა განიხილებოდეს როგორც არქაულობისათვის დამახასიათებელი საერთო მოვლენა. როგორც ზემოთაც გვქონდა ოღნიშნული, საირხის კაპიტელზე გამოსახული ლოტოსის ყვავილი ძირითადად ეგვიპტური ორნამენტაციისათვის დამახასიათებელი ნიშნების გატარებელია. ასევე უნდა ოღნიშნოს, რომ თვით ეგვიპტურ ხუროთმოძღვრებაშიც ლოტოსის ყვავილით გამოსახული სკეტისთვები საქმაოდ იშვიათია.⁴⁶ აღრეული მეფობის ხანაში შექმნილი სკეტისთვის ეს ტიპი ერთგვარად მივიწყებულია ეგვიპტური არქიტექტურის გვიანდელ პერიოდებში; გვიანი მეფობის ბოლო ხანაში, რომელიც თანხვდება საბერძნეთის არქაულ, კლასი-

⁴³ E. und R. Wurz, ZGA, Beiheft 15. 1925, S. 45.

⁴⁴ W. Koenigs, Kapitelle... S. 438–440.

⁴⁵ Immo Beyer, Die Datierung der grossen Reliefgiebel des alten Athenatempels des Akropolis. AA, 1971, Heft 1, S. 69, Abb. 31.

⁴⁶ ВИА, т. I, М., 1970, с. 136.

— და გვიანკლასიკურ პერიოდებს, ლოტოსისებური კაპიტელები თითქმის
— გვხვდება.⁴⁷ კაპიტელის ამ სახეობის აღორძინება ახალი ძალით ხდება
შეობებაში ხანაში.⁴⁸ ამ პერიოდში კაპიტელები უმეტესად გაშლილი ყვა-
რას ფორმით არიან წარმოდგენილნი.⁴⁹ ეგვიპტური არქიტექტურის ეს სტი-
ლი, რომელიც სვეტისთავს გაშლილი ყვავილის გვირგვინად წარმოსახავს და
მაღალანობაში სვეტს — მცენარეულ ღრულ, ორწევს მცირე აზიას ელინისტუ-
რი ცენტრების ხუროთმოძღვრებაშიც.⁵⁰ ელინისტურ ცენტრებში გვაქვს ცდები
ასია, რომ სვეტი გაშლილი ყვავილის გამოსახულებით დაგვირგვინდეს: ეგვ-
იპტი პორტიკის ზედა სართულის კაპიტელები გაშლილ გვირგვინს გამოხატა-
ვან.⁵¹ ასევე გაშლილი პალმისებური კაპიტელით ბოლოვდება სვეტები ათენა
პოლიასის ტაძარ-სამლოცველოს ინტერიერში პერგამონში⁵² (ტაბ. XLIX, 6),
კაშლილჭვირგვინიანი კაპიტელები აქვთ ასოსში აბანოს ინტერიერში მყოფ
სვეტებაც.⁵³ ეგვიპტური არქიტექტურის ამ სტილს, მიუხედავად იმისა, რომ
ის საჭაორე/ფართოდ ვრცელდება მცირე აზიაში, მაინც ერთგვარი სიფრთხი-
ლით ეკიდება ელინისტური ხუროთმოძღვრება. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი
ნიშანში მხოლოდ ინტერიერში გვხვდება, რადგან ისინი არ განეკუთვნებიან ერთ
ოომელიმე ჩამოყალიბებულ ხუროთმოძღვრულ სისტემას.

პარალელურად, სახეს იცვლის დორიული ორდერიც/დორიული კაპიტე-
ლის ცალკეულ დეტალთა ფორმები, არქაული ხანიდან მოკიდებული, საგრძ-
ნობ ცვლილებებს განიცდიან, იმდენად, რომ გვიანკლასიკური ხანიდან დორი-
ული კაპიტელის ცალკეულ ფორმათა ცვლილებების შედეგად ჟალიბდება ეკ-
რეფტოდებული „ნეოდორიული“ სტილი, უხეშდება და მრუდდება ცალკეულ
ელემენტთა პროფილები,⁵⁴ გამოიყოფა ზელიც სხვადასხვაგვარი ფორ-
მით.⁵⁵ ეს პროცესი გრძელდება ელინისტურ და გვიანელინისტურ ხანებშიც. ამ
პერიოდში ცვლილებებს ძირითადად ექინუსის ფორმა განიცდის. ექინუსი ვე-

⁴⁷ L. Borchardt. Die Aegyptische.... S. 10-11.

⁴⁸ L. Borchardt. Die Aegyptische.... S. 11.

⁴⁹ Ильин. История архитектуры, т. I, М., 1935, стр. 42.

⁵⁰ R. Hamann. Geschichte der Kunst, Bd. 1, Berlin, 1957, S. 775.

⁵¹ Richard Bohn. Altertümer von Aegae, Berlin, 1889, Abb. 24.

⁵² Altertümer von Pergamon, II. Tafel XXIV.

⁵³ Investigations at Assos, Part I, London, Cambridge, Leipzig, 1902; სამწუხაოოდ
ვერ მოვიძიე «Investigations at Assos»-ის II ტომი და მიმღებ ანალიგად ვერ მომაქსს აქ გა-
მოქვეყნებული მცენარეული მოტივთ შემცველი ელინისტური დორიული კაპიტელი... ეს კაპიტელი
ნაბენებია ნაშრომში — «The Excavations at Dura-Europos... 1933-1934 and 1934-1935.
New-Haven, London, Leipzig, Prague, 1939, p. 247.

⁵⁴ E. und R. Wurz, ZGA. Beiheft 15. 1925, S. 72.

⁵⁵ E. und R. Wurz, ZGA. Beiheft 15. 1925, S. 72.

ღარ ქმნის აბაკუსის დამჭერის შთაბეჭდილებას, ის თითქოს ჰეიდია მასზე და აშით რამდენადმე უბრუნდება არქაული დორიკის ექინუსის პროფილებს. მაგრამ არქაულ დორიკაში ექინუსის პროფილი დასრულებულ ფორმას წარ-შოადგენს განსხვავებით ელინისტური კაპიტელის ექინუსისაგან, სადაც თითქოს ფორმის ძიებას კი არა აქვს ადგილი, არამედ მის გაუხეშებას. ამ მოვლენის დასაწყისის თვალსაჩინო მაგალითი გვაქვს მამურტ-კალეში.⁵⁶ აქ ელი-ნისტური დორიული კაპიტელის ექინუსში უკვე ერთგვარი სიმძიმე შეინიშნება, ამასთანავე აბაკუსი და ექინუსი თითქმის ერთი სიმაღლის არიან (ტაბ. L, 1). ასევე ვეღარ ქმნის აბაკუსის დამჭერის შთაბეჭდილებას დორიული ტაბის კაპიტელის ექინუსი პერგამონში, ე. წ. ზემო-ბაზრიდან,⁵⁷ ხოლო დორიული კა-პიტელი ნიმფეოსის არსამეადან, რომელიც ძვ. წ. I ს. განეკუთვნება, თვალსა-ჩინო ნიმუშია ყველა იმ ტექტონიკური ცვლილებისა, რაც დორიულმა კაპი-ტელმა განიცადა გვიანელინისტურ ხანაში⁵⁸ (ტაბ. L, 3). ამ კაპიტელში, საირ-ხის კაპიტელის ტექტონიკური ფორმების ანალოგიურად, ყველა დეტალი სა-ხეცვლილია (მაღალი აბაკუსი, მკვეთრად დაკიდებული ექინუსი და სარტყ-ლისებური ყელი). ყელი ელინისტურ დორიულ კაპიტელებში, თუ იგი ხაზ-გასმულია რაიმე ფორმით, ჭრილში წარმოადგენს სიბრტყიდან წინ გამოზიდუ-ლი პროფილია, წრეთარგის ფორმისა, ამდენად ამითაც ემსგავსება ზოგიერთ ელინისტურ კაპიტელს და თვისებრივად განსხვავდება არქაულ დორიულ კა-პიტელებისგან, რადგან იქ ყელის პროფილი ყველა შემთხვევაში, უგამონაკ-ლისოდ, სკოციას წარმოადგენს.⁵⁹ ფორმით (იგულისხმება მაღალი აბაკუსი და მძიმე, ჩამოზიდული ექინუსი) საირხის კაპიტელის სრულ ასლს წარმოად-გენს პართული დორიული კაპიტელებიც ყარა-ყუშიდან⁶⁰ (ტაბ. L, 2).

ექინუსი ელინისტურ ხანაში სხვა მხრივაც განიცდის ცეცილფეხებს. კლასი-კურ ხანაში კანონიკურ ნორმად ქცეული ექინუსის მოუწვევლობა იღვვევა, და ძვ. წ. II ს-ში მიღეტის ბულევთერიონის საფასადო დორიულ ნახევარს-ვართა ექინუსები უკვე მთლიანად ონიკებითაა დაფარული.⁶¹

ყველა ამ ტექტონიკურ ცვლილებას ზოგიერთი დორიული კაპიტელისას გვიანელინისტურ ხანაში თავისი აგებულებით საგრძნობლად შეესატყვისება

⁵⁶ A. Conze and P. Schazmann, Mamurt-Kalch, ein Tempel der Gottermutter umweit Pergamon. JDAI, B. 1941, S. 34. Abb. 42.

⁵⁷ ВИА, том II, кн. I, М., 1949, стр. 295.

⁵⁸ Arsameia am Nymphaios. Ausgrabungen 1963 und 1964 AA., 1965, Heft. 2, Bd. 80, S. 188.

⁵⁹ Manfred Bühlmann. Die alfdorische Säule, ZGA, Jarg. VI. 1913, S. 239.

⁶⁰ Karl Humann, Otto Puchstein, Reisen in Kleinasiens und Nordsirien, B., 1890, S. 220-221. Abb. 39-41.

⁶¹ ВИА, 1949, т. II, с. 301, табл. 135, 3.

საირხის კაპიტელი. საირხის კაპიტელში უკვე სახეცვლილი დორი-ული ფორმები შეუთავსდა ეგვიპტური ორქიტექტურის, პტოლემაიოსურ ხა-ნაში აღორძინებულ სტილს, ე. ი. იმ სტილს, რომელიც საგრძნობლად გაიზიარა თვით მცირე აზიის ელინისტურმა ხუროთმოძღვრებამ. უნდა აღინიშნოს, რომ საირხის კაპიტელზე ლოტოსის ყვავილთა ფურცლების სკულპტურულობაც ახლო ანალოგიებს პოულობს პტოლემაიოსური ხანის ლოტოსისებურ კაპი-ტელებთან. მაგალითად, საირხის კაპიტელის ლოტოსის ფურცლები და ლო-ტოსის ყვავილი თებეს ისიდას ტაძრის კაპიტელზე თრივეგან ეგვიპტური ელინიზმისათვის დამახასიათებელი ნიშნების მატარებელია (ტაბ. L, 5). ორი-ვე შემთხვევაში ნათლად ჩანს ის ცვლილებები, რაც განიცადა ეგვიპტურმა დეკორატიულმა პლასტიკამ ელინისტურ ხანაში აღრიცხული პერიოდებისათ-ვის დამახასიათებელი სტატიკურობისაგან განსხვავებით.⁶² ირივე შემთხვე-ვაში ფოთლები ღრმა სკულპტურულობით და დინამიკურობით გამოიჩინა. სკულპტურული ელემენტების საგრძნობი მოჭარბება ელინისტური ხანის ეგ-ვიპტურ დეკორატიულ ხელოვნებაში ეგვიპტური ხუროთმოძღვრული პლას-ტიკა ეწარ-ერთ ძირითად მახასიათებლად იქცა.⁶³ ლოტოსის გაშლილი ყვა-ვილის გამოსახულება — ეს ძირეული ეგვიპტური მოტივი — ელინისტურ ხა-ნაში აზიის ტერიტორიაზეც ჩინდება ყველა იგ დამახასიათებელი სახეცვლი-ლებით, რაც ეგვიპტურმა დეკორატიულმა ხელოვნებამ განიცადა ამ პერიოდ-ში. ამის საილუსტრაციოდ შამჩაში აღმოჩენილი ელინისტური ხანით დათარი-ლებული ბრინჯაოს ჭურჭლის მორთულობანიც კმარა⁶⁴ (ტაბ. L, 6).

დეკორისა და ტექტონიკური ფორმების ისეთი შეთავსება, როგორიც საი-რხის კაპიტელში გვაქვს, თვისებრივად უახლოვდება ე. წ. ოფიციალურ ელი-ნისტურ-ეგვიპტურ სტილს, რომლის ძირითადი ნიშანი სწორედ ეგვიპტუ-რისა და ბერძნულ-ელინისტური ხუროთმოძღვრული სახეების ურთიერთ-შერწყმაა.⁶⁵ როცა ასეთ მოვლენაზეა საუბარი, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ალექსანდრიის კატაკომბების (კომ-ე-შ-შუკაფას) ხუროთმოძღვრება, სადაც ეგვიპტური მცენარეული ორნამენტი და ბერძნულ-ელინისტური ორქიტექტუ-რული ფორმები ერთმანეთის გვერდიგვერდ აჩსებობენ ისე, რომ არ ირვევა არც ერთი მხარის ტრადიციულობა და ეგვიპტური მორთულობა არავითარ პრინციპულ გავლენას არ ახდენს ბერძნულ-ელინისტურ ტექტონიკურ ფორ-მებზე.⁶⁶

⁶² Mate Major. Geschichte der Architektur. B. 1. Budapest, 1976. S. 167.

⁶³ ВИА, т. I, М., 1970, с. 126.

⁶⁴ Cl. F. A. Schaeffer, Les Fouilles de Ras-Shamra-Ugarit, «Syria», t. XVI, 1935, p. 153.

⁶⁵ F. W. von Bissing, Die Kunst der alten Aegypter, Leipzig, 1911, S. 40.

⁶⁶ Ausgrabungen in Alexandria. Schreiber B. I. Die Nekropole von Kom-esch-Schukafa, Leipzig, 1908, S. 279–296.

თვით კაპიტელის მხატვრული მთლიანობის აღქმაში ერთგვარი დისონანსი შეაქვს აბაკუსისა და ექინუსის ურთეერთგაშმიჭნავ პორტონტალურ ღარებს, მაგრამ ამით შესაძლოა მოცემულია ცდა იმისა, რომ სვეტითა და შემდგომ კაპიტელით დასრულდეს ერთი მხატვრული თემა, გადმოცეს გაშლილი ყვავილით დასრულებული მცენარეული ლეროს შთაბუქლილება და ცვებიცტური ორდერის კანონის შესაბამისად სვეტი გაემიჭნოს გადახურვის კონსტრუქციულ ელემენტებს, მათ შორის — აბაკუსაც.⁶⁷ აյ მკვეთრი გამიჭვნა აბაკუსთან, იმის გზო, რომ საქმე გვაქვს კაპიტელის ღორიულ ტიპთან, არ მოხერხდა, მაგრამ საირხის კაპიტელში ამ ღარებით ყვავილის გვირგვინის აბაკუსისაგან განცალკევების ცდა მაინცაა გადმოცემული.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ მოვევიანებით სირიაშიც ჩნდება ტენდენცია იმისა, რომ მცენარეული მოტივი და ისიც გაშლილი გვირგვინის გამოსახულება, ღორიულ კაპიტელს შეუთავსდეს და ეს მოვლენა ახსნილია, როგორც გვლენა ელინისტური ხუროთმოძღვრებისა გვიანანტიურ არქიტექტურულ ფორმებზე⁶⁸ (ტაბ. L, 4).

ამგვარად, საირხის კაპიტელის ზემოთ განხილული მახისითებელი ნიშები ტიპოლოგიურად ახლო დგანან, ერთი მხრივ, ელინისტურ ხანაში გავრცელებულ ღორიულ კაპიტელთა ცალკეულ ფორმებთან და, მეორე მხრივ, საგრძნობ მსგავსებას ამჟღავნებენ ეგვიპტის ელინისტურ პერიოდის არქიტექტურულ პლასტიკასთან. საირხის კაპიტელის სახით საქმე უნდა გვქონდეს არა არქაულ არქიტექტურულ დეტალთან, არამედ გვიანელინისტური ხანის არქიტექტურის ერთ-ერთ უნიკალურ ნიმუშთან, სადაც ეგვიპტური არქიტექტურული სტილის გავლენა, იმ სტილისა, რომელიც მცირე აზის ელინისტურმა ცენტრებმაც გაიზიარეს. წარმოდგენილია არა როგორც ეგვიპტური გავლენით შესრულებული მზამზარეული ფორმა, არამედ შეთავსებულია მკაცრად ჩამოყალიბებულ ხუროთმოძღვრულ სისტემასთან — ღორჯულ ფრდერთან.

საირხის კაპიტელის აგვებულება საქმაო სიზუსტიდან დამორჩილებული გარკვეულ სისტემას. მისი აბაკუსი გეგმაში ერთმეტრიანი ჭვალრატია, ხოლო კაპიტელის სიმაღლე მთლიანად 50 სმ-ია. ასე რომ, კაპიტელის ნების-შიერი საფასადო მხარე ორი კვადრატის ჭამით მიღებულ სწორეუთხედს წარმოადგენს. კაპიტელი ცალკეულ დეტალებად საქმაოდ მარტივადაა დანაწევრებული. პორტონტალურად იგი შუაზეა გაყოფილი — აბაკუსის სიმაღლე ტოლია ყელის სიმაღლე 3ლუს ექინუსი, ექინუსისა და იბაკუსის ურთიერთგამოყოფი ღარებითურთ.

⁶⁷ Н. Н. Брунов. Египетская архитектура и проблемы синтеза искусств, сб. Вопросы архитектуры. М., 1935.

⁶⁸ M. I. Rostovtzeff, E. E. Brown, C. B. Wallis — The excavations at Dura-Europos... 1933–1939 and 1934–1935. New-Haven, London, Leipzig, Prague, 1939, p. 247.

პილასტრის დორიშელი კაპიტელი საირჩვდან

(ტაბ. XII—XIII)

საირხის მიღამოებში (საჩხერის რ-ნი), იქვე, სადაც საირხის დორიული კაპიტელი იქნა მიკვლეული. 1957 წელს პილასტრის კაპიტელიც აღმოაჩინეს. ამ კაპიტელის ექინუსიც ასევე ლოტოსის ყვავილის ფურცლებითა შემქული და მისი ქარგა აბსოლუტურად იდენტურია ზემოთ განხილული დორიული კაპიტელის ექინუსის მორთულობისა.⁶⁹ იდენტურია კვეთის მანერაც და ლოტოსი, ფურცლების მოდელირებაც.⁷⁰ ეჭვს არ იწვევს ამ ორი კაპიტელის ერთგვაროვნება. მისი შექმნის თარიღიც ასევე გვიანელინისტური ხანით ရეიძლება შემოიფარგლოს — ძვ. წ. II—I ს. აბაკუსისა და ექინუსის გამმაჯნავ ჰქოში⁷¹ ამ კაპიტელს წნული აქვს დამატებული ვიწრო არშიის სახით — საქმიანდ იშვიათი ელემენტი ელინისტური ხუროთმოძღვრული პლატფორმათვის; კაპიტელის აბაკუსი გეგმაში სწორკუთხა ფორმისაა, მისი სიგრძე 50 სმ-ია; აქაც ზომის იგივე ერთეულებთან გვაქვს საქმე და საერთო ფორმის დეტალებად დანაწევრების იგივე სქემა ჩანს, როგორც ეს ზემოთ განხილულ კაპიტელში შეიმჩნეოდა. მისი პორიზონტური დანაწევრებაც მარტივია, აბაკუსის სიმაღლე ტოლია ყელის სიმაღლე დამატებული ექინუსის სიძალლე არშიითურთ. ამ კაპიტელის შესაქმნელად აღებულ ძირითად ამოსავალ განზომილებად ლოტოსის წინა რიგის ფურცლის ძირის სიგანე უნდა ვიგულისხმოთ (84 მმ). ეს ზომა, რომელსაც პირობითად შეიძლება პარტი ვუწოდოთ, მეექვსედი ნაწილია აბაკუსის სიგრძისა და მეოთხედი ნაწილი აბაკუსის სიგანისა. ორნახევარი პარტია აღებული კაპიტელის სიმაღლისათვის, ხოლო ყელის დიამეტრი 5 1/4 პარტი. ე. ი. თითქმის ყველა ძირითადი ზომა კაპიტელისა 84 მმ-ის სხვადასხვა ციფრზე გამრავლებით მიიღება, ხოლო ლოტოსის ყვავილის ფურცლების თანდათანობით შემცირებული პლანები ამავე განზომილების (84 მმ) მარტივი დაყოფითაა მიღებული. წინა ფურცლების სიგანე, როგორც აღვნიშნეთ 84 მმ-ია, ხოლო მეორე რიგის ფურცლებისა—42 მმ. ე. ი. 1/2 პარტი. მესამე რიგის ფურცლებისა 21 მმ — 1/4 პარტი, ხოლო მეოთხე უკანასკნელი რიგისა 10 მმ-ია, ანუ 1/8 პარტი.

⁶⁹ ქ. ნადირაძე, საჩხერის არქეოლოგიური ექსპედიციის გათხრების შედეგები, აქმ—1969, თბ., 1971, გვ. 75.

⁷⁰ ამ კაპიტელში ლოტოსის ფურცლების მხოლოდ ოთხი რიგი იკითხება განსხვავებით საირხის დორიული კაპიტელისაგან, სადაც ექინუსზე ლოტოსის ყვავილის ფურცლების ხუთი რიგია განლაგებული.

(ტაბ. XIV—XVII)

ეს კაპიტელი სარკინეში აღმოჩნდა 1955 წლის არქეოლოგიური გათხრების დროს. მისი აღმოჩენის ადგილი და ის სიტუაცია, რომელიც აღმოჩენისას დადასტურდა, კაპიტელის შექმნის თარიღის გარშემო ვერ იძლევა რამდენადმე მაინც სწორი ვარაუდის საშუალებას. ეს კაპიტელი რეკინის საწარმოს ნაშთებში აღმოჩნდა, რომელიც ძ. წ. III—II ს. თარიღდება. იგი აქ, რა თქმა უნდა, სხვა ადგილიდანაა მოხვედრილი, მაგრამ როდის და რანაირად, ამის დადგენა სტრატიგრაფიის მიხედვით არ ხერხდებოდა. ა. აფაქიძეს იგი ძ. წ. III ს.-ის ძეგლიდ მიაჩნია,¹ ხოლო ოთ. ლორთქიფანიძე მისი სარდის არტემილეს² ტაძრის კაპიტელებთან შედარების საფუძველზე ძ. წ. III—II ს. რამდენადმე აღრეულ პერიოდს გვთავაზობს.³ სარდის არტემილეს ტაძარში სამი სამშენებლო პერიოდი გამოიყოფა: ძ. წ. IVს. ძ. წ. II და ახ. წ. II სს.⁴ და ის კაპიტელები, რომლებიც ძ. წ. IV ს. თარიღდება, სარკინეს კაპიტელთან სიახლოვეს მართლაც ამჟღავნებენ მცენარეული მორივით მორთული ფრონტონით. ორივე შემთხვევაში (სარკინესა და სარდის კაპიტელებზე) ფრონტონის ცენტრში ვარდული დომინირებს (ტაბ. LI, 2), მაგრამ ფრონტონის მცენარეული მოტივით (კერძოდ, ვარდულით) შემკობის ცდა არქაული ხანიდანვე ცნობილი (ტაბ. LI, 1) და ეს ტენდენცია ელინისტურ და განსაკუთრებით გვიანელინისტურ ხანაში საგრძნობლად მატულობს. სარკინეს იონური კაპიტელის ტექტონიკა, მორთულობის სტილისტური მხარე და მისი მეტროლოგია, ვფიქრობ, რომ გამორიცხავს როვორც ძ. წ. III ს., ასევე უფრო აღრეულ პერიოდს და მიანიშნებს გვიანელინისტურ ხანაზე, ზოგადად ძ. წ. II—I ს. გზადაგზა კაპიტელის ყველა ცალკეული დეტალისა და დაწმპრნენტის განხილვისას შევეცდები დავისაბუთო ეს მოსაზრება.

კაპიტელი თითქმის შუაზეა გატეხილი, უნაკლოდ იქითხება ერთი საფასადო მხარე. ბალუსტრაზე შემორჩია ცენტრალური არეტი, რაც იმის პირობას ქმნის, რომ კაპიტელის გვერდითი ზომები აბსოლუტური სიზუსტით განისაზღვროს. კაპიტელს კვადრატული აბაკუსი აგვირგვინებს, რომლის მხოლოდ

¹ ა. აფაქიძე. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძეველ საქართველოში, თბ., 1952, გვ. 214.

² აღრეულ გამოკვლევებში ეს ტაძარი კიბელას სახელობისად იწოდებოდა აქ არსებული კიბელას სახელზე აგებული სამლოცველოს გამო, რომელიც მოვაინებით ბერძნების მიერ არტემილესთან იყო გაიგვევებული. ბოლოდროინდელ სპეციალურ ლიტერატურაში ეს ტაძარი არტემილეს ტაძრად იხსენიება. იხ. G. Gruben. Der Griechische Tempel s. 394–395.

³ ოთ. ლორთქიფანიძე. ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო, თბ., 1968, გვ. 60.

⁴ G. Gruber, Beobachtungen zum Artemis-Tempel von Sardis, AM, B. 76, 1961, s. 171–173.

საფასადო მხარეებია მორთული იონიკებით, გვერდითი მხარეები კი საღაა. კაპიტელის ბალიშისაგან მკვეთრად არის გამიჭნული პორიზონტალური საკოლუტე ბაფთა, რომელიც ამ ნაწილში, ისევე როგორც ვოლუტებზე, რელიეფურადაა ამოზილული და ამით ერთგვარ არქაულ იქრს ანიჭებს კაპიტელს. ბალიშის მთელი ფართობი უპრია დეკორატიულ მოტივს — ოჩმაგი ვარდულის გამოსახულებას: ლოტოსის ყვავილის ორი გაშლილი ფურცლის შუაგულში (რომელიც თავისთვად ვარდულის გამოსახულებაა) ჩასმულია რვაფურცლოვანი ვარდული. ბალიშისქვეშა „ოვები“, რომლებიც იონურ კაპიტელებზე ჩვეულებრივ ექინუსის მორთულობას წარმოადგენენ, დაფარულია პალმეტით, იმდენად, რომ ცენტრში, ვარდულის ქვემოთ, მხოლოდ ერთი „ოვი“ იყითხება სრულად ორ ისრისებრ ტიხართან ერთად, გვერდითი „ოვები“ თითქმის მთლიანად დაფარულია, მაგრამ მათი ასებობა მაინც აშკარაა, ასე რომ, ფასადზე სამი „ოვი“ (ერთი სრულად და ორი ოდნავ შესამჩნევად) მაინც არის. ჟელს ასტრაგალი საზოვრავს, საღაც მოგრძო რომბისებური „მარგალიტები“ უხეშად გამოყვეთილ წყვილ პირუეტს ენაცვლება. კაპიტელის ყელი, როგორც ჩანს, საღა იყო, მასზე კანელურების კვალი არ შეიმჩნევა. ბალუსტრების მშრალი იერი ნაკლებად შეესატყვისება ბალიშის მდიდრულ დეკორს. ისინი მხოლოდ ცენტრალურ არეებშია მორთული სამაგი ვერტიკალური არშიით, საღაც შუა ზოლში მარგალიტებისა და პირუეტების მწერივი გამოიყოფა. მარგალიტები აქაც იგივე ზომისანი არიან, როგორც ყელზე.

სარკინეს კაპიტელის აგებულება დამახასიათებელია გვიანელინისტური ხანისათვის. ამ კაპიტელში უკვე აღარ გხვდება ის ტექტონიკური სიმწყობრე, რაც იონიური კაპიტელისათვისაა დამახასიათებელი არქაული ხანიდან მოკიდებული გვიანელასიყური პერიოდის ჩათვლით. აქ ვოლუტება უკვე აღარ წარმოადგენენ ბალიშის ორგანულ, განუყოფელ ნაწილს, ბალიშიდან გამომდინარე აუცილებელ დეკორატიულ და კონსტრუქციულ ატრიბუტს, არამედ სრულიად დაძოუკიდებელ ელემენტებად გვევლინებიან, რაც ნაწილობრივ იმითაა განპირობებული, რომ ამ კაპიტელში თავს იყრის ელინისტური სამყაროს სხვადასხვა რეგიონისათვის დამახასიათებელი ხუროთმოძღვრული ტრადიციები და ამავე ძროს მისი ზოგიერთი დეტალი უდავოდ არქაიზირებულია. ღრმად შეწეული ბალიში, რომელიც ერთგვარად აღმოსავლურ ტრადიციაზე მიგვანიშნებას,⁵ ვერ იქნებოდა საფუძველი ვოლუტთათვის, რომლებიც გამზიდული, რელიეფური ბაფთებით ხასიათდება. გამოზიდულ-რელიეფური ბაფთები მხოლოდ და მხოლოდ არქაულ იონიურ კაპიტელთვისაა დამახასიათებელი,⁶ მხოლოდ ცალკეული ნიმუშებია ამდაგვარი ვოლუტებით ცნობი-

⁵ მაგ. ღრმად შეწეული ბალიშებით ხასიათდებიან სელეციდური ხანის იონიური კოლონის კაპიტელები, რომლებიც დღემდე დგანან სოფ. ხურაში (სულთანაბადსა და ცუმბაში). SPA, v. 1, 1967, p. 412–413.

⁶ W. Alzinger. Alt Ephesos, Das Altertum, 13, 1, 1967, S. 31, 39.

ლი კლასიკური ხანის იონიურ ხუროთმოძღვრებაში⁷ და სრულიად მიუღებელია ელინისტური ხანისათვის. სარკინეს კაპიტელზე სავოლუტე ბაფთები უდავოდ არქაიზინებულია, და არა მხოლოდ ბაფთები: ერთგვარ აღრეულ ტრადიციებისაკენ მიბრუნებაშე მიანიშნებს ვოლუტთა არასიმჭიდროვე (ანუ ძირითადი სავოლუტე ბაფთის პარალელური და მისი ბრუნვების შესაბამისი ჩაღრმავებული ზოლის, როგორც ხეიების განკვეთილობის არის წარმოქმნა). სპირალთა ამდაგვარი სახე ყველაზე თვალსაჩინოდ ხანტოსის ნერეიდას მონუმენტის იონიურ კაპიტელთა ვოლუტებზე ჩანს, სადაც ხეიები შეწყვილებული ბაფთით იქმნება.⁸ ვოლუტის ამდაგვარი მოდელირება კლასიკურ და გვიანელასიკურ იონიურ არქიტექტურას ახასიათებს.

სრულ შეუსაბამობას წარმოადგენს ამ კაპიტელზე ექინუსი. ექინუსი მხოლოდ პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ამ დეტალს, რაღაც კაპიტელის ტექტონიკაში იგი ორავითარ ფუნქციას არ ასრულებს. „ოვების“ სახე აქ მხოლოდ ბრტყელი დეკორატიული ფრიზია, მექანიკურად გაღმოტანილი დეტალი, როგორც აუცილებელი ატრიბუტი. მართალია, ექინუსის ფუნქცია ერთგვარად მცირდება იონიურ კაპიტელთავის ელინისტურ ხანაში, იცვლება მისი სახეც⁹ და რამდენადმე დეკორიც (კერძოდ მცირდება „ოვების“ რაოდენობა ფრონტონზე და აგრეთვე „ოვების“ ფაზებიც), მაგრამ ყველა სხვა შემთხვევაში ექინუსი თავისი ფუნქციის მატარებელია. სარკინეს კაპიტელზე კი ექინუსი სწორხაზოვანი, აბაჟუსის ფრიზის პარალელური ზოლია. ასეთი დეკორატიულობა ამ ელემენტისა თავისთავად მოგვაგონებს ტერაკოტულ იონიურ კაპიტელებს ნისადან (ტაბ. LI, 3), რომლებიც ხასიათდებიან არა დეტალების კანონზომიერი აგებულებით, არამედ იონიური კაპიტელის გამოსახულების ჩელიეფური გადატანით ტერაკოტულ ფილაზე¹⁰, ანუ იონიური კაპიტელის მახასიათებელი ნიშნების მექანიკური ასახვით დეკორატიული მიჩნით.

სარკინეს კაპიტელზე ყელის ასტრაგალიც მხოლოდ ფრონტალურ მხარებზეა შესამჩნევი. იგი ქვემოდან ბალუსტრების საზღვრებრინ წყდება და გვერდით ფასადებზე ყელი ასტრაგალის გარეშეა. გვერდით ფასადზე აბაჟუსის ქვედა პორიზონტალური საზღვარი ბალუსტრის კალთის წაწყისს წარმოადგენს, აქ ეს საწყისი მეაცრად პორიზონტალურია, სამაგიროდ ბალუსტრის ქვედა საზღვარი იმდენად შეზიდულია, რომ ნაწილობრივ ყელიც გაშიშ-

⁷ W. Alzinger. Alt Ephesos, S. 37; I. Dürm. Die Baukunst der Griechen. Leipzig, 1910; Abb. 277, 286.

⁸ Otto Puchstein. Das Ionische Capitell, Berlin, 1887, S. 27–28, Abb. 9.

⁹ კლასიკური ხანიდან მოყიდებული ექინუსის დიამეტრი მცარდება, გარდა ამისა, ყელი და ექინუსი აღარ არის ურთიერთპარალელური, უფრო ზუსტად, ექინუსი თანდათანობით ელიტარის ფორმას ღებულობს.

¹⁰ A. Bammer. Hellenistische Kapitelle aus Ephesos, AM. Bd. 88, 1973, S. 223.

¹⁰ Г. А. Пугаченкова. Храм и некрополь в Парфянской Нисе. ВДИ, 1953, № 3, с. 162.

ვლებულია. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნის ერთად თავმოყრა შესაიღებელია მხოლოდ გვიანელინისტურ ხანაში, რადგან ამ პერიოდში ძირითადად ადგილი უკვე სუბიექტურ ეფექტებს ეთმობა და შესაძლებელი ხდება უარყოფა წინა ხანების მემკვიდრეობისა, რაც ძირითადად მწყობრი ტექტონიკით ხასიათდება.

რაც შეეხება კაპიტელის მეტროლოგიას, აქ მოულოდნელად ვაწყდებით ცალკეულ ფორმათა საკმაოდ ზუსტ პროპორციულ შეფარდებებს საერთო ზომებთან და უმეტეს შემთხვევაში დგინდება ის პროპორციული თანაფარდობანი (ძირითად ფრონტალურ მხარეზე), რომელიც მოცემულია ვიტრუვიუსის ტრაქტარში ონიურ კაპიტელთა შესახებ¹¹ საკმაო დამაჯერებლობრითაა დადასტურებული, რომ ვიტრუვიუსის ტექსტის ეს ნაწილი ასახავს იმ ცვლილებებსა და საბოლოოდ იმ უკვე ჩამოყალიბებულ პროპორციულ თანაფარდობებს, რომლებიც გვიანელინისტურ ხანაში დაკანონდა მცირე აზიის ელინისტურ ცენტრებში.¹² უპირველეს ყოვლისა, უნდა განვიხილოთ სპირალის კონსტრუქცია (ტაბ. XV, 4), რომლის თვალის დიამეტრი 17 მმ ტოლია. 17 მმ კუთხის ტოლია მცირეაზიული ფუტის — 34,9 სმ-ის მეოცედი ნაწილისა და, როგორც შემდგომში დავინახავთ, ეს განზომილება (17 მმ) უდევს საფუძვლად კაპიტელის ცალკეულ დეტალთა პროპორციულ თანაფარდობებს. კოლუტა აქ წარმოადგენს ერთმანეთზე გარდამავალი და თანდათანობით შემცირებული წრის მეოთხედი რეალებისაგან შემდგარ სპირალს, სადაც სავოლუტებათთა სამი სრული ბრუნვის შემდეგ უერთდება თვალს. სარკინეს კაპიტელის კოლუტები აბსოლუტური იდენტურობით არ ხასიათდება, მარცხენა კოლუტაზე ოდნავი უზუსტობანი შეიმჩნევა ზომებში, აგრეთვე მის დიაგონალურად წაგრძელებულ ფორმაში, მაგრამ ეს დეტალიც, ე. ი. მარცხენა კოლუტაც, ეჭვემდებარება კაპიტელის ცალკეულ დეტალთა საერთო პროპორციულ თანაფარდობას, თუმცა ნაკლები აიზუსტით. ამიტომ განსახილველად ჩვენ აქ მარჯვენა კოლუტა ავირჩიეთ.

თვალის ცენტრიდან, ზედა ვერტიკალზე, სპირალის საწყისამდე მანძილი შეადგენს თვალის ოთხნახევარ დიამეტრს 4 ½-ჭერ აღებულ მცირეაზიული ფუტის მეოცედ ნაწილს (სიმოკლისათვის ფუტის მეოცედ ნაწილს აქაც და შემდეგაც აღვნიშნავ ფ/20-ით). სპირალის მარჯვენა პორიზონტალური საზღვარი ტოლია 4 ფ/20-ისა, ქვედა ვერტიკალური საზღვარი — 3 ½ ფ/20-ის, მარცხენა პორიზონტალური უდრის 3 ფ/20-ს, ხოლო ერთი სრული ბრუნვის საზღვარი კი შეადგენს 2 ½ ფ/20-ს.

სარკინეა კაპიტელზე სპირალის პირველი ბრუნი აბსოლუტურად შეესაბამება ვიტრუვიუსის მიერ შემოთავაზებულ ნორმას, მაგრამ ვიტრუვიუსი, სამ-

¹¹ Витрувий, З. V., 5, 6, 7, 8.

¹² W. Hoerfner. Zum Ionischen Kapitell bei Heemogenes und Vitruv. AM. Bd. 83, 1968, S. 213.

წუხაროდ, იძლევა მხოლოდ სპირალის პირველი ბრუნის კონსტრუქციას, ე. ი. პირველი ოთხი მეოთხედი წრის რაღიუსებს პარტებში და უთითებს ილუსტრაციას, რომელსაც ჩვენსმდე არ მოუღწევია.¹³ ამის გამო ვიტრუვიუსის ტექსტის მიხედვით სპირალის სხვადასხვაგვარი რეკონსტრუქციაა შემოთავაზებული. გვიანელინისტურ ხანაში გავრცელებულ იონიურ კაპიტელთა ვოლუტის ფრონტონთა პროპორციები ზუსტად შეესაბამება ვიტრუვიუსის ტექსტს — 7:8, სადაც შვიდი ერთეულის ტოლია ვოლუტის სიგანე, ხოლო 8-სა — სიმაღლე. ვიტრუვიუსის ვოლუტის ფრონტონიც რომ ასეთივე პროპორციისაა, ეს ადვილად დგინდება მისივე ტექსტიდან, სადაც პირველი ოთხი მეოთხედი წრის რაღიუსებს იძლევა პარტებში¹⁴ ვოლუტის ცენტრიდან: $4\frac{1}{2}$, 4, $3\frac{1}{2}$, $2\frac{1}{2}$. სიმაღლე — $4\frac{1}{2} + 3\frac{1}{2} = 8$, ხოლო სიგანე $4 + 3 = 7$ (ამ ნორმების იღენტურია სარკინეს კაპიტელის სპირალიც). ვოლუტის ფრონტონთა ამდაგვარი პროპორცია დასტურდება იმ კაპიტელებზე, რომლებიც ჰერმოგენეს ქმნილებებად არის ცნობილი მეანდრის მაგნესიაში (არტემიდეს ტაძარი) და საერთოდ ფართოდ ურცელდება ელინისტურ სამყაროში, მაგრამ არა საყოველთაოდ. ეს კაპიტელები ვოლუტის ფრონტონის 7:8 შეფარდებით, ე. ი. ვოლუტის სიმაღლეში წაგრძელებული ფორმებით ცნობილია, როგორც ე. წ. „ჰერმოგენესული კაპიტელები“. სარკინეს კაპიტელზე ვოლუტების ეს სიმაღლეში წაგრძელება უშუალო დაკვირვებით ნაკლებ შესამჩნევია, მაგრამ სვეტიან ერთად ისინი ხახს უსვამდნენ სვეტის სიმაღლეს, მის აგებულებას, აგრძელებდნენ მის აზიდულ ფორმას.

სარკინეს კაპიტელზე სპირალის მეორე ბრუნის მარჯვენა პორიზონტალური საზღვარი უდრის $2\frac{1}{8}$ ფ/20, ქვედა საზღვარი $1\frac{1}{16}$ ფ/20-ს და ა. შ. (ობ. ცხრილი, სადაც მოცემულია ყველა შესაბამისი აღნიშვნა). სარკინეს კაპიტელზე ვოლუტის კონსტრუქცია აბსოლუტურად იღენტურია გვიანელინისტური ხანის იონიური კაპიტელებისა, აյ იგი აგებულია იმ პრინციპების მიხედვით, რომელიც უკვე მყარად შემუშავებული ჩანს მეანდრის მაგნესიაში, არტემიდეს ტაძრის იონიურ კაპიტელებზე (ჰერმოგენეს ქმნილებანი). ასევე მეტ-ნაკლები სიზუსტით იმეორებს სარკინეს კაპიტელი გვიანელინისტური ხანისათვის დამახასიათებელ სხვა თანაფარდობებს. ეს თანაფარდობანი განსაკუთრებით კარგად მის ფრონტალურ ნაწილში შეიძინევა (ტაბ. XV, 3): ვოლუტებს შორის მანძილი შეესაბამება 10 ფ/20 (ე. ი. ექინუსის ხილული ნაწილი; ამ კაპიტელს კი „ექინუსის“ არახილული ნაწილი არც გააჩნია), ასე რომ, ფრონტონი დაყოფილია 7:10-ის შეფარდებით (ვიტრუვიუსის ნორმა). შემ-

¹³ Витрувий. Примечания, с. 239.

¹⁴ ვიტრუვიუსის იონიურ კაპიტელთა პროპორციულ შეფარდებთათვის ამოსავალ წერტილად მოცემული აქვს ზოგადად პარტი, ანუ მოდელის რაღაც ნაწილი (Витрувий, 3, V, 5, 6). რომლის განზომილება სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება სხვადასხვა იყოს. მაგ: ამა თუ იმ ფუტის მეოთხედი, მერვედი და ა. შ. იმისდა მიხედვით, თუ რა ზომისაა კაპიტელი და რა მოდულური სისტემა უდევს საფუძვლად თვით ნაკვებობას.

დეგი დაყოფა მიმდინარეობს ასეთნაირად: კაპიტელის საერთო სიგრძე 24, ვოლუტის ცენტრებს შორის მანძილი 16, ვოლუტის სიმაღლე 8. ამ კერძო შემთხვევაში თუ 8-ს მივიღებთ ერთ ერთეულად, მაშინ ეს შეფარდება გამოისახება, როგორც 1:2:3.

ყელის დიამეტრი უახლოვდება 14 ფ/20, აბაკუსის სიმაღლე $1\frac{1}{2}$ ფ/20-ს. აბაკუსის სიგრძე სარკინეს კაპიტელზე ზუსტად შეესაბამება ვიტრუვიუსის ნორმას. ოლსანიშნავია ბალუსტრების შესამჩნევად დიდი სიგანე — 350 მმ, რაც თითქმის აბსოლუტური სიზუსტით უდრის მცირეაზიულ ფუტს 34,9 მმ-ს.¹⁵ ე. ი. კაპიტელის გვერდით ფასალში მოცემულია ის ამოსავალი განზომილება, რომლის მეოცედი ნაწილი უდევს საფუძვლად კაპიტელის პროპორციულობას.

რა თქმა უნდა, ზოგ შემთხვევაში ცალკეულ დეტალთა განზომილებანი აბსოლუტური სიზუსტით არაა მოცემული კაპიტელზე, გვაქვს მცირე გადახრები,¹⁶ მაგრამ საერთო ჯამში კაპიტელის თითქმის ყოველი დეტალი საკმაო სიზუსტითა დაქვემდებარებული მოდულს (იხ. ცხრილი, საღაც მოცემულია განზომირულებანი მმ-ში, მეოცედ ფუტებში და გადახრები აბსოლუტური სიზუსტიდან). ასე რომ, სარკინეს კაპიტელი აგებულია იმ ნორმათა მიხედვით, რასაც გვიანელისტური არქიტექტურა ისახავდა მიზნად იონიურ კაპიტელთაფის.

რაც შეეხება კაპიტელის მხატვრულ სახეს, მას აქ ძირითადად ბალიშის მორთულობა ქმნის — მასზე გამოსახულია ორმაგი ვარდული. იონიურ კაპიტელებს, რომელთა ფრონტონები მცენარეული მოტივითაა შემკული, შედარებით იშვიათად ვხვდებით, მაგრამ ისინი, არქაული ხანიდან მოკიდებული, დროდადრო მაინც თითქმის ყველა ეპოქაში ჩნდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იონური კაპიტელის მხატვრული სახე ერთგვარი კონსერვატულობით ხასიათდება. (მაგ. კორინთულ კაპიტელთან შედარებით) და მისი ფრონტალური ნაწილი ნაკლებად ეგუება ორნამენტაციის.¹⁷ ერთხელ ჩამოყალიბებული მშრალი და მოურთველი სახე თითქმის კანონიურ ნორმად რჩება იონიურ კაპიტელთათვის, მაგრამ დროდადრო ეს ნორმა მაინც იოღვევა¹⁸ და ელინისტურ ხანაში ეს მხატვრული თემა (მცენარეული

¹⁵ აქ არ ვკულისხმობ იონიური კაპიტელის ფორმირების საწყის პერიოდებს, როცა იგი ეოლიური კაპიტელის ტრანსფორმაციის შედეგად აყალიბებდა თვის ძირითად სახეს (იხ. E. Akurgal. Early period and Golden age of Ionia. AJA, v. 66, № 4. 1962. p. 377—378) და ვოლუტების ბაზოთ შეერთების ადგილი ნშირად სხვადასხვაგვარი ორნამენტით ფარებოდა.

¹⁶ იხ. ვარდულით შემკული არქაული კაპიტელი კავალად (E. von Mercklin. Ant. Fig. S. 279. Abb. 1286. Riemann H., Archäologische Fünre — 1936-37. AA. 1937. I/II. Abb. 16.). აგრეთვე ძვ. წ. IV ს. იონიური კაპიტელები სარდეში (Gruben. Beobachtungen. Beilage 88, 89).

	მ	შემცირდ უკანონის	მისცილვარის სა- ხუთი აუდიტორის მისცილვარის სი- სტუდიას	ათწლეულის მიხმალის პროცეცია
შელის დიამეტრი	240	14	235	15
ეჭინუსის სიმაღლე	32	2	34 (-2)	2
ფრონტონის სიგრძე	406	24	408 (-2)	24
ბალუსტრების სიგრძე	350	20	34,9	16
სპირალის სიმაღლე	136	8	136	8
სპირალის სიგანე	119	7	119	7
ვოლუტის თვალის ცენტრიდან მანძილი				
1 მეოთხედ წრემდე	76,5	4½	76,5	4½
2 მეოთხედ წრემდე	68	4	69 (+1)	4
3 მეოთხედ წრემდე	59,5	3½	59,5	3½
4 მეოთხედ წრემდე	51	3	50 (-1)	3
ვოლუტის თვალებს შორის მანძილი	272	16	272	16
სპირალებს შორის მანძილი.	170	10	170	10
თვალის დიამეტრი	17	1	17	1
აბაკუსის სიგრძე	323	19	323	19
აბაკუსის სიგანე	323	19	323	19
აბაკუსის სიმაღლე	25,5	1½	25,5	1½

მოტივით მორთული ბალიში) უკვე თითქმის მთელს ანტიკურ სამყაროს მო-
ცავს. მცენარეული მოტივითაა შემკული სამოთრაკიაზე პტოლემაიონის იო-
ნიური კაპიტელები (ტაბ. LI, 4), რომლებიც თავიანთი იერსახით იონიური
კაპიტელის ელინისტურ ტიპს განეკუთვნება,¹⁷ იგულისხმება როგორც ტექტო-
ნიკა, ასევე მორთულობა. იგივე თემა იონიურ კაპიტელზე ჩნდება ჩრდილო-
შავიზღვისპირეთშიც ელინისტურ ხანაში¹⁸ (ტაბ. LII, 1). ძვ. წ. III საუკუ-
ნითაა დათარიღებული ეტრუსკულ სამარხთა ვარდულით შემკული იონიური
კაპიტელები (ტაბ. LII, 2) და მათი ეს მორთულობა თავიდანვე აღმოსავლურ

¹⁷ Lawrence. Grec Architecture, 1979, p. 207–208.

¹⁸ Пичикян И. Р. Храм ионийского ордера в Херсонесе, ИКАМ, М., 1977, с. 171.

კავლენად იყო მიჩნეული.¹⁹ ეს ტენდენცია გრძელდება გვიანელინისტურ ხანა-
ციც, როგორც აღმოსავლეთით, ასევე დასავლეთით. ვარდულითაა შემკული
ისას ტერაკოტული იონიური კაპიტელები²⁰ (ტაბ. LI, 3) და ილირიის აპო-
ლონიის მაკედონური ტიპის იონურ კაპიტელთა ბალიშები.²¹ ეს მხატვრული
თემა თავის კულმინაციურ წერტილს აღწევს მანგალიის გვიანელინისტური ხა-
ნის იონიურ კაპიტელზე, სადაც ბალიშის მთელი ფართობი, ანუ კაპიტელის
თელი ფრონტონი, აკანთის ორნამენტითაა დაფარული და საღაც შიგ
ერდულებიც გამოიყოფა²² (ტაბ. LI, 4). ყველა ზემოთ ჩამოთვლილ კაპი-
ტელთა ბალიშის მორთულობანი მხოლოდ ორ კატეგორიად შეიძლება დაი-
კონტაქტოს: 1 — ბალიში მორთულია აკანთის ორნამენტით (სარდისი, პტოლემაი-
ონია, ჩრდილო შავიზღვისპირეთი, მანგალია) და ზოგიერთ მათგანში აკან-
თან ვარდულიც ფიგურირებს (სარდისი, ჩრდილო შავიზღვისპირეთი, მანგა-
ლია) და 2 + ბალიშს რთავს თავისუფალი ვარდული (ცავალა, ეტრურია, ნი-
ა, ილირიის პტოლემონია). სარკინეს კაპიტელის მორთულობა არც ერთს არ გა-
ნეკუთვნება. აქვე ვარდული ლოტოსის გაშლილ ყვავილშია ჩასმული, ლოტო-
სის ყვავილი კი ორი პორიზონტალურად მდგომი ფურცლითაა გამოხატული.
თავისითავად მორთულობის ეს სახე (ლოტოსის ყვავილში ჩასმული ვარდული)
აკმაოდ პოპულარულია ელინისტური ხანის ხუროთმოძღვრულ პლასტიკა-
ში. მას ძვ. წ. IV ს. დასასრულს უკვე ვხვდებით ეპიდავროსში, თოლოსის კე-
ონური გადახურვის ფილებზე²³ (ტაბ. LI, 5). მაგრამ ლოტოსის ყვავილის
ფურცელი იონიურ კაპიტელზე პორიზონტალური დგომით ჩნდება მხოლოდ
და მხოლოდ ელინისტურ ხანაში (ბალუსტრებზე).²⁴ სარკინეს კაპიტელის ლო-
ტოსის ფურცლები თავისი მოდელირებით ზუსტად შეესაბამება გვიანელინის-
ტურ ხანაში იონიურ კაპიტელთა ბალუსტრებზე ამოკვეთილ ლოტოსის ყვა-
ვილის ფურცლებს (ფურცლის ყოველი მხრიდან რელიეფური არშიით შემო-
აზრდვა და შუაში ორმაგი გრძივი რელიეფური ზოლი).²⁵ აღმოსავლური იე-
რი აქვს ვარდულსაც. ვარდულის ეს ტიპი გვიანელინისტურ ხანაში ფართოდ
ცრცკელდება საქართველოს ტერიტორიაზე. ასეთივე ჩვაფურცლოვანი ვარდუ-
ლითაა შემკული ვანის კორინთული კაპიტელები. ამავე ტიპისაა ოთხფურც-

¹⁹ I. Durm. Die Baukunst der Etrusker, Bd. 2. Stutt., 1905, S. 35, fig. 36.

²⁰ Г. А. Пугаченкова. Архитектурные памятники Ниши. Тр. ЮТАКЭ, т. 1, Ашхабад, 1949, с. 233.

²¹ В. Д. Блаватский, С. Ислами. Раскопки Аполлонии и Орика в 1958 г СА, 1959, № 4, с. 183.

²² В. Катараке. Археологический музей в Констанце, Bucuresti. 1967, с. 72.

²³ I. Durm. Baukunst der Griechen, S. 283, fig. 259.

²⁴ A. Bammer. Hellenistische. S. 232–233.

²⁵ A. Bammer, Taf. 91, 2, 95.

ლოგანი ვარდული მცხეთაში ომოჩენილ ფრიზის დეტალზე.²⁶ აქ ვარდულის ტიპს განსაზღვრავს ფურცლების მოდელირება, თითოეული ფურცლის რელიეფური ქედით სიგრძეზე ორ ნაწილად გაყოფა და ომასთანავე ფურცლების ერთმანეთისაგან სრული განცალკევება. დ. უილბერს ამდაგვარი ვარდული აღმოსავლურ ნიშანად მიჩნია და მისი აზრით, ისინი პრინციპულად განსხვავდება დასავლეთში გავრცელებული ანალოგიური დანიშნულების სიმბოლოთაგან.²⁷ თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ელინისტურ ხანაში ვარდულის ტიპი დასავლეთშიაც გრცელდება.²⁸

ზეპირთაც იყო აღნიშნული, რომ სარკინეს კაპიტელზე ბალუსტრები, ფრონტონთან შედარებით, სისადავით გამოიჩინა. აქ ბალუსტრები ცენტრალურ არეშია მხოლოდ ვერტიკალური სამმაგი არშიით მორთული. მორთულობის ელემენტების ბალუსტრების ცენტრში თავმოყრა ერთგვარ ატიკიზმა-ზაა მიჩნეული და უმეტესად კაპიტელთა ატიკურ ტიპებს ახასიათებს.²⁹ კვლავ აღრეული ტრადიციულობისაკენ მიბრუნებაჲე მიანიშნებს ბალუსტრების „მარგალიტები“.³⁰

ამ შეიძლება ამ აღინიშნოს კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი ამ კაპიტელისა. ეს არის აბაკუსის მორთულობის პრინციპი — მხოლოდ საფასადო ძნარების მორთვა, რაც იმითაა გამოწვეული, რომ აქცენტი ძროითადად ფასალზეა დამტული. ძალაუნებურად უნდა გავიხსენოთ ელინისტური ხანის ის კაპიტელები ეფესოდან, რომლებსაც ასევე მხოლოდ აბაკუსის ორი მხარე აქვთ აიმატიონით დაფარული, მაგრამ იქ დეკორატული აქცენტები გვერდით ფასალზეა დამტული და კიმატიონიც აბაკუსს მხოლოდ გვერდით ფასალზე ბალუსტრებს ზემოთ მიუყვება.³¹ სარკინეს კაპიტელზე გვიანელინისტური ხანის მანიშნებელია კიმატიონის მშრალი, სქემატური იერიც.

როგორც ვხედავთ, სარკინეს ონიური კაპიტელი თავისი ტექტონიკითა და დეკორით რთულ კონგლომერატს წარმოადგენს, რომელშიც სხვადასხვანურობმაღრული ტრადიციები იყრის თავს, მსგავსად ომოსავლურ, პართულ სამყაროში გავრცელებული ტენდენციისა, სადაც ონიური არქიტექ-

²⁶ ა. ა ფაქიძე, აღ. კალანდაძე, ვ. ნიკოლაიშვილი, მცხეთა II, თბ., 1973, გვ. 55, სურ. 327.

²⁷ D. Wilber. Iranian Motifs in Syrian Art. BAIAA. v. V, N 1, 1937, p. 24.

²⁸ ამდაგვარი ვარდულებითაა მორთული ძვ. წ. III ს. ბუქრანიონებიანი ფრიზი პისტრიაში (E. Condurachi, Histria, Buharest. 1968, სურ. 32).


²⁹ R. Martin, Chapiteaux Ioniques de l'Asclépieon d'Athènes, BCH, LXVIII–LXIX, 1944–1945, p. 341.

³⁰ იბ. „მარგალიტებით“ მორთული ბალუსტრები ერექტეიონის ონიურ კაპიტელებზე, BIA, T. II, M., 1973, p. 96, 97.

³¹ A. Bammer, Hellenistic... Abb. 2.

ტურა ოთული სინთეზით ხასიათდება გვიანელინისტურ ხანაში.³² ეს ტენდენცია კრომლება დასავლეთითაც (თუმცა ნაკლები სიძლიერით). მაგ., უმეტესობა მაკელონიური კაპიტელებისა ნაჯვარია, საღაც სტილისტურად გამოიჩინება ნაწილობრივ პელოპონესური და ნაწილობრივ ატიკური ელემენტები.³³

გვიანელინისტურ ხანაში მთელს ანტიკურ სამყაროში ცვლილებას განიცდის ყველა ცალკეული არქიტექტურული დეტალი, რომელიც აღრე მკაცრ კანონიურ-ნორმებს ეჭვემდებარებოდა. აღრე შემუშავებული ტექტონიკის საფუძველზე იქმნება ახალი გარეგნული სახეები. სარკინეს კაპიტელის ყველა ნიშნის ურთიერთთავაუშირი წარმოადგენს ცდას სხვადასხვა სუროთმოძღვრული და მხიტგრული ტრადიციების გაერთიანებისას, რის საფუძველზეც შეიქმნა სარკინეს იონიური კაპიტელის საინტერესო და საკმაოდ ოთული სახე.



³² Benjamin Rowland, Notes on Ionic architecture in the East, AJA, Vol. XXXIX, N 4, p. 489.

³³ St. Miller, Filipeion and Macedonian Hellenistic Architecture, AM. B. 88, 1973, S. 196.

ვანის ნაშალაშარის კაპიტელები

ფიგურული სტილის პორტოლის კაპიტელი

(ტაბ. XVIII—XXIII, 1)

ეს კაპიტელი ვანში, მონუმენტური საფეხურებიანი საკურთხევლის გათხრისას ოღმოჩნდა 1971 წელს.¹ იგი საფეხურების წინ იყო დაგარდნილი საფეხურის ფილებსა და კვადრებს შორის. კაპიტელი მაგარი ჯიშის კირქვისგანაა დამზადებული და ორი იარუსისაგან შედგება. ქვედა იარუსი აკანთის ვიწრო და ფართო ფოთლების ურთიერთმონაცვლეობით შედგენილი გვირგვინია, რომელსაც ქვემოთ ასტრაგალი საზღვრავს, ხოლო ფუძე წრეთარგისა და ფოსოს შეუღლებით მიღებულ პროფილს წარმოადგენს. კაპიტელის ფუძე არაა დანაწევრებული კანელურებით, რაც იმის მოწმობაა, რომ კაპიტელი გლუვ სვეტს აგვირგვინებდა, არაკანელირებული სვეტი კი თავისთავად მიანიშნებს ერთგვარ აღმოსავლურ ხუროთმოძღვრულ ტრადიციაზე.

მეორე იარუსის ოთხივე გვერდის ცენტრალური გამოსახულება ქალღმერთის ჰორელიეფური ბიუსტია (სამწუხაროდ, კაპიტელის მხოლოდ ერთი გვერდი შემოინახა თითქმის უნაკლოდ, მაგრამ ქალღმერთის ფიგურა გაცემით გვერდებზეც შეიმჩნევა). იგი კაპიტელის მორთულობის ძირითადი ელემენტია; კუთხის ვოლუტების ბაზისები დაფარულია კანელურებიანი სამოსით. მათ სამღეროვანი სარტყლები კრავს, საიდანაც ვოლუტებს ზემოდან აკანთის ფოთოლი ეფინება. დეტალი, რომელსაც ზემოდან ეყრდნობა, კუთხის ვოლუტი, ასევე აკანთის ფოთოლია, ლანცეტური ტიპისა. თვალი² 2 სმ³ დიამეტრის მქონე მცირე ჩაღრმავებაა. აბაკუსი ბრტყელია, არაპროფილირებული გვერდებითა და წაუკვეთავი კუთხეებით.

ბიუსტის გარშემო თავისუფალი არები მცენარეული მოტივით — წვრილი ღეროვანი ხვიებითაა შეესებული. ასეთი ხვიები აკანთის ორნამენტის თითქმის განუყოფელი ელემენტია. აკანთის ორნამენტში ამდაგვარი ხვიები გვხვდება როგორც სადა ფორმით, ასევე ფოთლით შემოსილი და სხვადასხვა-გვარია მათი მოდელირებაც.² ასტრაგალი 24 მძივისაგან შედგება. მათი პრო-

¹ ო. ლორთქიფანიძე, ჩ. ფუთურიძე და სხვა. 1970—1971 წლებში ვანში ჩატარებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ვანი II, თბ., 1976, გვ. 22.

² Meurer. Das griechische Akanthusornament und Seine natürlichen Vorbilder, JDAL, B. XI, Berlin, 1897.

ფილი ნახევარწრიულია; მძივებსა და პირუეტებს ერთი და იგივე რადიუსი აქვთ. თოთოეულ მძივზე, გაცვეთილობის მიუხედავად, ოდნავ შესამჩნევი ქედი შეინიშნება ცენტრში და ამის გამო მათი მოყვანილობა თითქმის რომბს წააგავს. ამ კაპიტელის ერთ-ერთი მახასიათებელი აკანთის ფორმლია. იგი თავისი ფორმით გვიანელინისტური ხანის აკანთის ფორმების ანალოგიურია. აკანთის ფორმლი საუკუნეთა მანძილზე თვალსაჩინო ტიპოლოგიურ ცვლილებებს განიცდის. გვიანელინისტური ხანაში, კერძოდ, ძვ. წ. II ს-დან იგი ოვალურ მოყვანილობას დებულობს; ამავე პერიოდის მანიშნებელია ფორმის თოთოეული ძარღვის სამ ტოტად გაყოფა და მათ შორის წვეთის ფორმის მქონე ჩაღრმავების წარმოქმნა.³ ამ კაპიტელში არა მხოლოდ ქვედა იარუსის ფორმები, არამედ მთლიანად მცენარეული ორნამენტი, რომელიც ასევე აკანთის ორნამენტულ მოტივს წარმოადგენს, საესტილ შეესატყვისება გვიანელინისტური ხანის მცენარეულ ფერობს და, გარდა ამისა, ქვედა იარუსზე კანონიკურია აკანთის ფორმების რაოდენობაც (რვა ვიწრო და ამდენივე ფართო ფორმის ურთიერთშონაცვლეობა).⁴

კაპიტელზე ჭრილშერთის გამოსახულება მოგრძო, ოდნავ შებრუნებული ოვალური თავით ხასიათდება (ტაბ. XXII). სახის ნაკვეთი მთლიანად გაცვეთილია. კარგად შეიმჩნევა ორი ნაწილი, ისინი მხრების პარალელურად მიერთება და მხრებს უკან იყარება. მკერდი მკვეთრად წინგამოზიდულია. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს ზურგს უკან წალებული ხელები, რაც მხრების მდგომარეობითაც შეიგრძნობა. ქანდაკება შემოსილი უნდა კოფილიყო — ბიუსტზე თითქოს ოდნავ შეიმჩნევა ნაკვები; უკეთ შემორჩენილ ბიუსტზე სამხარილივე სარტყელი. მარჯვნიდან მარცხნივ გადადის, ხოლო მეორე გამოსახულებაზე — პირიქით. ალბათ ასევე მონაცვლეობდა სარტყელი დანარჩენ ორ გამჭრალ გამოსახულებაზე. ამავე დროს, კაპიტელზე მოცემულია ცდა იმისა, რომ იარუსები ერთმანეთთან კომპოზიციურად იყოს დაკავშირებული, ამიტომ ქვედა იარუსის ფართო ფორმები ზუსტად შეესაბამება ბიუსტის ცენტრალურ არებასა და კუთხეთა ლანცეტური ტიპის ფორმებს, ხოლო ვიწრო აკანთის ფორმები კუთხის ვოლუტა საწყისებს.

ერთობ მოულოდნელია აბაკუსის ფორმა კორინთული კაპიტელისათვის (იგულისხმება როგორც წაუკვეთავი კუთხები და თაროსებური პროფილი, ასევე მისი მცირე სიმაღლე). აქ ერთგვარი აღმოსავლურ-ელინისტური გავლენა შეინიშნება თითქოს. პართული და ბაქტრიული ელინისტური ხანის კორინთული თუ კორინთოზირებული კაპიტელები სწორედ სადა და გეგმაში სწორება მოყვანილობის აბაკუსით გამოირჩევიან ბერძნულ-ელინისტური კორინთული კაპიტელებისაგან.⁵

³ H. Lauter. Reisenatizen aus Karien, Bl. B. 171, 1971, S. 145.

⁴ И. Б. Михаловский. Архитектурные формы античности, М., 1949, с. 76.

⁵ В. Л. Воронина. Эллинистический ордер на территории Таджикистана, АИ, № 20, М., 1972, с. 160.

კაპიტელის ფიგურული სტილი, დაწყებული ეგვიპტური „პათორიული“ კაპიტელებიდან, თანდათანობით ვრცელდება მახლობელი აღმოსავლეთის, კვიაროსის, ფინიკიურ და პაფლაგონიურ ხუროთმოძღვრებაში.⁶ ქ. წ. III საუკუნიდან მცირე აზიის ელინისტურ ცენტრებში ფიგურული სტილი გვევლინება როგორც ოჩნამენტის მხატვრულად სრულყოფილი სახე, სადაც აღამიანის გამოსახულება მცენარეულ დეკორთან ერთად გააზრებულია, როგორც მცენარეთა სიცოცხლის, ყოველწლიური განახლებისა და აღამიანთა უკვდავების სიმბოლური გამოსახულება.⁷ ამავე პერიოდიდან (ქ. წ. III ს.) ფიგურული სტილი ფართოდ ვრცელდება ე. წ. იტალიური ელინიზმის ხუროთმოძღვრებაშიც.⁸ ამ მოტივით შემცული კაპიტელები აღცთუ იშვიათია აღრეპართულ აქტიტეტტურაში⁹ (ტაბ. LIII, 1), მოვიანებით ფიგურული კაპიტელები ვრცელდება სირიაში¹⁰, ნაბატეველთა¹¹ და გვიანპართულ ხუროთმოძღვრებაშიც¹² და თითქმის მთელს ცენტრალურ აზიაში.¹³ ასე რომ, ელინისტური ხუროთმოძღვრების მიერ სრულყოფილი, მცენარეულ დეკორთან დაკავშირებული ადამიანის გამოსახულება, როგორც ხუროთმოძღვრული პლასტიკის შრავალმხრივ საინტერესო მოტივი, მოიცავს თითქმის მთელს ანტიკურ სამყაროს. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე დროს კონტინენტური სახერძეების ხუროთმოძღვრებაში არც ერთ პერიოდში ფიგურული დეკორი პოპულარული არ ყოფილი.¹⁴ ასევე არ ვრცელდება იგი ჩრდილოეთ შავიზლვისპირეთის ხუროთმოძღვრებაში.¹⁵ მოვიანებით, თავისი არსით ამ ძირეული ელინისტური მოტივის შემდგომი გადამუშავებაა რომაული ფიგურული კაპიტელები.¹⁶

⁶ E. von Mercklin, Ant. Fig., S. 5 და შემდ.

⁷ Ch. Picard, Acrotères, Antéfixes, Chapiteaux Hellénistiques à décor mêlé, Humain et vegetal: de Samothrace à la Pô et à Glanum, RA. 1963, II, p. 172.

⁸ E. von Mercklin, Ant. Fig., S. 60–65.

⁹ Fr. Sarre, Die Kunst des Alten Persien, B. 1923, S. 29–63!

¹⁰ D. Schlumberger, Les formes anasiennes du chapiteau Corintien Syrie, en Palestine et en Arabie «Syria», t. XIV, 1933.

¹¹ С. А. Кауфман. Архитектура Кабатеев, ВВИА I, М., 1961, рис. 7.

¹² Г. А. Кошеленко, З. И. Устинова. Коринфизированная капитель из Мерва ИАНТ. Серия общ. наук, № 1, Ашхабад, 1963, с. 87–88, рис. 1.

¹³ С. П. Толстов. Работы хорезмской экспедиции, ВДИ, 1953, № 1, рис. 13, 6. В. Я. Ставицкий. Капители древней Бактрии, СА, 1972, № 2.

¹⁴ E. von Mercklin, Ant. Fig., S. 35.

¹⁵ ის ერთადერთი ფიგურული კაპიტელი, რომელიც ქ. წ. III ს-ით თარიღდება თლბიან, შემცულია არა ადამიანის სკულპტურული გამოსახულებით, არამედ ხარის ნიღბით და ზუსტად იმეორებს ბუკრანიონთა სკულპტურულ მოტივს. იხ. Н. Н. Сорокина, Мраморная капитель из Ольвии, КАМ, М., 1966, с. 259–263.

¹⁶ კაპიტელზე ფიგურულ სტილს, როგორც დეკორატიული თემის განვითარებას, შეიძლება თვალი გავაღევნოთ ზემოთ არაერთხელ დამოწმებული ე. ნერკლინის ფუნდამენტური ნაშრომის მიხედვით (E. von Mercklin, Ant. Fig.).

სვეტისთავებზე მცენარეულ დეკორთან დაკავშირებული ადამიანის ფიგურული გამოსახულებანი ხანგრძლივი კვლევის საგანია და ამ მიმართულებით კვლევა არასოდეს შენელებულა. მსგავსი კომპოზიციები მცვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს არა მხოლოდ სვეტისთავებზე, არამედ ნაგებობათა სხვა დეტალებზეც: ფრიზებზე,¹⁷ აკროტერიუმებსა და ანტეფიქ-სებზე,¹⁸ საკურთხევლებზე,¹⁹ ტორევტიკაში,²⁰ მუზარადებზე.²¹ ელინისტურ ხანაში ადამიანის ფიგურული გამოსახულებითა და მცენარეული მოტივით შედგენილი სრულყოფილი ორნამენტული სახის შექმნა ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ითვლებოდა ჟველა შემოქმედისათვის.²²

ზოგიერთი იტალიკური ფიგურული კაპიტელი თავისი კომპოზიციური სქემით არამდენადმე წააგავს ვანის კაპიტელს. იქაც, ისევე როგორც ვანის კაპიტელზე, ცენტრალური სივრცის თავისუფალი არები მცენარეული მოტივით — ფოთლოვანი ღეროებითაა შევსებული. კირქვისაგან შესრულებული იტალიკური კაპიტელებიც ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნული ორი იარუსისაგან შედგები. ამას, ისევე როგორც ვანის კაპიტელში, აენთის გვირგვინის შემადგენელურ ფოთოლთა თანაბარი სიმაღლე განაპირობებს, მაგრამ იტალიკურ ფიგურულ კაპიტელებში უმეტეს შემთხვევაში აენთის ორნამენტულ მოტივში თავის ჰორელიეფური გამოსახულებაა მხოლოდ ჩართული.²³ ასეთი სტილი მთლიანად დასავლური ელინიზმისათვის დამახასიათებელი ჩანს, თუ გავიხსენებთ ფიგურულ კაპიტელებს პესტუმის სასიმაგრო ნაგებობიდან²⁴ და კორინთულ-ღორიული ტაძრიდან,²⁵ ფიგურულ კაპიტელს გლანუმიდან²⁶ და სხვ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იტალიკური ელინიზმის ხუროთმოძღვრებაში გვხვდება ფიგურული კაპიტელები, საღაც აენთის ორნამენტში თვით ბიუსტია ჩასმული, მაგრამ არა ბიუსტის ჩვეულებრივი გაგებით, არამედ მკერდის გარეშე, უფრო ზუსტად, მხოლოდ მკერდის ზედა ნაწილი²⁷ და თითქმის არ

¹⁷ მაგ. მენდრის მაგნესიაში, მონუმენტური საკურთხევლის ფრიზებზე.

A. von Gerkan, Der Altar des Artemis – tempels in Magnesia am Mäander. B. 1929. taf. VII.

¹⁸ Ch. Picard. Acroteres... p. 126.

¹⁹ El. Jastrow. Two Teracotta Reliefs in American Museums, AJA. vol. 40, N 1, p. 67–80.

²⁰ მაგ. ჩერტომლიცის თასი. A. A. Онанко. Античный импорт в Приднепровье и Побужье в IV—II вв. до н. э. САИ, вып. д. 1—27, М., 1970, с. 35, р. XXVIII.

²¹ B. Schröder. Thrakische Helme. JDAL. B. XXVII, 1912.

²² Al. Riegl. Stilfragen, B. 1893, S. 236–237.

²³ E. von Mercklin. Ant. Fig., S. 61–69, Abb. 292–299.

²⁴ Fr. Krischen. Die Stadtmauern von Pompeji und Griechische Festungsbaukunst in unteritalien und Sizilien, HKP. 7, B. 1941, Abb. 16, 9, taf. 7.

²⁵ Fr. Kraus, R. Herbig. Der Korintisch-Dorische tempel am forum von Pestum, B. 1939, taf. 50, 1–4.

²⁶ Ch. Picard. Acrotères... Fig. 46.

²⁷ E. von Mercklin. Ant. Fig., Abb. 302, 303.

არღვევს იტალიკური ელინიზმისათვის დამახასიათებელ ფიგურულ სტილს. ამდაგვარი სტილით აგებული კაპიტელები არცთუ იშვიათია პართულ ხურო-თმოძლვრებაში, სადაც ხშირად აკანთის ორნამენტში მხოლოდ თავია ჩარ-თული.²⁸ სულ სხვა სურათია მცირე აზიაში, სადაც ფიგურები წელზევით გა-მოისახებიან, აკანთის ორნამენტში ჩასმული (ამ მხრივ კი მათთან საგრძნობ მსგავსებას ამჟღავნებს ვანის ფიგურული კაპიტელი) გვხვდება აგრეთვე თით-ქმის მთელი ტანით მცენარეულ დეკორში ჩართული გამოსახულებანიც (ტაბ. LIII, 4). ვანის კაპიტელის აკანთის ფოთლები ტიპოლოგიურად მცირე აზი-აში გვიანელინისტურ ხანაში ფართოდ გავრცელებული აკანთის ორნამენტის იდენტურია²⁹ (ტაბ. LIII, 6). ამ პერიოდში აკანთის ფოთლის ამდაგვარი სახე (იგულისხმება ფოთლის ოვალური მოყვანილობა, თითოეული ძარღვის სამ ტოტად დანაწევრება და მათ შორის წვეთის ფორმის ჩაღრმავების წარმოქმნა) იმდენად პოპულარულია მცირე აზიაში, რომ იგი მექანიკურად გადააჭვთ იო-ნიური კაპიტელის ბალუსტრებზე³⁰, ფრიზებზე³¹ და სხვ. სხვაგვარადა მოლელი-რებული იტალიკური ელინიზმისათვის დამახასიათებელი აკანთის ორნამენტი. იქ აკანთის ფოთლები უხვადაა დანაწევრებული და ლრმა რელიეფურობით ხა-სიათდება. პრინციპულად განსხვავდება ვანის კაპიტელის აკანთის ორნამენტი აღრეპართული აკანთისგანაც, სადაც ფოთლებს დაკარგული აქვთ ამ ორნამენტისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა დეკორატიული და პლასტიკური თვისება.

ვანის კორინთულ კაპიტელში თავმოყრილი ჩანს როგორც აღმოსავლურ ელინისტური ხუროთმოძლვრული პლასტიკის სახეები (არაკანელირებული ყე-ლი, კვადრატული და სადა აბაკუსი), ასევე მცირე აზიის ელინისტურ ცენტ-რებში შემუშავებული დეკორატიული ფორმები. კომპოზიციური სქემით ვანის კაპიტელი ნაწილობრივ იტალიკურ ფიგურულ კაპიტელებს ემსგავსება, მაგრამ მის საერთო იერში გარევეული სიახლოვე უფრო მცირებზიულ ხუ-როთმოძლვრულ დეკორთან შეინიშნება. ვანის კაპიტელს ჯერჯერობით ზუს-ტი ანალოგია არ ეძებნება: იგი ფიგურული სტილის, როგორც, მხატვრულ-დე-კორატიული თემის, ერთ-ერთი ეტაპის აღმნიშვნელად შეიძლება შიგიჩნიოთ.

ვანის ფიგურული კაპიტელის კომპოზიციური აგებულება საკმაოდ რთუ-ლია. იგი პორიზონტალურად რამდენიმე მხატვრულ არედაა საყოფალი და თი-თოეული გარევეულ როლს ასრულებს კაპიტელის საერთო სახის აღქმაში. ამა-ვე ღროს, კაპიტელის არც ერთი დეტალი (თვით ქალღმერთის ბიუსტიც კი) არ ქმნის განცალკევების შთაბეჭდილებას, ე. ი. საერთო მხატვრული ფონიდან

²⁸ E. von Mercklin. Ant. Fig., Abb. 132, 133, 138–147.

²⁹ C. Börker. Die Datierung des Zeus-Tempels von Olba-Diokaisareia in Kilikien, AA, B, 86, H. 1, Berlin, 1971, Abb. 2–9.

³⁰ An. Bammer. Hellenistische Kapitelle aus Ephesos, AM, B, 88, 1973, taf. 95, 1–2.

³¹ E. und R. Wurz. ZGA Beiheft 15, 1925, Abb. 293, f.

არ გამოიყოფა არც ერთი დეტალი, და კაპიტელი, რთული დანაწევრებულობის მიუხედავად, აღიქმება როგორც ერთიანი, მთლიანი. ამის მიზეზი უთუოდის თანაფარდობანია, რაც საფუძვლად უდევს კაპიტელის აგებულებას. ეს თანაფარდობანი კი ამ შემთხვევაში „ოქროს კვეთის“ პროპორციაა.³² ვანის ფიგურული კაპიტელი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პორიზონტალურად რამდენიმე არედაა დაყოფილი (ტაბ. XXIII, 1): 1 — არე, რომელსაც ქმნიან კუთხისა და ცენტრალური ვოლუტები და მისი ცენტრალური ნაწილი — ქალღმერთის თავი, რომელიც რამდენადმე ამაღლებულია ვოლუტებთან შედარებით. 2 — ლანცეტური ტიპის ფოთლებით, სავოლუტე ლეროებითა და ბიუსტით გამოყოფილი არე. 3 — აკანთის გვირგვინი ასტრაგალითურთ. პირველი არის სიმაღლე 70 მმ-ია, მეორისა კი — 115 მმ. მათი შეფარდება კი „ოქროს კვეთის“ პროპორციასთან დიდად დაახლოებულ მნიშვნელობას გვაძლევს; მეორე არე ასევე/შეეფარდება III არეს, მესამე არე „ოქროს კვეთით“ შეეფარდება მეორე და მესამე არეების ჯამს.

ამ კაპიტელზე შესაძლებელი ხდება სხვა არეების გამოყოფაც. მაგ., ვოლუტების სიმაღლე ზლუს აბაჟუსის სიმაღლე გვაძლევს „ოქროს კვეთის“ შეფარდებას სიღიღესთან, რომელიც ისახება მეორე არეს პლუს აკანთის გვირგვინის გადმოკეცილი წვეროები. პირველი და მეორე არეების ჯამი (აქ აღარ ვგულისხმობ იმ მცირე სიღიღეს, რომლითაც ქალღმერთის თავია ამაღლებული ვოლუტებთან შედარებით) „ოქროს კვეთით“ შეეფარდება სიღიღეს, აღებულს აბაჟუსის ზედაპირიდან გვირგვინის გადმოკეცილ წვეროებამდე. ეს სიღიღე კი ასევე შეეფარდება სიღიღეს აბაჟუსის ზედაპირიდან თარომდე, ე. ი. თითქმის კაპიტელის მთელს სიმაღლეს (კაპიტელის ფუქე ფოსოს პროფილით გამოხატული ამ შემთხვევაში არავითარ ფუქეციას არ ასრულებს). როგორც ვხედავთ, აქ კაპიტელში კომპოზიციური სრულყოფა ერთმანეთზე გარდამავალი არეებითაც არის შექმნილი. რაც შეეხება კაპიტელის უდიდესი განზომილების, ანუ სიმაღლისა და სიგანის ურთიერთშეფარდებას (სიგანეში აქ ვგუ-

³² „ოქროს კვეთის“ პროპორციას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ანტიკური ხუროთმოძღვრები. ამ პროპორციის ასტებითი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ მას უნარი შესწევს ერთმანეთთან პარმონიულად დააეკრინოს მთელისა და მისი ნაწილების სიღიღეები. „ოქროს კვეთის“ უწყვეტი რიგი ასახეს რამდე მთელის თავის მსგავს ნაწილებად დაყოფის იდეას. ამ შეფარდების რიცხობრივ გამოსახულება წარმოდგება ირაციონალური რცხვების შემდეგი რიგით: 0,056; 0,090; 0,146; 0,236; 0,382; 0,618; 1,0; 1,618; 2,618 და ა. შ. ამ რიგში ორი მომიჯნავე რიცხვის შეფარდება გამოსახულია რიცხვით — 0,618. მისი მნიშვნელობა მიახლოებითა, უფრო ზუსტად იგი გამოისახება V5—1; მსგავსი თვისებები ახასიათებთ მარ-

ტიგი მთელი რიცხვებისაგან შედგენილ რიგსაც; ეს თვისებები XLI საუკუნეში აღმოჩინა იტალიელმა მათემატიკოსმა დე პიზო (ფიბონაჩი) — 1, 2, 3, 5, 8, 13, 21, 34, 55 და ა. შ. აქც არი მომიჯნავე რიცხვის შეფარდება „ოქროს კვეთის“ პრინციპს ასახეს, თუმცა ნაკლები სიზუსტით. „ოქროს კვეთის“ შესახებ დაწვრილებით იხ.: Э. М е с с е л ь. Пропорции в античности и в средние века; под ред. Н. Брунова, М., 1936, стр. 20 и след.

ლისხმობ არა აბაკუსის სიგანეს, არამედ ქალღმერთის თავებს შორის არსებულ ზომას — თავები რამდენადმე გამოზიდული არიან აბაკუსის სიბრტყიდან), აქაც „ოქროს კვეთის“ საქმაოდ ზუსტ მნიშვნელობასთან გვაჭვს საქმე.

ქაპიტელის სიგანე — 750 მმ	$\frac{450}{750} = 0,6$	$\frac{750}{450} = 1,666$	$\frac{750}{750+450} = 0,625$
ქაპიტელის სიმაღლე — 450 მმ			
ქალღმერთის თავის სიმაღლე — 70 მმ	$\frac{70}{115} = 0,608$	$\frac{115}{70} = 1,642$	$\frac{115}{115+70} = 0,621$
ქალღმერთის ბიუსტის სიმაღლე — 115 მმ			
აკანთის გვირგვინის სიმაღლე ასტრაგალითურთ — 190 მმ	$\frac{115}{190} = 0,605$	$\frac{190}{115} = 1,652$	$\frac{190}{115+190} = 0,622$
ვოლუტების სიმაღლე აბაკუსითურთ — 107 მმ	$\frac{107}{170} = 0,620$	$\frac{170}{107} = 1,588$	
სიმაღლე ლანცეტური ტიპის ფოთლიდან აკანთის გვირგვინის გაღმოკეცილ წვერომდე — 170 მმ		$\frac{170}{170+107} = 0,613$	
შეორე იარუსის სიმაღლე (აკანთის გვირგვინის ზედაპირიდან აბაკუსის ძირაძე) — 175 მმ	$\frac{177}{277} = 0,63$	$\frac{277}{177} = 1,582$	
აკანთის გვირგვინის გაღმოკეცილი წვეროდან აბაკუსის ზედაპირამდე — 277 მმ		$\frac{277}{277+175} = 0,612$	
ქაპიტელის სიმაღლე ფუძის გამოკლებით — 420 მმ	$\frac{277}{422} = 0,656$	$\frac{422}{277} = 1,523$	
		$\frac{422}{422+277} = 0,603$	

ჭორითული პაპიტელი

(ტაბ. XXIII, 2—XXIII)

იმ მონუმენტური საკურთხევლის გათხრა ვანის ნაქალაქარზე, რომლის
სიახლოვესაც ფიგურული კაპიტელი იქნა მიკვდეული, 1976 წელს განახლდა.
ამავე წელს დარღვეულ საფეხურის ფილებსა და კვადრებს შორის აღმოჩნდა
ვარდულით შემკული კორინთული კაპიტელი. 1978 წელს ამავე ნაკვეთის გაზ-
რძელებაზე კიდევ ერთ ვარდულიან კაპიტელს მიაკვლია ვანის არქეოლოგიურ-
მა ექსპედიციამ. ეს ორი კაპიტელი ერთმანეთისაგან არაფრით განირჩევა. ამ
კაპიტელებში, ფიგურული კაპიტელისაგან განსხვავდით კომპოზიციის ცენტრ-
ში კორინთული კაპიტელები (ერთი ფიგურული სტილისა და ორიც ვარდულია-
ნი), ერთ რჩები, ერთმანეთისაგან დახსროებით თანაბარი მანძილის დაშორე-
ბით იქნა ნაპოვნი.

მონუმენტური საკურთხევლის გათხრისას დაფიქსირებული სიტუაცია
უყოფმანოდ აღასტურებდა, რომ სამივე კაპიტელი ერთ ნაგებობას და სვე-
ტების ერთ რიგს განეკუთვნებოდა.³³ ვარდულიანი კაპიტელები ნატეხების სა-
ხითაა ნაპოვნი (ტაბ. XXIII), მაგრამ გრაფიკული რეკონსტრუქციისას მათ თა-
ვიანთი აღვილი აღვილად ეძებნებათ და კაპიტელის საერთო სახეც საკმაო
დამაჯერებლობით ისახება. მიუხედავად იმისა, რომ ფიგურული და ვარდუ-
ლიანი კაპიტელები ტიპოლოგიურად თითქოსდა განსხვავდება ერთმანეთისა-
გან, ისინი ერთი და იგივე კომპოზიციური სქემით არის აგებული. კაპიტელები
ორი იარუსისაგან შედგება. პირველი იარუსის აქანთის გვირგვინის ფუძეს 24
მძივისაგან შედგენილი ასტრაგალი საზღვრავს. მძივები მოყვანილობით ელი-
ფსონდებს მოგვაგონებენ. ფუძის წრეჭირის ნახევარი კანელურითაა დანაწევ-
რებული. აკანთის ფორმები ფიგურულ და ვარდულიან კაპიტელებში ერთ-
ნაირადაა მოდელირებული.

მეორე იარუსის ცენტრალური გამოსახულება ვარდულია. მის გარშემო
თავისუფალი აჩევნები წვრილეროვანი ვოლუტებითაა შევსებული. ამ ლერო-
ნის ცენტრიდან მომავალი ერთი ფუძე აქვთ, რომელსაც ოდნავ ეტყობა გან-
ებს ცენტრიდან მომავალი ერთი ფუძე აქვთ, რომელსაც მაგრამ იგი აღბათ ისეთივე იყო, რო-
ც შემორჩა აბაკუსის პროფილი, მაგრამ იგი აღბათ ისეთივე იყო, რო-
ც ფიგურული კაპიტელის აბაკუსია — ბრტყელი, სადა, კვადრატული ფი-
გორც ფიგურული კაპიტელის აბაკუსია — ბრტყელი, სადა, კვადრატული ფი-

³³ О. Д. Лордкипаниძე и др., Ванская археологическая экспедиция, ПАИ-76, Тб., 1979, стр. 144.

მაღლე 55 სმ-ია) ფიგურულ კაპიტელთან შედარებით.³⁴ სხვა ძირითადი განზომილებანი (ფუძის დიამეტრი, აბაკუსის კვადრატი) ფიგურული კაპიტელის იღენტურია.

ეს კაპიტელები უფრო მეტად ავლენენ მსგავსებას აღმოსავლურ-ელინისტურ დეკორატიულ ტრადიციებთან, ვიღრე ფიგურული კაპიტელი. ამ შთაბეჭდილებას, რა თქმა უნდა, აძლიერებს ექვსფურცლიანი, აღმოსავლური სამყაროსათვის დამახასიათებელი ფორმის ვარდული³⁵ (რომელიც სარკინეს იონიური კაპიტელის ვარდულის იღენტურიც არის), გარდა ამისა, კუთხის ვოლუტები ამჟღავნებენ დიდ სიახლოვეს ძველი ბაქტრიის კორინთიზირებულ კაპიტელთა ვოლუტებთან³⁶ (ვოლუტთა შეუმოსავი ბაზისები, სავოლუტე ბაფ-თის წვრილი, რელიეფური ლეროვანი კონტური).

აღმართ სწორი იქნება, თუ ამ კაპიტელებს იგივე თემის გამომხატველად მივიჩნევთ, რომელსაც ვანის ფიგურული კაპიტელი ასახავს. აქ უბრალოდ ვარდულითაა შეცვლილი ქალღმერთის გამოსახულება, უფრო ზუსტად, ვარდული აქ გვევლინება როგორც ქალღმერთის აღმნიშვნელი სიმბოლური ნიშანი. ასეთი მოვლენა (იგულისხმება არქიტექტურულ დეკორში აღამიანის გამოსახულებისა და ვარდულის ურთიერთმონაცვლეობა) დამხასიათებელი ჩანს მთლიანად ელინისტური არქიტექტურისათვის: გავიხსენოთ, რომ სწორედ ვარდულიანი და ქალღმერთის ბიუსტიანი კორინთიზებული კაპიტელები ენაცვლებიან ერთმანეთს აღრეპართული პერიოდის შესობორამიურ ნაგებობაში³⁷ (ტაბ. LIII, 1, 2); ვარდული და აღამიანის გამოსახულებანი ენაცვლებიან ერთმანეთს გვიანელინისტური ხანის იტალიურ კაპიტელზე პიუტიდან³⁸ (ტაბ. LIII, 3); და იმასთანავე ამ კაპიტელის ვარდულიანი ფასადი კომპოზიციური სქემით ვანის კაპიტელის იდენტურია; მოგვიანებით ეგვიპტურ-კორინთულ კაპიტელზე ქალღმერთი ვარდულთა თანხლებით გამოსახული გამოსახული და (ტაბ. LIII, 5) ხშირად. აღმართ ვარდულები აქ გააზრებული იყო, როგორც ქალღმერთთან დაკავშირებული სიმბოლური ნიშანები.³⁹

ეს კაპიტელები აგვირგვინებდნენ სვეტებს (იხ. ოეკონსტრუქცია ტაბ. XVIII), რომელთა ტანი მხოლოდ წინა, საფასაღო მხარეს იყო კანელურებით დანაწევრებული. ამაზე მიგვანიშნებს კაპიტელთა ფუძეები, რომელთა

³⁴ სვეტთა ერთ რიგში სხვადასხვა სიმაღლის კაპიტელის გამოყენება არცთუ ძველითა ელინისტურ არქიტექტურაში. ვანსხვავებულია კაპიტელთა სიმაღლეები, მაგ., პეტრუში, ელინისტური ხანის კორინთულ-დორიულ ტაძარში. Fr. Kraus, R. Herbig, Der Korintisch-Dorische... S. 27.

³⁵ D. Wilber, Iranian... BAIAA, v. V, N 1, 1937, p. 24.

³⁶ Б. Я. Ставинский. Капители древней Бактрии, CA, 1972, 2, рис. 2.

³⁷ Fr. Sarre. Die Kunst... taf. 63.

³⁸ E. von Mercklin. Ant. Fig., Abb. 206, 207, 208.

³⁹ E. von Mercklin. Ant. Fig., Abb. 69.

წრეშირის ნახევარია მხოლოდ დაყოფილი კანელურებით. კანელურის მრუდი ნახევარწრიულია. მთლიანად სვეტის ამდაგვარი მორთულობა საქმაოდ ხშირდება ელინისტურ არქიტექტურაში. ისეთ ნაგებობებში, სადაც სვეტი უკანა მხრიდან მთელი სიმაღლით ნაკლებად აღიქმებოდა, კანელურების დაყოლებისაგან თავს იყავებდნენ.⁴⁰ ასეთივე სურათი ჩანს ვანშიც იმ ნაგებობაზე, რომელსაც ეს კაპიტელები განეკუთვნებოდნენ.

ვარდულიან კაპიტელშიც, ისევე როგორც ფიგურულ კაპიტელში, საქმაოდ კარგად ჩანს „ოქროს კვეთის“ პროპორციაზე დაფუძნებული კომპოზიცია (ტაბ. XIII, 2). ზედა იარუსის სიმაღლე „ოქროს კვეთით“ ეფარდება აკანთის გვირგვინის სიმაღლეს ასტრაგალითურთ. ეს ზომა კი ასევე შეეფარდება კაპიტელის სიმაღლეს ასტრაგალიდან მოყიდებული აბაკუსის ზედაპირამდე. აქაც, მსგავსად ფიგურული კაპიტელისა, ზედა იარუსი ორ არეზ ნაწევრდება. პირველი არე, რომელიც ვოლუტებითა და ვარდულით იქმნება, „ოქროს კვეთით“ შეეფარდება ამავე იარუსის ქვედა ნაწილს, ანუ მეორე არეს. ამ ზომას კი ასევე შეეფარდება აკანთის გვირგვინის გადმოშლილ წვეროთა სიმაღლე. წვრმოშევება სხვა არეებიც და მათი შეფარდებანიც. მაგ. მანძილი კუთხის ვოლუტის ძირიდან გვირგვინის გამლილ წვერომდე და აქედან კაპიტელის ფუძემდე ეს ორი განზომილებაც „ოქროს კვეთით“ შეეფარდება ერთმანეთს.

ზედა იარუსის სიმაღლე — 202 მმ

აკანთის გვირგვინის სიმაღლე ასტრაგალითა და თაროსებური პროფილით — 320 მმ

ზედა იარუსის პირველი არეს სიმაღლე — 65 მმ

მეორე არეს სიმაღლე — 107 მმ

აკანთის გვირგვინის გადმოშლილ წვეროთა სიმაღლე — 65 მმ

სიმაღლე აკანთის გვირგვინის გადმოშლილ წვეროდან კუთხის ვოლუტის ძირამდე — 172 მმ

სიმაღლე კაპიტელის ფუძიდან გადმოშლილ წვერომდე — 285 მმ

$$\frac{202}{320} = 0,631 \quad \frac{320}{202} = 1,584$$

$$\frac{320}{320+202} = 0,613$$

$$\frac{65}{107} = 0,607 \quad \frac{107}{65} = 1,646$$

$$\frac{107}{107+65} = 0,622$$

$$\frac{172}{285} = 0,603 \quad \frac{285}{172} = 1,656$$

$$\frac{285}{172+285} = 0,623$$

⁴⁰ ასეთი სვეტები იდგა მაგ. კორინთოში, დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის სტოაში. (Corinth, vol. I. part. II. Cambr. Maccach., 1941, Fig. 61).

ასევე არაა მთლიანად კანელურებით დაყოფილი სვეტის ტანი პერგამონში, ე. ჭ. თეატრის ტერასაზე მცირე იონურ ტაძარში (AVP. Bd. TV. Taf. XXVIII).

ასეთივე სვეტის ღოლია ნაპოვნი ჩრდილო შავიზღვისპირეთში, პანტიკაპეიონში და ისიც გვიანელინისტური ხანით თარიღდება (Карасев А. Н. Архитектура. АГСП, с. 195, рис. 10).



პილასტრის კორინთული კაპიტალი

(ტაბ. XXIX—XXXI, XXXVIII, 1)

კაპიტელი ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე აღმოჩნდა 1982 წელს გვიანელინისტური ხანის კულტურულ ფენაში. სამწუხაროდ, გერჩერობით არ დადგინდა ცენტრალური ტერასის რომელ ნაგებობას განეკუთვნებოდა ეს არქიტექტურული დეტალი. კაპიტელი მორუხო ფერის ქვიშაქვისაგანაა გამოკვეთილი და მასზე იგივე დეკორატიულ მოტივებს ვხვდებით, როგორიც წინა თავში განხილულ ვანის კორინთულ კაპიტელებზეა დადასტურებული — კომპოზიციის ცენტრში ვარდული, ჭრტივი, სადა ლეროებით შედგნილი ცენტრალური ვოლუტები და ასევე საღა, მხოლოდ ლილგაკებით შემოსაზღვრული კუთხის სავოლუტე ბათუები. კუთხის ვოლუტები ჩამოტეხილია. კაპიტელი, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს მაღალი, მასიური, წინ საგრძნობლად გამოზიდული აბაკუსით, რომლის ძირი მომრგვალებული პროფილითაა დასრულებული. აკანთის გერჩევინი ექვსი ფართო და ხუთი ვიწრო აკანთის ფოთლითაა შედგენილი. კაპიტელის ყელი მარტივი, სადა ლილვითაა ხაზგასმული, მასზე აღარაა ამოკვეთილი მარგალიტების მძიევი, რომელსაც ვანის კორინთულ კაპიტელებში ვხვდებით. ყელზე კანელურებია, ამოკვეთილი. ყელი ამ შემთხვევში სვეტის ნაწილიცაა, სვეტის ზედა ნაწილი და ერთგვარი რუდიმენტული დეტალი კაპიტელისათვის. ნახევარსვეტი კედლის სიბრტყიდან ნახევარწრეზე რმდენადმე მეტად უნდა ყოფილყო გამოზიდული. ამ კაპიტელზე აღარ შეიმჩნევა კვეთის ის მაღალი ოსტატობა, რაც ზემოთ განხილულ კორინთულ კაპიტელებზე იყო დადასტურებული, აკანთის ფოთლების სახე უკიდურესად გამარტივებულია, გამარტივებულია ვარდულიც. ეს შესაძლოა იმითაა გამოწვეული, რომ კაპიტელი გამოკვეთილია ქვიშაქვისაგან (და არა კირქვისაგან), შედარებით ძნელად დასამუშავებელი და ფშვნადი მასალისაგან, რომელიც ალბათ უწვრილესი დეტალების დამუშავების საშუალებას ნაკლებად იძლეოდა.

როგორც აღვნიშნეთ, კომპოზიციის ცენტრში ოთხფურცლოვანი ვარდული დომინირებს. მისი ფურცლები რელიეფური ლილვებითაა შემოსაზღვრული და ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნული, ეჭვგარეშეა, რომ აქაც ვარდუ-

ლით გამოხატულ სიმბოლურ ნიშანთან გვაქვს საქმე. ძნელია ითქვას, თუ რისი აღმნიშვნელი უნდა იყოს ეს ვარდული. წინა თავში განხილულ კაპიტელზე ვარდული, თითქმის ეჭვგარეშე, ქალმერთის სიმბოლურ აღნიშვნას წარმოადგენს. ამ ვარაუდს აადვილებდა ის სიტუაცია, რაც გათხრისას დადასტურადა (ფიგურული და ვარდულიანი კაპიტელებით დასრულებულ სვეტთა მონაცემება კოლონადაში). რაც შეეხება ოთხფურცლოვან ვარდულს, იგი ზოგადი მეცნიერებას აღმოსავლურ წარმომშობისად მიჩნია და მთვარის სიმბოგირთ მეცნიერებას აღმოსავლურ წარმოიდგენს.⁴¹ რა თქმა უნდა, არაა აუცილებელი, რომ ვანში ოთხფურცლოვანი ვარდული იგივე სიმბოლური აზრის მატარებელი იყოს, როგორც ვთქვათ ეს მისი წარმომშობის მხარეშია. აյ მთვარი ისაა, რომ სვეტისთავში თითქმის ყოველთვისაა თავმოყრილი იმ ძირითადი იდეის მაჩვენებელი ნიშნები, რომელსაც თვით ნაგებობა ემსახურება.

კაპიტელი უხვადაა აღჭურვილი ლითონის სამაგრთათვის განკუთვნილი ლრმულებით. ფუძეზე 5 სმ სილრმის ლრმულია ამოკვეთილი კაპიტელის სვეტის ტანთან გერტიყალურად მიბმისათვის. აბაკუსზე ამოკვეთილი ცენტრალური ილარიული კი, როგორც ჩანს, Π-ს მაგვარი სამაგრისთვისაა ამრკვეთილი კაპიტელის კედლის სტრუქტურაზე მისამაგრებლად. განაპირობილი კვლავ ვერტიყალურ სამაგრთათვისაა განკუთვნილი, შესაძლოა, კედლის გამყოლი კოჭების დასამაგრებლად.

ერთგვარად დაუსრულებელი ჩანს კაპიტელი გვერდითი მხრიდან. დაუსრულებლობის შთაბეჭდილებას ქმნის აკანთის გვირგვინსა და აბაკუსს შორის მოქცეული დაუნაწევრებელი სიბრტყე, თუმცა ეს თვალში გვხვდება იმიტომ, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში შევყურებთ კაპიტელს, როგორც დამოუკიდებელ ფორმას, ხოლო კაპიტელის ფუნქციონირების დროს ეს მხარე, კედლის სიბრტყეს აყოლილი ნახევარს ვეტოა, ალბათ არც აღიქმებოდა მნახველის მიერ.

„ოქროს კვეთის“ პროპორცია ამ კაპიტელშიც კარგად შეინიშნება (ტაბ. XXXVIII, 1). ფუძიდან მოკიდებული, სიმაღლე ვარდულის ძირამდე „ოქროს კვეთით“ შეეფარდება კაპიტელის მთლიან სიმაღლეს, სიმაღლე ვარდულის ძირიდან აბაკუსის ზედაპირამდე ასევე შეეფარდება სიმაღლეს ლილვის ფუძიდან ვარდულის ძირამდე, ხოლო ეს უკანასკნელი „ოქროს კვეთით“ შეეფარდება კაპიტელის სიმაღლეს სარტყლისა და კანელურებული ყელის გამოკლებით. იგივე პროპორციას გვაძლევს აბაკუსის შეფარდება ზედა იარუსთან, ზედა და იარუსისა კი ქვედასთან — აკანთის ფოთლების გვირგვინის სიმაღლესთან ლილვითურთ.

⁴¹ O. Reuther. Parthian Architecture, SPA, I. p. 444.

აბაკუსის სიმაღლე — 65 მმ	$\frac{65}{100} = 0,65$	$\frac{100}{65} = 1,538$	$\frac{100}{100+65} = 0,606$
ზედა იარუსის სიმაღლე — 100 მმ	$\frac{100}{160} = 0,625$	$\frac{160}{100} = 1,6$	$\frac{160}{100+160} = 0,615$
ქვედა იარუსის სიმაღლე — 160 მმ	$\frac{130}{195} = 0,666$	$\frac{195}{130} = 1,5$	$\frac{195}{195+130} = 0,6$
სიმაღლე ვარდულის ძირიდან აბაკუსის ზედაპირამდე — 130 მმ	$\frac{195}{325} = 0,6$	$\frac{325}{195} = 1,666$	$\frac{325}{195+325} = 0,625$
სიმაღლე ლილვის ფუძიდან ვარდულის ძირამდე — 195 მმ			

კაპიტელის სიმაღლე ლილვის ფუძიდან
აბაკუსის ზედაპირამდე — 325 მმ

სიმაღლე კაპიტელის ფუძიდან
ვარდულის ძირამდე — 260 მმ

კაპიტელის საერთო სიმაღლე — 395 მმ

$$\frac{395}{395+260} = 0,603$$

პუთხის გილასტრის კაპიტელი

(ტაბ. XXXII—XXXIII)

კაპიტელი კირქვისგანაა გამოკვეთილი. ორივე საფასადო მხარე შემოცვე-
თილია დეკორატიული ფორმებითითქმის არ იყითხება. ძნელია მხის მხატვ-
რული სახის წარმოდგენა. მიუხედავად ამისა, ეს კაპიტელი მაინც უდავოდ სა-
ინტერესო ნიმუშია თუნდაც იმიტომ, რომ იგი რამდენადმე ღამორჩებულია
ბერძნულ-ელინისტური არქიტექტურული დეტალებისათვის ღამახასიათებელ
კანონიკურ ნორმებს. აგებულებით და საერთო იერით იგი უახლოვდება აღმო-
სავლურ, კერძოდ, აღრეპართულ არქიტექტურაში გავრცელებულ კორინთი-
ზებულ კაპიტელებს, თუმცა მეტ-ნაკლებად ზუსტი ანალოგია ამ კაპიტელისა-
თვის ვერც ამ სამყაროში მოვიძიეთ.

კუთხეში კოლუტების არსებობა თითქმის ეჭვს არ იწვევს. არ იყითხება
შორთულობის ცენტრალური, რელიეფური ფორმები. ეს ფორმები ნაწილობ-
რივ აბაკუსის გვერდებზეც გადადის. აქ ერთნაირად შეგვეძლო გვევარაუდა
ქალღმერთის ფიგურული გამოსახულებაც და რომელიმე მცენარეული მოტი-
ვიც, პალმეტიცა და აკანთის ფოთოლიც. კოლუტებს შორის მოქცეული, რე-
ლიეფური აბაკუსის კვადრატს მიბჯენილი აკანთის ფოთლები ახასიათებთ აღ-

მოსავლურ კორინთიზებულ კაპიტელებს⁴², მაგრამ ვანის კაპიტელზე შესაძლოა ეს ფორმები ყოველგვარ დექორს მოკლებულნიც ყოფილიყვნენ. დეკორს მოკლებული ჩანს მასიური ირგვლივი სარტყელი, არავითარი ნიშანი არ ჩანს, რომ იგი დანაწევრებული იყო ღარებით ან რელიეფური თასმებით. ასეთი ირგვლივი მასიური სარტყელები, რომლებიც კაპიტელის ფუძეს გამოჰყოვენ. ჯერ კიდევ ე. წ. III ს. მიწურულიდან ჩნდება ადრეპართულ კორინთიზებულ კაპიტელებში, იმ განსხვავებით, რომ ამდაგვარი სარტყელები იქ ჰორიზონტალური ირგვლივი თასმებითაა დანაწევრებული.⁴³ შეიძლება ვითიქროთ, რომ კაპიტელის საბოლოო სახე არაა მოცემული ამ ნიმუშზე, რომ იგი დამუშავების შუალედურ ეტაპზეა და მასზე მხოლოდ ზოგადი ფორმებია დატანილი, მაგრამ კაპიტელი აღმოჩნდა გვიანელინისტური ხანის დიდი სატაძრო კომპლექსის გათხრისას (1975 წ.) ალიზის აგურების გროვაში, რაც იმის ნაწილობრივი მოწმობაა, რომ კაპიტელი ამ სახით ფუნქციონირებდა. უჩვეულოა მისი ფუძის პროფილიც. კაპიტელთა ფუძეების პროფილირებაში დიდ გამომგონებლობას ავლენს აღმოსავლურ-ელინისტური ხუროთმოძღვრება — კაპიტელთა ფუძეების პროფილირება საერძნობლადა დაშორებული ბერძნულ-ელინისტურ ჭიმტურებს, მაგრამ ამოსავალ სახეებად მაინც ბერძნული პროფილებია მიღებული (ასტრაგალი, ფოსო, ქუსლი). ვანის კაპიტელზე ფუძის ზედა ნაწილი კიმატიონს ემსგავსება.⁴⁴ მას მოსდევს სკოცია და საბოლოოდ ფუძე ნათეხალი ლილვით სრულდება.

კაპიტელი, როგორც ჩანს, ხის პილასტრს აგვირგვინებდა (სავარაუდოა, რომ ინტერიერში). კაპიტელს ზემოდან გონიოს მოყვანილობა აქვს. კაპიტელის უკანა მხარე მთელს სიმაღლეზე სწორი კუთხით ფუძის ფართობის დაახლოებით 1/4 ნაწილითაა ამოჭრილია ასეთი კონსტრუქციული ნიუანსი კი უთუოდითვალისწინებდა სკეტის ნაწილის რამდენადმე აცილებას აბაკუსის სიბრტყიდან, რათა მას კონსტრუქციულად დაკავშირებოდა კედლის სიბრტყეს გაყოლებული კოჭები.

⁴² А. Воронина. Эллинистический ордер..., рис. 4.

⁴³ Fr. Sarre. Die Kunst... taf. 63, 2.

⁴⁴ Lucy T. Shoe. Greek Mouldings of Kos and Rhodes, «Hesperia», v. XIX, N 4, 1950, Fig. 3.

სწორკუთხა ცენტის კაპიტელი

(ტაბ. XXIV—XXXV)

ქვედა ტერასაზე, ერთ-ერთი მოსახლის ეზოში 1960 წელს ექსპედიციამ მიაკვლია სწორკუთხა სვეტის კაპიტელს.⁴⁵ მისი ფუძე კვადრატს მიახლოვებული სწორკუთხედია. იგი ქვიშაქვისგანაა დამზადებული და საკმაოდ მარტივი ფორმისაა. ექინუსის პროფილი ნაოთხალი ლილვია, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პროფილი ანტიკურ ხუროთმოძღვრებაში, რომელიც უმეტეს შემთხვევაში შეულლებული იყო რელიეფურ ორნამენტთან — იონიურ კიმატითან,⁴⁶ მაგრამ ეს პროფილი სადა სახითაც ხშირია და მას მონუმენტურ ხუროთმოძღვრებაში უმეტესად ანტის კაპიტელებზე ვხვდებით. ვანის კაპიტელი ოთხმხრივაა პროფილირებული და იგი თავისუფლად მდგომ სვეტს განეკუთვნებოდა. გამოყოფილია ყელიც, დახრილისბრტყელებიანი თაროსებური სარტყლით.

კაპიტელი ყველა ნიშნით ელინისტურ ხანის უნდა განეკუთვნებოდეს. ყველა ის ნიშანი, რომელსაც ვანის კაპიტელი ატარებს (მარტივი პროფილი, მოურთველობა, წინგამოზიდული სარტყელი), ასევე დამახასიათებელია ელინისტური ხანის სწორკუთხა სვეტის კაპიტელებისთვისაც.⁴⁷

პორინთიზირებული კაპიტელი

(ტაბ. XXXVI—XXXVII)

კაპიტელი ვანში აღმოჩნდა ცენტრალურ ტერასაზე 1979 წელს. იგი მიწის თხელი (20—30 სმ) ფენით იყო დაფარული. მისი აღმოჩნდის ადგილზე დაფიქსირდა ელინისტური ხანის დიდი ნაგებობის ნაშთები. კაპიტელი, გამოკვეთილია თუთრი ფერის კირქვისაგან. მასზე მორთულობის არც ერთფლეტალი არ იყითხება, გარშემო კი მთლიანად შემოცვეთილია. დადგინდა აბაკუსის კვადრატის მხოლოდ ზომები და ფუძის ღიამეტრი. ფუძის ცენტრში 3 სმ-ის სიღრმის სწორკუთხა, აბაკუსის კუთხებისადმი დიაგონალურად მიმართული ღრმულია ამოკვეთილი. კაპიტელს კორინთიზიზებული მხოლოდ პირობითად შეიძლება ეჭვდოს. მისი მოყვანილობა ერთიარუსიან კორინთიზიზებულ კაპიტელებს ზოგადად ემსგავსება; მისი ერთიარუსიანობა სადაც არა ჩანს, იგი მხოლოდ 20 სმ სიმაღლისაა.

⁴⁵ ო. ლორთქი ფ. ნ. ძ. ე., თ. მი ქ. ე. ლ. ა. ძ. ე. ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის IV უბანზე 1960—1961 წწ. ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები, ვანი 1, თბ., 1972, გვ. 97, სერ. 20.

⁴⁶ E. und R. Wurz, ZGA, 1925, S. 92, Abb. 256.

⁴⁷ Е. И. Леви, А. Н. Карасев. Дома античных городов северного Причерноморья, АГСП, М.-Л., 1955, с. 231, рис. 22.

დედოფლის მინდვრის ლოტოსისაგური კაპიტელები

(ტაბ. XXVIII, 2—XL)

სოფელ არადეთის მიღამოებში დედოფლის მინდორზე ქარელის რაიონი 1972-75 წლებში საქართველოს სახელმწიფო მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ითხრებოდა წინარეკტისტიანული ხანის დიდი სატაძრო კომპლექსი. ამ კომპლექსის ძირითად ნაგებობებს განეკუთვნებოდა ამავე წლებში. აქვე აღმოჩენილი 12 კაპიტელი. ტიპოლოგიურად ისინი ერთმანეთისაგან არ განირჩევიან. ერთმანეთისაგან ისინი მხოლოდ დეკორატიული არშიის მორთულობით განსხვავდებიან. კაპიტელები არაერთხელაა გამოქვეყნებული და დაწერილებით აღწერილი ი. გაგოშიძის მიერ.⁴⁸ მანვე კაპიტელები და მთელი ხუროთმოძღვრული კომპლექსი ძვ. წ. I საუკუნით დაათარიღია ყველა არქეოლოგიური მონაპორის დეტალური შესწავლის საფუძველზე.

ფორმით დედოფლის მინდვრის კაპიტელები აქემენიდურ სამყაროში გავრცელებულ ზარისებურ ბაზისებს მოგვაგონებენ, თუ მათ ამ ბაზისთა ანალოგიურად ჭვერების მობილიად წარმოვიდგენთ. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს კაპიტელების ტანზე ამოკვეთილი ლოტოსის ყვავილის ვიწრო ფურცლები, რომლებიც კვეთის მანერითა და მოდელირებით რამდენადმე ემსგავსება ზარისებური ბაზისების მორთულობას. კაპიტელები ზარისებური ბაზისებისაგან. საგრძნობლად განსხვავდება პროპორციებით. კაპიტელები უფრო დაბალია; ცაშლილი და აბაკუსის დიამეტრი 36 სმ-ით აღემატება ყელის დიამეტრს. ეს, რა თქმა უნდა, იმითა გამოწვეული, რომ კაპიტელის ამდაგვარი ფორმა უკეთ ქმნის გაშლილი ყვავილის შთაბეჭდილებას. — კაპიტელების ტანზე ამოკვეთილი ყვავილის ფურცლები მთლიანობაში ლოტოსის გაშლილ ყვავებს გამოსახავს. კაპიტელები აქემენიდურ ზარისებურ ბაზისთა ანალოგიურად აღწურვილი არიან გლუვი ლილვითაც, რაც კაპიტელთავთვის ყელს წარმოადგენს, ხოლ ბაზისებზე მას სვეტის ტანის საყრდენის ფუნქცია აკისრია. დედოფლის მინდვრის ეს არქიტექტურული დეტალები განეკუთვნებიან ე. წ. „ლოტოსისებურ“ კაპიტელთა ტიპს, რომელთა ფორმა და იერი აქემენიდურ ზარისებურ ბაზისთა მიხედვითაა სრულყოფილი. ელინისტურ ხანაში შეინიშნება ერთგვარი მისწრაფება იმისაკენ, რომ კაპიტელი გაშლილი ყვავილის ფორმით წარმოისხოს. ეს ძირეული ეგვიპტური, პტოლემაიოსურ ხანაში ახალი ძალით აღორძინებული ხუროთმოძღვრული მოტივი გვიანელინისტურ ხანაში უკვე თითქმის მთელს აღმოსავლეთს მოიცავს, მცირე აზიის ელინისტური ცენტრების

48 ი. გ. ა. გ. თ. შ. ი. ძ. ე, წარმართული სატაძრო კომპლექსის გათხრები დედოფლის მინდორზე, სსმაგ, V, თბ., 1977, გვ. 73-74. დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსის 1976-77 წწ. არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, სსმაგ, VI, 1978, გვ. 62—78; წარმართული ტაძრის დედოფლის მინდორზე, „ძეგლის მეგობარი“, № 35, თბ., 1974, გვ. 70—78 და სხვ.

ჩათვლით.⁴⁹ იმ მიზნის მისაღწევად, რომ კაპიტელში გაშლილი ყვავილის შთაბეჭდილება შექმნას, ხდება ადრე შემუშავებული სხვადასხვა ხუროთმოძღვრული ფორმის თავისებურად და ყოველი გარკვეული რეგიონის მხატვრული შისწრაფების შესაბამისად გადამუშავება, რის გამოც ეს თემა ყველგან ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავებული სახითაა წარმოდგენილი. პერსეპოლისის მახლობლად მიკვლეული ძვ. წ. III ს-ით დათარიღებული კორინთიზირებულ კაპიტელთა ფორმები ასევე ზარისებურ ბაზისებს მოგვაგონებენ (ტაბ. LIV, 1, 2). ეს ფორმა იქაც გაშლილი ყვავილის გამოსახულებადა გაზრებული, მაგრამ ტრადიციული ორნამენტი აკანთის ფოთლითაა შეცვლილი, ე. ი. ბერძნული ორნამენტისა (აკანტი) და სპარსული ხუროთმოძღვრული ფორმის, ანუ ორი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული მოტივის ურთიერთშერწყმითაა მიღებული გაშლილი ყვავილის გამოსახულება.⁵⁰ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს სინთეზი იქ ფრიად არაორგანული ხასიათისაა, რაც იმით აიხსნება, რომ ამ პერიოდში სპარსული ხუროთმოძღვრული ჯერ კიდევ ინარჩუნებს ერთგვარ ტრადიციულობას⁵¹ და ეს კაპიტელებიც თავიანთი მხატვრული სახით განეკუთვნებიან იმ რიგის ძეგლებს, რომლებიც ირანულ ელინიზმში სწორედ ბერძნული და ადგილობრივი ხუროთმოძღვრული ფორმების არაორგანული სინთეზით ხასიათდებიან.⁵² აღმოსავლურ პართულ არქიტექტურაში ეს მოტივი (გაშლილი ყვავილი) პოპულარობით არ სარგებლობდა, მაგრამ ფართოდ გავრცელდა ძვ. წ. II—I საუკუნეებში ინდოეთის ტერიტორიაზე. სართოდ გავრცელდა ძვ. წ. I საუკუნეებში ინდოეთის ტერიტორიაზე. სართო ამოკას ტაძრის პორტიკოსის ლოტოსისებური კაპიტელები (ტაბ. LIV, 3) ნატესის ამოკას ტაძრის პორტიკოსის ლოტოსისებური კაპიტელები (ტაბ. LIV, 3) თავიანთი ტექტონიკით საგრძნობლად უახლოვდებიან „დედოფლის მინდვრის“ კაპიტელებს (და თუ მათ ქვედამხობილად წარმოვიდგენთ ასევე უახლოვდებიან ზარისებურ ბაზისებს). სარნატესის კაპიტელის ტანი გააზრებულია, როგორც ლოტოსის ყვავილის გვირგვინი, ხოლო ლილვი — გვირგვინის ძირი.⁵³ ასე რომ, ეს ეგვიპტური წარმომავლობის ხუროთმოძღვრული, ფემა საქმაოდ ფართო გეოგრაფიულ არეალს მოიცავს.

დედოფლის მინდვრის კაპიტელების, როგორც არქიტექტურული ფორმის, ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი ეგვიპტური ხუროთმოძღვრების ტრადიციულობას ენიჭება. ეს სხვა ნიუანსებიდანაც შეიგრძნობა. ყოველი არქიტექტურული დეტალი, უწინარეს ყოვლისა, განიხილება როგორც სამშენებლო-ხუროთმოძღვრული ელემენტი, განიხილება მცირებულ-კომპოზიციული ფუნქცია და ამის შემდეგ მისი დეკორი მხატვრულ-კომპოზიციური თვალსაზრისით, რომელიც ხშირად სხვადასხვა სიმბოლურ აზრთა გამომხატვდება.

⁴⁹ R. Hamann. Geschichte der Kunst, Bd. 1, Berlin, 1957, S. 275.

⁵⁰ Ernst Herzfeld. Iran in the Ancient East, L. N.Y., 1941, p. 278. Fig. 375.

⁵¹ Ernst Herzfeld. Iran... p. 278.

⁵² D. Schlumberger. L'orient Hellénisé, Paris, 1970, p. 175.

⁵³ С. И. Тюляев. Архитектура Индии, М., 1939, с. 7, рис. 3.

ველად გვევლინება. დედოფლის მინდვრის ლოტოსისებური კაპიტელების ტანს კონსტრუქცია ფუნქცია არც გააჩნიათ. კაპიტელის ტანი აქ არავითარ დაწოლას არ ჰქონდობს, ეს ფუნქცია აქ აკისრია კაპიტელის ზედა ცილინდრულ შეერილს და ამით იმეორებს ეგვიპტური მცენარეული მოტივის ამსახველ კაპიტელთა ტექტონიკას. კაპიტელის თავზე ასეთი ნაშევერები ეგვიპტურ არქიტექტურაში ემსახურებოდა მხოლოდ ერთ გარკვეულ მიზანს — თვით კაპიტელის ტანი აეცილებინა კონსტრუქციული დატვირთვისაგან, მისი შესაძლო დაზიანებისაგანაც, რადგან სვეტის დაგვირგვინება არ ემსახურებოდა კონსტრუქციულ მხარეს და გარკვეულ სიმბოლურ თემას ასახავდა. ასევე სიმბოლურ მოტივად გვესახება დედოფლის მინდვრის ლოტოსისებური კაპიტელები. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს კაპიტელის ორნამენტით შემკული ზედა არშია — წნულში ჩართული ვარდულები, ძირეული გვიანსეთური ორნამენტი, რომელიც სამალის ბაზებზეა შემონახული და მიჩნეულია დაუსრულებელი მომრაობისა და საერთოდ უსასრულობის სიმბოლოდ⁵⁴ (ტაბ. LIV, 4, 5). მართალია, დედოფლის მინდვრის კაპიტელზე ამოკვეთილი ეს ორნამენტი მცირედით განსხვავდება გვიანსეთურისაგან (მაგალითად, აქ წნული ორნორი ღეროთია მიღებული სამალის ბაზებზე დადასტურებული სამღეროვანი წნულისაგან განსხვავებით, ვარდულიც აქ ექვსფურცლოვანია, ნაცვლად რეაფურცლოვანისა), მაგრამ ორნამენტის ქარგა სამალისა და დედოფლის მინდვრის კაპიტელებზე აბსოლუტურად იდენტურია; და ეს მაშინ, როცა აქემენიდური არქიტექტურული პლასტიკა სავსებით უარყოფს ორნამენტის ამდაგვარ სისტემას და საერთოდ წნული აქემენიდურ არქიტექტურულ დეკორშა პოპულარობით არ სარგებლობს. შესაძლოა, ეს იმით აისანას, რომ წნულის ხასიათი არ პასუხობდა აქემენიდური არქიტექტურის მეცარ. მონარქის ძალის გამომხატველ სტილს და ამდენად მის პროგრამას. სწორედ ასეთი პროგრამით ხდებოდა ორანის მეზობელი ქვეყნების ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობიდან იმ ცალკეული ელემენტების შერჩევა, რომლის სინთეზის შედეგადაა მიღებული აქემენიდური არქიტექტურული სტილი.⁵⁵

რა თქმა უნდა, როცა დედოფლის მინდვრის კაპიტელები მთელი შვიდი საუკუნით არის დაშორებული სამალის ბაზისების შექმნის ხანას, ძნელია ვამტკიცოთ, რომ ამ კაპიტელთა არშიის მორთულობანი უშუალოდ გვიანსეთური ბაზისებიდან ყოველგვარი შუალედური ეტაპის გარეშეა ნახესხები, ამ შვიდი საუკუნის მანძილზე აღმოსავლურ ხუროთმოძღვრულ პლასტიკაში ეს ორნამენტი არსად არაა პოპულარული. არ შეიძლება არ გავიხსენოთ სასანური სტუკის ორნამენტები, რომლის ერთ-ერთი მახასიათებელი გვიანსეთური ორნამენტული სახეების კვლავ აღორძინებაა.⁵⁶ სასანურ სტუკოზე მრავლად ჩნდე-

⁵⁴ Ed. Pottier. L'art Hittite, Pr. Fasc., Paris, 1926, p. 47–48.

⁵⁵ G. Richter. Greeks in Persia, AJA, 40, N 1, 1946, p. 17–18.

⁵⁶ J. Baltrusaitis. Sasanian Stucco A. Ornamental, SPA. vol. II, p. 621–622.

ბა გვიანხეთური პერიოდისათვის დამახასიათებელი ორნამენტის როგორც მზა-
მზარეული, ასევე მეტ-ნაკლებად სახეცვლილი ნიმუშები და მათ შორის წნუ-
ლში ჩართული ვარდულებიც.⁵⁷ ასე რომ, სასახური პერიოდის ამ ორნამენტი-
სათვის შუალედური ეტაპი უკვე გვაქვს „დედოფლის მინდვრის“ კაპიტელთა
არშიის მორთულობის სახით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში რ-
ნამენტის ეს სახე მოგვიანებითაც საკმაოდ პოპულარულია: არმაზის საცავ-
გალერეაში ინახება რელიეფის ფრაგმენტი, რომელიც ყველა ნიშნით აღრე-
ფეოდალურ ხანას უნდა განეკუთვნებოდეს. ეს რელიეფი ასეთივე ორნამენ-
ტითაა შემცული და უდავოდ საინტერესო ნიმუშია, როგორც ვარდამსვალი
ეტაპი წარმართული ორნამენტიდან ქრისტიანულისაკენ (ტაბ. LV). წნულში
შექმნილ წრიულ არებში ერთმანეთს ენაცვლება ვარდულებისა და ჯრის გა-
მოსახულებანი. ვარდული, როგორც წარმართული სიმბოლური ნიშანი, ჯრ
საბოლოოდ განდევნილი არაა ორნამენტიდან.

დედოფლის მინდვრის კაპიტელებზე მოცემულია ცდა იმისა, რომ სტი-
ლისტურად და ხასიათით მკვეთრად განსხვავებული ორნამენტული სახეები
კომპოზიციურად დაუკავშირდნენ ერთმანეთს. კაპიტელის ტანზე ამოკვეთილი
თითოეული ფურცლის წვერო ზუსტად შეესაბამება არშიაზე ვარდულთა ცენ-
ტრებს. აქ ორი სხვადასხვა თემის ერთიანობასთან და მათ მხატვრულ დაკავ-
შირებასთან გვაქვს საქმე, ერთი მხრივ, გაშლილი ყვავილის გამოსახულება —
მცენარეთა სიცოცხლის სიმბოლო⁵⁸ და მეორე მხრივ, ორნამენტის სახე —
უსასრულობა,⁵⁹ რაც მთლიანობაში შესაძლოა ნიშნავდეს მცენარეთა სიცოც-
ხლისა და ყოველწლიური გაფურჩქვნის, მცენარეთა სიცოცხლის უსასრულო
განახლების სიმბოლურ გამოხატულებას.

აბაკუსის გვერდების მთლიანად ვარდულებით შემკობა, როგორც დეკო-
რატიული ხერხი, გვიანელინისტურ ხანაში უკვე გავრცელებული ჩანს აღმო-
რავლეთში. მაგალითად, პატრა ბიპარის ქ. წ. II ს-ით დათარგმული კაპი-
საფლეთში. აბაკუსის არშიები მთლიანად ვარდულებითაა დაფარული და ეს წინა-
რელის აბაკუსის არშიები მთლიანად ვარდულებითაა დაფარული და ეს წინა-
რელის აბაკუსის გვერდის ხერხადაა მიჩნეული და (ტაბ. LIV, 6). ამ კაპიტელში
აზიურ დეკორატიულ ხერხადაა შეინერველი და ეს კაპიტელში აზიურ დეკორატიული
არებში ერთმანეთს ეხვადასხვა ხუროთმოძღვრული თუ დეკორატიული თე-
რამდენიმე აღრეული სხვადასხვა ხუროთმოძღვრული თუ კაპიტელში აზიურ დეკორატიული
მას ერთიანობა შეინიშნება, მსგავსად დედოფლის მინდვრის ლოტოსისე-
ბური კაპიტელისა.

დედოფლის მინდვრის კაპიტელებზე ლოტოსის ფურცლების სახე და
კვეთის ხასიათი აქემენიდური პერიოდის ხუროთმოძღვრულ დეკორს ემსგავსე-
ბა; ჩარალელურად ამ კაპიტელებში ჭრილოდ იყოს თავს ეგვიპტური დეკო-
რატიული თუ კონსტრუქციული თემები; კაპიტელი ამავე დროს აღრე შექმ-
რატიული

⁵⁷ J. Baltrusaitis. Sasanian..., p. 633, SPA, vol. II; SPA, vol. VII, Pl. 178.

⁵⁸ L. Borchardt. Die Aegyptische... S. 53–58.

⁵⁹ E. Pottie. L'art... p. 47–48.

⁶⁰ H. Härtel, J. Auboyer, V. Moebler. Indische Architektur; PK. Indien und Südostasien. B. 1971, S. 205–206.

ნილი და შემდგომ რამდენადმე მივიწყებული ორნამენტული სახის ერთგვარ ამაღლობინებლადაც წარმოვეიღება. სხვადასხვა ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის ცალკეული ნიშნების ერთ ხუროთმოძღვრულ სახეში თავმოყრა სწორედ გვიანელინისტური პერიოდის აღმოსავლური ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია. კაპიტელის მთავრული სახე — როგორც დეკორატიული და სიმბოლური ნიშნების ამსახველი ფორმა სრულყოფილია და იგი უდავოდ „ხელოვნების ჭეშმარიტ ნიმუშს“⁶¹ წარმოადგენს.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ დედოფლის მინდვრის კაპიტელები ერთ-მანეთისაგან მხოლოდ აბაკუსის მორთულობით განიჩევიან. მეორე შემთხვევაშიც აბაკუსის ძირითადი ორნამენტული სახე ვარდულებია, რომლებსაც გარშემო პალმეტის სტილიზებული გამოსახულების უწყვეტი ღერო უვლის (ტაბ. XL I, 2). პალმეტის ღერო, როგორც ორნამენტული სახე, საყოველთაოდ იყო გავრცელებული მთელს აღმოსავლურ სამყაროში და ცნობილია მისი მრავალი სახესქვამბა, ამდაგვარ ღეროებს ხშირად ლოტოსის გამოსახულებანიც აგვირგვინებენ. იგი ხშირად გვხვდება აქემენიდური სამყაროს ხუროთმოძღვრულ პლატტრიკაშიც,⁶² მაგრამ იქ „აქანძება“ და მორქალულ ღეროებს შორის მოქცეული სივრცე არაფრით არაა შევსებული. დედოფლის მინდვრის კაპიტელებზე კი ამდაგვარ სივრცეში ექვსფურცლიანი ვარდული ზის, რომელიც მართალია, ცარიელ სივრცეს ავსებს და ორნამენტულაც უფრო კომპაქტურს ქმნის, მაგრამ ამ ორი სხვადასხვა დეკორატიული სახის ამდაგვარი ერთიანობა თითქოს რამდენადმე არაორგანულად გამოიყურება. გარდა ამისა, ეს ორნამენტი (პალმეტის ღერო) გაღმობრუნებულია, საპალმეტე ფუძეები ჭვემოთ არის მოქცეული და თვით საპალმეტე ღეროები პალმეტის გამოსახულებებსაც მოქლებულია. პალმეტის მსგავსი ორნამენტი აღმოსავლურ სამყაროში ხშირად „სიცოცხლის ხის“ აღმნიშვნელიც იყო.⁶³ ადვილი შესაძლებელია, რომ პალმეტის ღეროს უწყვეტი რიგიც უსასრულობის აღმნიშვნელად გვევლინებოდეს აქ, ზემოთ განხილული გვიანეთური ორნამენტის ანალოგიურად.


დედოფლის მინდვრის კაპიტელთა აგებულებაში საინტერესო გეომეტრიული სქემა შეინიშნება (ტაბ. XXXVIII, 2). კაპიტელის ფუძის დამეტრი 420 მმ-ია, ხოლო სიმაღლე ფუძიდან აბაკუსის — დეკორატიული არშიის — ძირამდე 280 მმ. ე. ი. ფუძე სიმაღლეს დეკორატიული არშიის ძირამდე შეეფარდება, როგორც 6:4, ანუ ფუძის რაღიცას სიმაღლეს შეეფარდება, როგორც 3:4. ეს კი ნიშნავს, რომ რადიუსისა და სიმაღლის განზომილებათა საფუძველი ეგვიპტური სამკუთხედია, რომლის გვერდების შეფარდება სწორედ 3:4:5-ია და კაპიტელის ტანი არშიის გამოკლებით ექვსი ეგვიპტური სამკუთხედის ურთიერთმონაცვლეობით მიიღება. შეინიშნება მსგავსი სამკუთხედე-

⁶¹ ი. გაგო შიძე. დასახ. ნაშრ. „ძეგლის მეგობარი“, 35, გვ. 73.

⁶² A. Rieg I. Stilfragen, S. 110.

⁶³ A. Rieg I. Stilfragen, S. 111. Fig. 44.

ბის ასეთივე შეორე რიგიც, რომლის საწყისიც უკვე გვირგვინის ძირია და აქ წარმოსახული სამკუთხედები კაპიტელის ტანს უკვე აბაკუსითურთ მოიცავს. ამასთანავე სამკუთხედთა ზედა და ქვედა რიგების განაპირა კუთხეთა შეერთებით ვღებულობთ არშის დახრის კუთხეს (არშია დახრილია, რათა ორნაშენტის აღქმა გააღვილდეს). კაპიტელის ფუძე კაპიტელის მთლიან სიმაღლეს⁶⁴ ისე შეეფარდება, როგორც ტოლგვერდა სამკუთხედის ფუძე და სიმაღლე. მსგავსი სქემები ახასიათებთ სწორედ ეგვიპტურ-პროლემაიოსურ ხანაში შექმნილ კაპიტელებს. იქაც უმეტეს შემთხვევაში ლოტოსისებურ კაპიტელთა აგებულებას საფუძვლად სამკუთხედი უძევს.⁶⁵



⁶⁴ აქ არ ვგულისხმობთ აბაკუსის ცილინდრულ ნაშერს.

⁶⁵ Э. Мессель. Пропорции античности и в средние века. М., 1936, с. 204—205.

ՇՈՐԱԾՈՅԻՑ ԼՐԱԺՈՒՄՆԱԿԱԳՈՒՅՆ

(ՔԱՅ. XLII—XLIV)

Ես գրեալո օնակեցա տծոլումնի, եղալովնեցու սաելմիցոյ մշխեցմու գոն-
դչի, հռմելու նոմելոցումն մռնասբրու յիշուան գազմութանց, եռլու նոմ-
դչիմն շեմտեցեցու հանս մռեցեթուու; ալթատ յրտ-յրտու մի անդրուրու ես-
նու նայալայարուան, հռմելու այս մռացլուա ճաճասբուրեցուլու ամ մռնասբ-
րու յահմեմ. գրեալո 1969 թյան անուա արյուրեցուրմա ց. լոյցազամ և գա-
մոյցեցնա տազու սյանասքնել նամրումնի. այ օգո մաս նարուսեցու ծանուա այցը
յաժրեցուլու թի շյեմնու տարուա նոցագագ այցեմբուրու յերուու ցուազ-
նոծ.² նարուսեցուրու ծանուա սյալրուսա ճաճասասուեցելու յուրմա այցեմբուրու-
րու նորուումուրցիցուն³ և սայցուրու հրանու յարցլու յարցուա սայմառգ
մռացլու յահմեցնա.⁴ օգո արսեցնու ացհմեցլու այցեմբուրու միցերուու ճամեռ-
ծուն նումուց (ույմբա համուցնա մու սաելպուլուու)⁵ և ամունա սացեցնու ծուցե-
րու հանդա մուն ծանուա յաժրեցա. մուտմերյէ, հրու յս գրեալո նարուսե-
ցուրու ծանուս սյցլու մորուու ճաճասուուեցել յլումենու շյուցա նարու-
սեցուրու բան, բանչ ամոյցետուու լուուուս սյացուու յուրուլու մասուրու
լուու. և մանու, մույեցացա ամուս, ոյլուն յացուու մեսածլու մո-
նինու ամ գրեալու սեցացարա յերուու յահմուցցն. ույմբա յս
մռսաժրեցա ման սյալրուսա յուրտեցուու յամուու. ⁶

¹ ց. լ. ց. ա. անդրուրու նուու մցեցու նոցուրու արյուրեցուրու մցլո, արյու-
ռոցուրու յուլուա-նուցա սայարուցու 1969 թյան. տն., 1971, ց. 80.

² ց. լ. ց. ա. անդրուրու հանու սայարուցու արյուրեցուրու մցլո, տն., 1979,
ց. 11, թա. LX.

³ S P A. Art. Uph. Pope (Editor). V. 1, L. and N.-Y., 1967, p. 325.

⁴ մաց. նարուսեցու ծանուս այցեմբուրու սասածլուս ծանուս նարուսեցու (E. Haerinck,
Le Palais Achéménide de Babylone. IA. vol. X. 1973, p. 114, fig. 2 et pl. LIV).
նարուսեցու ծանուս սամերեց մեսածուամուրու ածու-նուլութու (Wetzel F.,
Schmidt E., Malwitz A., Das Babylon der Spätzeit, pl. 26 a et b. p. 25. Berlin,
1957, v. 62). ծանուս յանուս հասուու (նուրծագան).

Հարիմանով Ի. Գ. Խախու բա կոլոնն V—IV ա. դ. ն. է. ա Ազերբայջան — CA,
1960, № 4, ց. 162—164.
Տակուցու սապուրա սյանասքնել յերուու յահմու, ալանու յուլու մուցլու նարու-
սեցու ծանուս.

⁵ մաց. ծանուս սելլուցուրու յերուու յամուու (ոյարցու).

D. Schlumberger, L'orient Hellénise, Paris, 1970, p. 25—26; նե. ացհուց ծանուս ու-
տայիսօն (Herzfeld, E. Iran in the ancient East, L.—N.-Y., 1941, p. 280, Fig. 377).

⁶ Ю. Մ. Գագոշ ի ձ. է. Ի պատրի գրանու-իրանսկի վահապահութեան (խրա-
մ 11—I ա. դ. ն. է. Դեզուն Մինդոր), ԿՍԱՀ, Մ., 1981, ց. 106.

საფურველს იძლევა შიომღვიმის დეტალებისა და დედოფლის მინდვრის კა-
პიტელების ტანხე ამოკვეთილი ლოტოსის ყვავილის ფურცლების სრული
იდენტურობა, მაშინ, როდესაც აქემენიდურ ზარისებურ ბაზისებზე (იგული-
ს საფურველი ანალოგია არ გვხვდება.⁷ ეს, რა თქმა უნდა, იმას ჯერ კიდევ
არ ნიშნავს, რომ ჩვენ შიომღვიმის დეტალის სახით ბაზისთან არა გვაქვს საქ-
მე, რადგან ლოტოსის ყვავილის ფურცლის აქემენიდურ სამყაროში ცნო-
ბილ სახეთაგან განსხვავებული ტიპი შეიძლებოდა იძერიაში კაპიტელების გარ-
და ბაზისებზეც ყოფილიყო გარტცლებული.

არაფერს აზუსტებს დეტალის შუაგულში სწორკუთხა საფურველისებუ-
რად ამოკვეთილი ბუდე — კაპიტელის სვეტის ტანთან ვერტიკალურად და-
კავშირებისათვის განკუთვნილი. ჯერ ერთი, გვეჩვენება, რომ ეს ბუდე შემდ-
გომ პერიოდშია სახეცვლილი — ვაფართოებული და ჩალრმავებული. მისი
რამდენადმე უცნაური ფორმა (საფურველისებრი) (ტაბ. XLII, 3) გვიანი გადა-
კეთების შედეგია. შესაძლოა ფეოდალურ ხანაში შიომღვიმის მონასტრის
ეზოში მას პედესტალის ფუნქცია გამოუძებნეს. და ისედაც, ბუდეები ერთნაი-
რად გვხვდება, როგორც ბაზისთა ზედაპირებზე, ასევე კაპიტელთა ფუძეებზეც;
ცნობილია შემთხვევები, როცა ბუდეები კაპიტელებსა და ბაზისებზე საერ-
თოდაც უარყოფილია.

შიომღვიმის დეტალზე მსჯელობას ართულებს ის ფაქტი, რომ იგი შუაზეა
გადატეხილი და მისი ზედაპირი (თუ იგი კაპიტელია) ან ფუძე (ბაზისის შემ-
გვარების დაკარგულია, მაგრამ იგი ისეთ ელემენტსაც შეიცავს, რომელიც
მას უნიკალურ ნიმუშად აქცევს. ესია ორნამენტით შემკული ლილვი, რაც
სრულიად უცხო ელემენტია, როგორც აქემენიდური, ასევე შემდგომი პერიო-
დების ზარისებური ბაზისებისათვის. აქ ლილვები ჩვეულებრივ სადა, ყველ-
გვარი თორნამენტის გარეშე გვხვდება. სადა ლილვებითაა აღჭურვილი ზარი-
სებურ ბაზისთა ერთ-ერთი საფრანდო პროტოტიპებიც — წეტური ზარისე-
სებურ ბაზისები ნიგდედან.⁸ შიომღვიმის დეტალზე ლილვის მორფულობა ერ-
ბური ბაზისები ნიგდედან. შიომღვიმის დეტალზე ლილვის მორფულობა ერ-
ბური ბაზისები ნიგდედან. შიომღვიმის დეტალზე ლილვის მორფულობა ერ-
ბური ბაზისები ნიგდედან.

⁷ გ. ლეჟავა წერდა, რომ შიომღვიმის ბაზისი სრული ასლია აზერბაიჯანში, სარი-თე-
ფერო ბაზისები ნიგდედან. ⁸ შიომღვიმის დეტალზე ლილვის მორფულობა ერ-
ბური ბაზისები ნიგდედან. შიომღვიმის დეტალზე ლილვის მორფულობა ერ-
ბური ბაზისები ნიგდედან. შიომღვიმის დეტალზე ლილვის მორფულობა ერ-
ბური ბაზისები ნიგდედან. შიომღვიმის დეტალზე ლილვის მორფულობა ერ-
ბური ბაზისები ნიგდედან.

E. und R. Wurz, Die entstehung der Säulenbasen. ZGA. Bl. 15. Heidelberg. 1925.
S. 43–44, abb. 53.

კუთხა არებს, ხოლო ეს არები ასევე სამკუთხა რელიეფური ფორმებითაა შექსებული და თითოეული მათგანი აღიქმება, როგორც ლოტოსის ოდნავ გაშლილი ყვავილი, ან ჯერაც გაუშლელი კვირტი. ეს გამოსახულებანი ერთმანეთის იდენტურია (ტაბ. XLIV, 1, 2). ამ ორნამენტულმა მოტივმა (ტაბ. LVI, 2—4), რომლის მსგავსი გამოსახულებანი ასე ხშირია აღმოსავლურ დეკორატიულ ხელოვნებაში⁹, მიგანიშნა, რომ შიომღვიმის დეტალის სახით, აღბათ, კაპიტელთან გვექვს საქმე, რაღაც ლოტოსისებურ კაპიტელებში ლილვი განიხილება, როგორც ძირითადი ფორმის, ანუ ყვავილის გვირგვინის საყრდენი, ბაზისი¹⁰, ანუ ის ელემენტი, რომელიც წარმოშობს ყვავილს. ამდენად, შიომღვიმის დეტალის ლილვის მორთულობა, სადაც ნახევრად გაშლილი კვირტებია ასახული, საესებთ შეესაბამება ამ თემას, რომლის საწყისებსაც აღრეული პერიოდების ეგვიპტურ ხუროთმოძღვრებაში ვხვდებით: გაშლილი ყვავილის გვირგვინის ჭუძეზე, ანუ იქ, სადაც ელინისტურ ხანაში ლოტოსისებურ კაპიტელებზე გვირგვინის საყრდენი ლილვითაა ხაზგასმული (ტაბ. LVI, 1), ასახულია კვირტებზე განშლის სხვადასხვა ხარისხებით.¹¹

შიომღვიმის დეტალზე ერთგვარი შეუსაბამობა იგრძნობა, ორნამენტთა ორი სახის ურთიერთკავშირით გამოწვეული: ტანის ორნამენტში იგრძნობა ოდნავი სქემატურობა და სიხისტე ლილვის რელიეფური ორნამენტის ფონზე. ზემოთ აღნიშნე, რომ ლილვის ორნამენტული მოტივის მსგავსი სახეები მრავლად გვხვდება აღმოსავლური დეკორატიული ხელოვნების ნიმუშებზე, მაგრამ შიომღვიმის დეტალის ლილვის ორნამენტის ესოდენ ლრმა რელიეფურობას, მისი შესრულების სტილს, საფიქრებელია, რომ სხვა მოდელიც უდევს საფუძვლად, ყოველ შემთხვევაში, იგი უთუოდ გვაგონებს თავისი რელიეფურობითა და მოყვანილობით ლოტოსის გამოსახულებებს აქემენიდური პერიოდის ტორევტიკულ ძეგლებზე, კერძოდ, ახალგორის განძის ოქროს თასზე ასახულ ლოტოსის ნახევრად გაშლილ ყვავილთა სახეს (ტაბ. LVI, 5). კაპიტელისათვის დამახასიათებელ სახეზე მეტყველებს აგრეთვე შიომღვიმის დეტალზე ლილვისა და ტანის ურთიერთდამოკიდებულებაც. კაპიტელებზე ლილვის გამოზიდულობა ან უსწორდება ტანის საწყის გამოზიდულობას (დედოფლის მინდორი, სარკინე, პერსეპოლისი—ძვ. წ. III ს.) (ტაბ. LVI, 8-11),¹² ხოლო ზოგ შემთხვევაში სცილდება კიდევაც ტანის საწყისს (ტაბ. LVI, 6, 7)—ინდური ლოტოსისებური კაპიტელები,¹³ პართული კაპიტელები¹⁴ (ტაბ. LVI, 9). ასეთივე სუ-

⁹ H. Th. Bossert, Altsyrien, Tübingen, 1951, 1122; L. Borchardt, Die Aegyptische Pflanzensäule, B. 1897, abb. 3; E. und R. Wurz, Die entstehung... abb. 36.

¹⁰ С. И. Тюляев. Архитектура Индии, М., 1939, стр. 7, рис. 3.

¹¹ L. Borchardt. Die Agyptische... S. 52, abb. 83.

¹² E. Herzfeld. Iran in the... Fig. 375.

¹³ С. И. Тюляев, Архитектура Индии... рис. 3.

¹⁴ E. Herzfeld. Iran in the... Fig. 378.

რათი გვაქვს შიომღვიმის დეტალზეც. აქ ლილვის მაქსიმალური დიამეტრი რამდენადმე აღემატება ტანის საწყისს. ეს საკუთხით ბუნებრივიდ გამოიყურება, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ლილვი ყვავილის გვირგვინის ბაზისად, მის წარმომშობად განიხილება და მისი სიგანეში გაშლილი ფორმა გვირგვინის მდგრადობას უსვამს ხაზს. ეს ასე არაა ზარისებურ ბაზისებზე. იქ ლილვთა დიამეტრი ყველა შემთხვევაში გაცილებით მცირეა ტანის საწყისებზე (ტაბ. LVI, 12, 15). შიომღვიმის დეტალი ზომებითაც უახლოვდება დედოფლის მინდვრისა და სარკინეს კაპიტელებს (დედოფლის მინდვრის კაპიტელის ფუძის დიამეტრი — 38 სმ. სარკინეს კაპიტელისა — 30 სმ, შიომღვიმისა 32 სმ.). ეს კი გვაძლევს საფუძველს, რომ შიომღვიმის დეტალის კაპიტელად წარმოდგენისას მისი ძირითადი პროპორციები დედოფლის მინდვრის კაპიტელების ანალოგიურად წარმოვიდგინოთ (ტაბ. XLIV, 3).

რაც შექება მისი შექმნის პერიოდს, ვფიქრობ, რომ იგი ზოგადად გვიანელინისტური ხანით უნდა დათარიღდეს. თარიღზე მსჯელობისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს თვით დეკორატიულ-ხუროთმოძღვრულ მოტივს — იმ მხატვრული თემის აღორძინების ტენდენცის, რომელიც კაპიტელს გაშლილი ყვავილის სახით წარმოსახვეს. უადრესი ეგვიპტური მოტივის ეს აღორძინება მკვეთრად შეინიშნება ვრცელ ტერიტორიაზე ელინისტურ და განსაკუთრებით გვიანელინისტურ ხანაში. საკუთრივ პტოლემაიოსური ეგვიპტის გარდა,¹⁵ ამდაგვარ კაპიტელებს ჩვენ ვწვდებით მცირე აზიის ელინისტურ ცენტრებში¹⁶, ირანის ტერიტორიაზე¹⁷, ჩრდილოეთ ინდოეთში¹⁸. ამავე მოტივის ერთმანეთისაგან განსხვავებული ფორმებით ასახვაა, ერთი მხრივ, საირჩის დორიული კაპიტელები, და, მეორე მხრივ, დედოფლის მინდვრისა და სარკინეს ლოტოსისებური კაპიტელები. მართალია, შიომღვიმის კაპიტელზე ლილვის მორთულობა იმეორებს აქემენიდური დეკორატიული პლასტიკისაზე¹⁹ დამახასიათებელ სახეს, მაგრამ ცალკეული ოქაული ფორმების აღორძინება და განახლება ან სხვა კონტექსტებში ერთიან კონგლომერატად წარმოსახვა დამახასიათებელია სწორედ გვიანელინისტური ხუროთმოძღვრებისათვის.²⁰

შიომღვიმის კაპიტელში სწორედ ის ქმნის მის უნიკალურობას, რომ შემუშავდა რამდენადმე განსხვავებული დეკორი ლოტოსისებური კაპიტელისა,

¹⁵ L. Borchardt. Die Aegyptische... S. 9–12.

¹⁶ იხ. გაშლილი ყვავილის გამოსახულებიანი კაპიტელები ეგეადან (R. Bohn. Altertümern von Aegae. B. 1889, Abb. 24).

¹⁷ აგრეთვე კაპიტელები პერგამონიდან (Altertümern von Pergamon II. tafel XXIV).

¹⁸ E. Herzfeld. Iran in the... fig. 375, 376, 378.

¹⁹ С. И. Тюляев. Архитектура Индии, рис. 3.

²⁰ B. Rowland. Notes on Ionic architecture in the East, AJA, v. XXXIX, N 4, 1935, p. 490–496.

თუმცა, მორთულობის „დამატებითი ელემენტით“ „გართულდა“ მისი სახე, მაგრამ ამ ელემენტმა უფრო მეტად გამოკვეთა ლილვის სიმბოლური მნიშვნელობა, როგორც ყვავრლის გვირგვინის წარმომშობისა.

სარკინის ღოთოსისებური კაპიტალი

(ტაბ. XLV—XLVI)

კაპიტელი აღმოჩნდა გვიანელინისტური ხანის ფენაში 1971 წელს. გამოკვეთილია თეთრი ფერის მკვრივი კირქვისაგან. ტექტონიკითა და ფორმით დედოფლის მინდვრის ლოტოსისებური კაპიტელების ზუსტი ასლია. მათგან სარკინეს კაპიტელი განსხვავდება იმით, რომ თითქმის მთლიანადაა მოკლებული დეკორი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ აბაკუსის პორიზონტურ ირგვლივ ღრუბეს) გარდა ამისა, რამდენადმე მცირე ზომისაა დედოფლის მინდვრის კაპიტელებთან შედარებით. აბაკუსის ზედაპირი მკაცრად პორიზონტულია.

გაგინეთის „სვეტებიანი დარბაზის“ კაპიტალები

(ტაბ. XLVII)

1948 წელს არმაშტინის შიდა ტერიტორიის ერთ-ერთ უბანზე, ბაგინეთის მთის ქვედა ტერასაზე საბოლოოდ დასრულდა მოგრძო სწორეულთა ნაგებობის გათხრა,²⁰ რომელიც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში „სვეტებიანი დარბაზის“ სახელითაც ცნობილი. ნაგებობის შიდა სივრცე 6 სვეტით გრძივ ნაწილად ნაწევრდება. შიკვლეულია ექვსივე კაპიტელი. ისინი ერთმანეთისაგან არაფრით არ განსხვავდება, მათი პროფილირება უმარტივესია, მოკლებულია ყოველგვარ დეკორს და მხოლოდ ორი ელემენტისაგან შედგება — აბაკუსისა (მაღალი, გეგმაში კვადრატული ფილა) და ყელისაგან. თვით ნაგებობა და მთელი ხუროთმოძღვრული კომპლექსი ზოგადად ელინისტური ხანითაა დათარიღებული,²¹ მაგრამ კაპიტელები სრულებით არ ავლენენ მსგავსებას რომელიმე ბერძნულ-ელინისტურ ხუროთმოძღვრულ ფორმასთან. მარცვებას რომელიმე კლასიკური ხუროთმოძღვრული ფორმის გამარტივების ან „ბარბარიზაციის“ შედეგად მიღებული, რასაც საქმაოდ ხშირად გვხდებოდით ელინისტურ და განსაკუთრებით გვიანელინისტურ ხანაში ჩრდი-

²⁰ მ უ ხ ე თ ა 1, 1958, ც. 6.

²¹ ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 25.

ლო შავიზღვისპირეთში²² (ტაბ. LVII, 6). ამ გზით მიღებული კაპიტელები თავიანთი უმარტივესი ფორმით ემსაგასებიან ბაგინეთის „სვეტებიანი დარბაზის“ კაპიტელებს.²³ „სვეტებიანი დარბაზის“ კაპიტელები თავიანთი ფორმით ზუსტ ანალოგიას წარმოადგენენ იმ პაფლაგონიური კაპიტელებისას, რომლებიც კლდეში ნაკვეთი სამარხების პორტიკოსის სვეტებს აგვირგვინებდნენ.²⁴ ამ კაპიტელთა მახსინათებელიც ასევე მაღალი და საღა ქვადრატული აბაკუსია, რომელიც ფოსოს მაგვარი ყელით (ტაბ. LVII, 1—4) უკავშირდება სვეტის ტანს.

პაფლაგონიურ კლდოვან სამარხთა საფასადე სვეტების უმეტესობა სწორედ ამდაგვარი კაპიტელებითაა დაგვირგვინებული. კლდოვან სამარხთა არქეიექტურამ პაფლაგონიაში ჯერ კიდევ ძვ. წ. VII ს-ში მიიღო ჩამოყალიბებული სახე და თითქმის უცვლელი სახით აგრძელებდა არსებობას ელინისტურ ხანაშიც. ელინისტურ ხანაში პაფლაგონიურ ცალკეულ არქეიექტურულ დეტალებს თითქმის არაეთარი ცვლილება არ განუცდიათ.²⁵ თავის მხრივ პაფლაგონიურ კაპიტელთა ფორმებს სავსებით უარყოფს ელინისტური ცენტრების ხუროთმოძღვრება. ეს ფორმა არ ვრცელდება ელინისტური სამყაროს არც ერთ რეგიონში. ამის მიზეზად, უპირველეს ყოვლისა, ის უნდა მივიჩნიოთ, რომ ამ კაპიტელთა საღა და მშრალი ორი ვერ უპასუხებს ელინისტური ხუროთმოძღვრული პლასტიკის მისწრაფებებს. გარდა ამისა, ამ ტიპის კაპიტელები და მთლიანად პაფლაგონიური ორდენი გამიზნული იყო ძირითადად კლდეში ნაკვეთ სამარხთა პორტიკოსისათვის და იყრდნობდა სამარხის თავზე არსებულ კლდოვან მასივს; სვეტებიც დაბალი და მასიური ტანით მშვენიერად ასრულებდა ამ ფუნქციას.


ბაგინეთის „სვეტებიან დარბაზში“ სხვაგვარადაა გააზრებული პაფლაგონიური ხუროთმოძღვრული ფორმები. ისინი აქ ინტერიერშია გამოყენებული (უნდა აღინიშნოს, რომ ამ დარბაზის სვეტთა ბაზისებიც გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებენ პაფლაგონიურ ბაზისებთან), ბაგინეთის „სვეტებიან დარბაზში“ ნასესხებია კაპიტელის პაფლაგონიური ტიპი, როგორც მშრალი, და ამავე დროს სრულყოფილი კონსტრუქციული ელემენტი; ის არ გამოსახავს არაეთარ დეკორატიულ მოტივს და მისი დანიშნულება სვეტებთან ერთად ნაგებობის გრძივი ღერძის გამართვაა, ამდენად სავსებით უპასუხებს თავის დანიშნულებას.

²² A. H. Карасев. Архитектура АГСП, М.-Л., 1955, с. 194—195.

²³ R. Leonhard. Paphlagonia Berlin, 1915, S. 242; G. Perrot et Ch. Chipiez, T. V, Paris, 1890, pl. 140, 142.

²⁴ E. und R. Wurz, Die entstehung... S. 55.

²⁵ R. Leonhard. Paphlagonia... S. 242.



კვლევის ამ ეტაპზე ძნელი გვგონია ყოველ აქ წარმოდგენილ კაპიტელზე საბოლოო აზრის შემუშავება, მაგრამ ვფიქრობთ, რომ საესებით ცხადია ერთი რამ — იბერიის და კოლხეთის ტერიტორიაზე არსებობდა რამდენიმე ხუროთმოძღვრული სკოლა, მეტ-ნაკლებად დაკავშირებული თავისი პრინციპით ამა თუ იმ კულტურულ წრესათან; ამასთანავე, აქვარაა ერთმანეთისაგან პირ ამა თუ იმ კულტურულ წრესათან; ამასთანავე, აქვარაა ერთმანეთისაგან მათი დამოუკიდებლობაც: გვერდი-გვერდ თანაარსებობენ იონიური კაპიტელი და თავისი ჭრისთ ძირეული აღმოსავლური მოტივი — ლოტოსისებური კაპიტელი. კამპტელი ავირჩიეთ, როგორც ყველაზე მეტყველი სახე იმ მრავალტელი არქიტექტურული დეტალებიდან, რომლებიც საქართველოში ხანიცხოვანი არქიტექტურული დეტალებიდან, რომლებიც საქართველოში ხანიცხოვანი დროის მანძილზე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებათა შედეგად დაგროვდით დროის მანძილზე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებათა შედეგად დაგროვდა, რათა თვალი გაგვადევნებინა იმ რთული პროცესებისათვის, რასაც იბევრა და კოლხეთის ხუროთმოძღვრებაში ჟორნდა ადგილი. ეს გახლდათ სხვა-რისა და კოლხეთის ხუროთმოძღვრებაში მემკვიდრეობის თვისების ცდები და ამ მემკვიდრეობათა მეშვეობით განსხვავებული ფორმების შექმნისაკენ ლტოლვა. სწოდრეობათა მეშვეობით განსხვავებული ფორმების შექმნისაკენ ლტოლვა. საბის ჯუფი, რომლებიც ამ ტიპის სრულიად უნიკალურ და მრავალმხრივ საინტერესო სახეებს ქმნიან, როგორც სრულყოფილი ნიმუშები — ღრმად დაკავშირებული ძეველ აღმოსავლურ კულტურულ წრეებთან.

ცხადია, საქართველოს ანტიკური არქიტექტურის თავისებურებებზე მსჯელობის საშუალებას სრულებით ვერ იძლევა არქიტექტურულ დეტალ-თა მხოლოდ ერთი რომელიმე ჯუფის განხილვა, მაგრამ მათში გარკვეულობის შეტანა, ვფიქრობთ, რომ გააადვილებს შემდგომ კვლევას, მიგვანიშნებს სადუნდა ვეძიოთ ამა თუ იმ სახის საწყისი მოდელები.

გარკვეული ნაწილი აქ წარმოდგენილი კაპიტელებისა უთუოდ თხოულობს ქრონოლოგიის მხრივ შემდგომ დაკონკრეტებებს, არ არის ზოგ შემთხვევაში ბოლომდე ნათელი, თუ რა პირობებს ამა თუ იმ ფორმის გავრცელევენ — ადრეულ პერიოდებში მიღებული მემკვიდრეობანი ბას ამ ტერიტორიაზე — ადრეულ პერიოდებში მიღებული მემკვიდრეობანი თუ ნაგვიანევი გაზიარება აღრეული, შემდგომ რამდენადმე მივიწყებული ფორმებისა (ვგულისხმობთ) ორმაგბროტომიან კაპიტელებს). ამჯერად ჩვენ ფორმებისა (ვგულისხმობთ) ორმაგბროტომიან კაპიტელებს). ამჯერად ჩვენ კვლევის მხოლოდ საწყის ეტაპზე ვდგავართ, რომელიც შემდგომმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ უნდა განავითაროს.

В НЕМНОГОЧИСЛЕННОЙ коллекции капителей античной эпохи, находящихся на территории Грузии, наблюдаются влияния разных архитектурных наследий. Отдельные архитектурные образы и декоративные элементы предстают перед нами в результате сложной переработки (а в иных случаях наблюдается возрождение ранних форм). Этот синтез не всегда носит органичный характер. Однако почти во всех капителях проявляется стремление к созданию новой, доведенной до некоторого совершенства, формы, отображающей определенную тему.

Капители найдены в тех регионах, где в ходе долгих и систематических археологических изысканий были обнаружены культурные центры Грузии античной эпохи (табл. 1).

КАПИТЕЛЬ С ДВУМЯ ПРОТОМАМИ БЫКА ИЗ ЦИХИА-ГОРА

табл. II—V

Капитель происходит из большого архитектурного комплекса Цихиа-Гора (с. Кавтисхеви Каспского района ГССР, раскопки 1974 г.); высечена из розоватого известняка твердой породы. Капитель является собой двупротомную скульптуру бычков; ее композиционная схема идентична капителям с двумя протомами ахеменидского периода.

Капители с протомами быков в архитектуре Ирана являются одним из тех образов, в которых ясно выражена строго регламентированная программность ахеменидской архитектуры — прославление царской власти и величия монарха, четко проявленное в каждой отдельной детали монументального сооружения и в их гармоничном единстве в целом. Статичный облик сильных быков на этих капителях подчеркивает первичное предназначение ахеменидской архитектуры. Иная картина наблюдается, если рассматривать капитель из Цихиа-Гора. Здесь полностью отсутствует программа ахеменидского зодчества. Далеко отстает капитель от «классического» стиля ахеменидской архитектурной пластики и с точки зрения декорировки. Из традиционных элементов украшений быков здесь представлено всего несколько образов, крайне упрощенных и видоизмененных. Примечательно, что поджатые копыта бычков на капители из Цихиа-Гора совершенно чужды ахеменидской скульптуре, но встречаются на капители с протомами быка эллинистической эпохи из Арадуса — эти образы слабых, незащищенных зверей очень нам напоминают бычков капители из Цихиа-Гора. В этой капители, как нам кажется, дана попытка заменить традиционные условности некоторых черт более реалистичной моделировкой — в отличие от ахеменидских образов, здесь более мягкими контурами переданы поднятые морщины глаз и ноздри.

Самой приемлемой датой создания капители нам представляется III в. до н. э. — эта деталь отображает некий промежуточный этап, когда ахеменидский архитектурный стиль уступает пусть пока еще слабо выраженным признакам т. н. эллинистической архитектурной пластики.

КАПИТЕЛЬ С ДВУМЯ ПРОТОМАМИ ИЗ С. САИРХЕ

табл. VI—IX

Рассмотрение этой детали в качестве капители условно. Она найдена в с. Саирхе Сачхерского района ГССР (1951 г.) и с самого же начала была принята за часть львиной статуи.

Нам представляется, что деталь является фрагментом двупротомной капители. По-видимому, исследователей ввели в заблуждение высеченные на фрагменте пазы: цилиндрический паз был принят за глазницу, а четырехугольный — за ноздри, следовательно, находящаяся ниже пазов деталь толковалась как часть пасти. По нашему мнению, гнезда не что иное, как пазы для крепления рогов и ушей. Ведь капители с двумя протомами ахеменидского типа в виде стилизованных изображений быков, рогатых львов или грифонов не были полностью монолитными; детали, выделяющиеся из основной формы (уши, рога), изготавливались отдельно и прикреплялись с помощью специальных пазов в соответствующих местах. Следовательно, рельефная форма ниже этих пазов на исследуемой детали должна восприниматься как верхнее веко, а идущая вниз от цилиндрического паза полоса — как полоска шерсти. Эта деталь с разной моделюровкой встречается на всех без исключения ахеменидских капителях с двойными протомами быков.

